ჩახმახის ნუთი. ბნელ სივრცეში აშლილი ბოლი,  
შავი ყვავილის სამუდამოდ მკვდარი ფოთოლი.  
ლღუციფერი: –  
ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი  
ასეთი ცისფერი?

[1919 წლის მაისამდე]



## XXVII

### სიკვდილი მთვარისგან

წაკითხულ წიგნთა საღამოის მსუბუქი ბინდი  
არეებს მშვიდათ, უდარდელად კვლავ ეფარება,  
მდინარეთ ლურჯი, ქაფიანი და მძიმე ზვირთი  
შავი ზღვისა და კასპიისკენ მიეჩქარება.

ასეთ ფერებში შეერია მთების კალთები  
და სიბნელეში აიმართენ ბასრი კლდეები,  
დაიმსხვრა სადღაც იმედები და ხომალდები,  
შთაინთქენ მაღალ კუბოებში ცის კიდეები.

მაგრამ უეცრად ყვავილივით გაიხსნა მთვარე:  
საამო, ნაზი, უხავერდო და უვნებელი,  
ჯერ დააგუბა თეთრ ღრუბლებში იების ღვარი  
და გადაღვარა ვით სირიის ნელსაცხებელი.

წითელი, თეთრი და ყვითელი ფერების ტვირთით  
ერატოს მარად გაფითრება და მდუმარება,  
მდინარეთ ლურჯი, ქაფიანი და მძიმე ზვირთი  
შავი ზღვისა და კასპიისკენ მიეჩქარება.

[1919 წლის მაისამდე]

## XXVIII

### ის

ღამემ მოვერცხლილ ძაფების გროვა  
გადააქსოვა სარკმლის მწვანე ბროლს,  
სარკეს ანათროთოლს დაუახლოვა  
და დაათოვა სურათებს, სანოლს.

მე დამავინყდა ძველი წვალება  
და ვალალება გრძნებათ დამხოვის  
და მასსოვს მხოლოდ ცისფერთვალება  
იდუმალება შორეულ ტრფობის.

მომიახლოვდი ვით მთვარის შუქი,  
მითხარ, მაჩუქე ოცნებათ კრება.  
უჩინრად ჩნდება ვნებათ ქარბუქი...  
ეს მართლა ხდება თუ მესიზმრება?

1915

წალვერი

## XXIX

### ვუალისა და ვიოლდეს შესახებ

ვენერა სარკესთან. ეგონა ფრაგონარს  
პალაცო პიტტი და პერუჯი, ვენეტა.  
ფერები მიენდო მშვენიერ საგონარს,  
რომელსაც იძლევა ხმები მასსენეთა.

გათავდა, განელდა, გაჩუმდა ზღაპარი!  
ოცნება! შენ წარსულს ვედრებით შესძახებ,  
რომ ისევ აინთოს უცნობი ლამპარი  
ვუალის, ვიოლდეს და სხვების შესახებ.

[1919 წლის მაისამდე]

## XXX

### ვერხვი

ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი  
და ტყეს მთებისას გაიფრენს აფრად,  
ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი  
აშრიალდება უშორეს ზღაპრად.  
ზღაპარი იგი მათრობს და მნიბლავს  
ძველი ღვინის სმით, უგონოდ, მძაფრად,  
სადღაც დაკარგულ ვარდს და გვირილებს  
მოგონებებში ვიჭერ თანაბრად.  
ეს იყო წინად, დიდი ხნის წინად...  
სად, როდის, რისთვის? არ ვიცი, არა!  
იყვენ ოდესღაც და მიეძინათ...  
ღელავს ფოთლების მწყობრი კამარა.  
მას შემდეგ ბედი და იალქანი  
ქარის სიმძიმით გადაიხარა,  
შენ კი სადა ხარ ამდენი ხანი?  
რისთვის, ან ვისთან? არ ვიცი, არა!  
ეს იყო წინად, დიდი ხნის წინად,  
ეს იყო ვერხვის ფოთლების კვნესა.  
დრომ ყვავილებით დაგვაგვირგვინა,  
მე პაუი ვიყავ – ის კი პრინცესა.

1915 წ.  
ნალვერი

## XXXI

### პარალელი

იასამანთა გროვად გროვდება  
გულში ვედრების ზღვა ნელი-ნელი,  
როცა ერთმანეთს უახლოვდება  
მყუდრო სალამო და ღამე ბნელი.  
განწმენდის შუქი სულს ეფარება,  
როდესაც პანი დაქრის ტყე-ველად  
და ღამე სწრაფად მიეჩქარება  
დღის ელვარების მოსახვეველად.  
და, აი, ფერთა შეზავებაში,  
როცა შურივით იძვრის ოცნება,  
ასე გადადის უკვდავებაში  
სივრცე, დუმილი და გაოცება.  
ასე, ნელობა ზაფხულის ველის  
და ქარიშხალთა ცივი შვენება  
მწვავს, როს გოიას და ბოტტიჩელის  
სხვადასხვა ლანდი მომეჩვენება,  
სულ სხვაა მძლავრი გუგუნის ზარის  
და მზის სხივებზე დამჭკნარი ია,  
დემონი იჭვით სავსე მხატვარის  
და სეგანტინის „Ave Maria“.

[1919 წლის მაისამდე]

## XXXII

### ფარდების შრიალი

დადის და აზმორებს...  
ხავერდებს, ხალიჩებს, ბნელ კარებს  
უვლის გარს –  
ისეთი სიფრთხილით!  
იდუმალ შუალამით,  
ბნელ ღამით –  
ჩუმად ვშლი რვეულებს.  
ოდნავ თრთის სანთლის ალი...  
სიჩუმეა.  
ის კუთხეში წევს განუძრევლად,  
ცივი თვალებით.  
შევხედავ, ვიგრძნობ: არსადა სჩანს  
გზა წინანდელი.  
ჩნდება –  
მწუხარება და ჟრუანტელი.  
ნელ ნაბიჯს შავი მიაპარებს –  
იდუმალეა.  
სადაც ბავშური ძილით სძინავს  
ჩემს ანგელოზ დას –  
(ჩემს მოგონებებს, პოეზიას!)  
სურს მოიტაცოს გაზაფხული!  
შეხედეთ! თურმე სად მალავდა  
ველური ფიქრი  
თავის ბასრ ბრჭყალებს...  
მე შეიძლება შეშლილი ვარ  
და ავადმყოფი!  
ფარდების შრიალი  
მაახლოვებს მშვიდ სამეფოსთან,  
რომელსაც ქვია: მოლოდინი  
და მლელვარება.

ეს არის სული, დამწყვედელი  
ცისფერ ბადეში –  
და ნათელივით იტანჯება  
მისი თვალები.  
გარედ მაისია.  
დაქრის დიონისეს  
შვება უჩვეულო.  
გარედ იასამანს  
ბინდი ეფარება...  
ბალი ედარება  
ცისფერ მოგონებას.  
და რად მაგონებს მშვიდ სამეფოს  
მღუმარებისას  
ფარდის შრიალი?

[1919 წლის მაისამდე]

## XXXIII

### ჩვენი საუკუნე

ლამეა. მთვარე. ხეივანი.  
– ოჰ, მეგობარო!  
მომჯადოებელ ვარდს ვეძახდი  
გუშინ რუსუდანს.  
– მაშ ეხლა უნდა მოგილოცო.  
– თუ გსურს მართალი,  
მე მშვენიერი მიჩვენია  
ყველას თამარი!  
რაც შეეხება ლამაზ ნინოს...  
(დაბოლოება წარმოითქმის  
სავსებით ნყნარად:  
ხელი მეგობრის დაეჭდობა  
მოსაუბრის ხელს)  
– დეე, იყოს ასე! მაგრამ შერიფს...  
ოჰ, ეს შერიფი!  
(ორივე ერთად ხეების გზით  
გაისეირნებს.  
ლურჯდება ჰაერი.  
ენტება ლამე.)  
– მე ველი ამელამ  
ისე, როგორც კახაბერი.  
თუმცა ეს კაცი  
გადაცდა ჩვენი საუკუნის  
გადამწყვეტ საზღვრებს.  
რაც შეეხება ჩემს ოცნებას...  
დღეს გონებაში  
სამი სახელი ღვთაებრივი  
უძველეს დროის  
ისევ მინათებს.  
უპირველესად რუსუდანი.



– სს...  
შემდეგ თამარი იტრიიდან.  
– ჩუ....  
– უკანასკნელად ქეთევანი.  
– ...!  
– იცი: მე მზად ვარ ვალიარო  
ძვირფასი „მაშინ“.  
(ხან ალისფერი, ხან წითელი  
ხის რტოებში  
ჩნდება სინათლე  
ჩამავალი მზის)  
ასე ჩურჩულით  
მოდის ეს ორი, ხეივანის  
დახვეულ გზებით.  
სახლის ფარდებზე თეთრად ქრიან  
ნაზი ფარდები.  
ჩამავალ მზეზე  
კანკალებენ მათი ჩრდილები,  
ყველა მათ ჩრდილებს  
სიყვარულით გადახვეული,  
რომელთაც მათი მოგონება –  
ეალერსება  
მე-XII საუკუნიდან.

[1919 წლის მაისამდე]

## XXXIV

### მთანმინლის მთვარა

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!  
მდუმარებით შემოსილი შელამების ქნარი  
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...  
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!  
მთვარე თითქო ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით  
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარავით  
მოსჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე,  
ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!  
აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,  
აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით  
ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული,  
დანყევლილ ყრმას აქ უყვარდა ობლად სიარული...  
და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედათ,  
ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,  
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები  
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იაღქნები –  
თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს  
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,  
თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ  
რომ აღზარდა,  
სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა,  
რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,  
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე,  
რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები –  
რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები –  
რომ წაყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...  
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

1915

## XXXV

### გობელენი

იქაური ცა ფოთლით ქსოვილი,  
ლაჟვარდ თვალთაგან გადასულ ნამით  
მოველი ღამეს და შენ, სულამით!  
ჩემს მკვლელ – მიუვალ ღამეს მოველი.

ალერსთა უხვი და უხმო ველი  
დამფარავს ნისლთა წამოსასხამით  
და დათრობაში ამ ღამის-ღამით  
უხილავ გზებით შთავა ყოველი.

ტბის პირად, როცა ხეების ხელეზს  
დაეკიდება მთვარე და ცვარი,  
დამთვრალი ბალი გაშლის გობელენს...

შემოდგომის ცა – ასე დამწვარი  
უჩინარ ქუნობის ალთა დარევით  
ტბას დავეცემი უხმოდ, მკვდარივით!

[1919 წლის მაისამდე]

## XXXVI

### შიშველი

სიმაღლე ლაჟვარდთა,  
ვარსკვლავთა სიმაღლე,  
სიმაღლე ზამბახის!  
ყელი გაქვთ გედივით მაღალი და სწორი!  
ოჰ! თქვენს თმებს შეფერის დაფნა და  
ამბორი!

ელადა, ელადა!  
აქ სული ატარებს თვის მსუბუქ სამოსელს,  
ასეთი სინათლით შუბლი უელავდა  
ვენერა მილოსელს!

[1915]

## XXXVII

### მიცვალებულის სსოვნა

გგონია: ბინდი ვარსკვლავთაგან გემუდარება  
და შეშინება უმონყალო სიმთვრალეს ბადებს.  
სახლის კარებთან უმოძრაოდ მდგომარე ლანდებს  
იცავს სიბნელე, შეეჭვება და მღუმარება.

ლანდი ქუჩაზე აჩქარებით თავს უკრავს სხვა  
ლანდს,  
ეს ცოცხლებია? არა! გზებზე მიდიან მკვდრები  
და სიბნელიდან უბინაო მათი ცხედრები  
სამარისებურ უდაბნოში სტოვებენ ქალაქს.

[1919 წლის მაისამდე]

## XXXVIII

### ზღაპარი

მდინარის პირად, ხეივანში ყოველ საღამოს  
ორი ქალწული მემორევე ჩრდილად გახდება,  
ისინი ჩუმად გადიხდიან ლეჩაქთა სამოსს.  
თვითონ მდინარეც და დუმილიც გალეჩაქდება.

ტყის პირად სხედან ნაზნი, წარბებგადახატული  
და თავს ადგანან თავადები ნაბდიანები.  
ეცემა თმები ლურჯ სარკეებს, ვით ნაკადული;  
სჩანს: სასიკვდილოდ ამ სიყვარულს არ ვენანები!

[1919 წლის მაისამდე]

## XXXIX

### ორხიდეები

აველ დაღლილი მარმარილოს თლილ კიბეებით –  
დარბაზში, სადაც ვისვენებდი ჯერ ისევ დილით;  
ორხიდეების მწყობრად იდგა მუქი შლექიფი  
განაზებულნი ჩემი ფერმკრთალ სულის სიკვდილით.

ხავერდის კუბო, დათოვლილი თეთრ ზამბახებით  
იდგა მდუმარე, მგლოვიარე და დასევდილი.  
ოჰ! იგი აქ წევს აბრეშუმის თეთრი ტალღებით...  
ამ ყვავილებში დავასვენე ჯერ ისევ დილით!

დაქვრივებული ოთახები ჩუმად სტიროდენ:  
შავი გედივით მალლა იდგა კუბო პირქუში!  
დაქვრივებული ოთახები ჩუმად სტიროდენ,  
ჯერ ისევ გუშინ რომ ხარობდენ, ჯერ ისევ გუშინ.

მე დავცქეროდი ისრებივით დახრილ წამწამებს,  
სამგლოვიარო დოლბანდებად რომ ჩამოვარდა,  
გადაეფარა იმის თვალთა უსივრცო ღამეს, –  
და არასდროს არ აიხდება ხელახლა ფარდა.

[1919 წლის მაისამდე]

## XL

### მგლოვნიარა სარაჴიმაჴი

მარმალილოს ქვეშ (მწუხარება უამრავ დროთა!  
მე პოეზიამ დავინწყების ცელს ამარიდა);  
საუკუნეთა სათვალავი მეკარგებოდა;  
ერთხელ ზმანებით მე ამოველ ბნელ სამარიდან.  
მე მოვდიოდი სამშობლოსკენ გზებით ირიბით,  
ჴაერში კვნესდა დანყვეტილი წვიმის სიმები.  
და სასაფლაოს ძეგლებიდან მწუხარე რიგით  
მე მიმყებოდენ და სტიროდენ სერაფიმები.  
ასე სტიროდენ: „ოჴ! შეხედეთ! აი, ეს არი!  
იყავ ნაზი და ახალგაზრდა – როგორც მაისი,  
დადაფნულ გზაზე მიდიოდი ვით კეისარი,  
შენს მოვლენაში კრთოდა ცეცხლი უზენაესი.  
ცხოვრება შენი იყო მწველი ალერსი ქალის,  
თვით ბოროტება საქართველოდ ნანდაზები  
შენში ბადებდა სიმხურვალის დაუმქრალ ხალისს  
და შენ, მწყურვალემ, გამოსცალე ყველა თასები!  
ყოველი წვეთი სავსე იყო უმძაფრეს შხამით;  
ლურჯა ცხენებით თუ გაფრენდა გრძნობათ სინაზე,  
იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით  
და უაილდის ყვავილივით დაეცი გზაზე.  
ცაცხვები დგანან შენს საფლავთან ვით ცენტავრები,  
მათ სიბნელეში ნისლიანი და უეცარი  
გამოჩნდებიან პოეზიის თანამგზავრები,  
სდგანან მწუხარედ და იტყვიან: აი, ეს არი!“

[1919 წლის მაისამდე]



## XLI

### ავღრის მოლოდინი

ნარსულმა ღამემ შენს ფანჯარაში  
დათოვა თოვლი ია-ზამბახის!  
შენი ალვა დგას როგორც დარაჯი  
მზეთუნახავი და მკრთალი სახის.

სისხლივით ელავს ფოთლები ვაზის,  
ბროლი, მარჯანი და ნელი რვალი,  
ხალივით მთვრალი ხაზი შირაზის  
ალვაში შედის მრავალთ-მრავალი.

ნელ ლერნებით და ვაზის მტევნებით  
მიყვარს ქალწულის დაგვირგვინება.  
ნარსულს ჩვენ აღარ დავედევნებით  
და არც ცრემლები დაგვედინება.

ამ მნიფე მტევნებს დაღუნავს ქარი.  
თუ მნიფობისთვემ შესცვალა დარი –  
მეზალემ მოსვლა თუ არ ინება!

შენ სული გქონდა ისე კეთილი,  
ოჰ! სერაფიმის ცისფერი სული!  
ეხლა დაღლილი და დაფლეთილი  
არის ქსოვილი ფერმიღებული.

ვის დაიფარავს სუსტი ქსოვილი?  
ვერც შენ და ვერც სხვას... ცივია წვიმა!  
ქსოვილი წვიმის ცვრებით სოველი  
ნაილო ქარმა, ქორმა, არწივმა.

ფიქრები ქარის ქვითინში კვდება,  
ფიქრები კვდება ნისლში და ქარში:  
არ არის არსად ბედნიერება!  
ფიქრები კვდება ნისლში და ქარში.

ეს მწუხარე და მწველი ზუზუნი  
მიყვება ფიქრებს ნისლში და ქარში!  
ქველ გაზაფხულის მღელვარე სუნი  
მიყვება ფიქრებს ნისლში და ქარში.

ჩამავალი მზის მომაკვდავ ალებს  
ისვრის ღრუბლები და დაღლილობა:  
მთებს, ირმებს, შველებს, ხევს და ნაპრალებს  
ანუხებთ ღრუბლის მძიმე ჭრილობა.

[1919 წლის მაისამდე]

## XLII

### არ-დაბრუნება

აი: გრიგალმა გაიტაცა წითელი ლერწი  
ვაზის – ბუნების!  
მერი! მე ისევ მენატრება ჩუმი ალერსი  
არ-დაბრუნების!

წყვილი ცხენები, ეტლი სწრაფი, ზრუნვა მზიანი!  
რალაც სხვაგვარი  
მოსვლა ფერების: ვერონეზი და ტიცვიანე  
და ნიაღვარი.

ვიცნობ ბაგეებს, ვიცნობ ხელებს! ათასი მხვდება  
ბაგე და ვარდი...  
ნუთუ, ზეცაო, ვით მე მიყვარს შენი დიდება,  
ისე გიყვარდი?

[1916]

## XLIII

### მივარდნილი აივანი

ამპარტავანი თათარი,  
ეზოში დადის მამალი,  
მახსოვს მოხუცი ჭადარი  
და ძველი დასტურ-ლამალი.

მახსოვს მივარდნილ აივნის  
ჭრელ-ჭრელი მანდილ-საკაბე.  
ეხლაც ხანდახან გაივლის  
ჩვენი კნეინა, კაკაბი.

სიმიინდის ანაქურჩალით  
კოკა, შედგმული გაროზზე:  
მაღალ ტანით და ჭურჭელით  
კაკაბი მიდის წყაროზე.

გახმა ბოსტანში მწვანილი!  
და ოხრავს ჭმუნვით მოცული  
თავადი ვაშლოვანელი  
ხანდახან ჩემთან მოსული.

„რა უბედური ქარია!  
წამოველ... ვიცი: მელოდი!“  
დავლიეთ, გაგიხარია...  
(ვამაყობ საქართველოთი!)

ოკტავებით ვწერ პოემას:  
(ესეც საქმეა თუ არა?)  
და სოფლის უდაბნოებას  
ამ ზარმაც გადაუარა.

და მეგობარიც ხანდახან  
უთუოდ მოვა, თუ ელი:  
ტფილისში მეფობს თათარხან,  
ღვინო, დუელი, დუელი!

სასახლე გახდა თილისმა!  
არ არის არც საშინელი:  
კარგად გაიცნო ტფილისმა  
ჩინებულება ჩინელი.

„რა უბედური ქარია!  
წამოველ... ვიცი, მელოდი!“  
დავლიეთ, გაგიხარია...  
(ვამაყოფ საქართველოთი!)

1918

## XLIV

### აკაკის ლანდი

მდუმარე მხარეს შორი მთებისას  
დახარის ლამე და ანდამატი.  
იქ, როგორც ლანდი მწუხარებისა,  
გამოჩნდა მაღალ პოეტის ლანდი!  
თეთრი ჭალარით მოსილი თმები  
ელავდა ელვის ელვა-ციმციმით  
და მოხიბლული იყო მთიები  
დიდებულ სახის ღვთაებრივ ღიმით.  
მძიმე და დაღლილ ფეხის ხმას გრძნობდა  
ნელინელ მსვლელი ღრუბელი ჩუმი  
და მოძრაობდა ლამის მნათობთა  
აღელვებული ელიზიუმი.  
გრძნობდა თანაბარ მოახლოებას  
განცვიფრებული და დიდი მთები,  
შეუცნობ-ხშირი შრიალით შეკრთა  
მშობლიური ტყის მწვანე ზვირთები.  
მაშინ ბავშვივით მიჩუმდა შქერი,  
შესწყდა მდინარეთ ზვირთების მღერა –  
მხოლოდ გრაალმა გზა მრავალფერი  
ნაპერწყლის დროშით ააელფერა.  
და საიდუმლო შუქით შემოსა  
მინყნარებული გზა იშვიათი:  
ჩუმად... დაღლილი სანთლებით მოდის  
მწუხარე ლანდი... მაღალი ლანდი.  
ოჰ! ასეთია დღეს განსაცდელი  
და არ დაგვტოვებს პოეტი ობლად,  
რომ არ აანთოს ისევ სანთელი  
დავინყებული ხატის მახლობლად.  
იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში,  
იქნება ჩვენთან მარად და მარად!

ჩვენის სიზმრების სიდიადეში,  
ჩვენი ფიქრების ლურჯ ნიაფ-ქარად.  
არ მოგვაკლებს მადლს და შუქს უსიტყვოს  
მისი, პოეტის მაღლით ანთება.  
კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს,  
კურთხეულ იყოს ეს მოლანდება...

1915

## XLV

### მას გახელილი დარჩა თვალები

მზეო თიბათვის, ყოფნა უმზეო!  
მზე მიიცვალა ღია თვალებით,  
ის მიიცვალა რაღაც უმწეო  
და საოცარი გარდაცვალებით!

მას გახელილი დარჩა თვალები,  
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!  
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა  
და გახელილი დარჩა თვალები!

და ეს თვალები საღამოთა ხმას  
უსმენდენ ტანჯვით და მოკრძალებით,  
მას გახელილი დარჩა თვალები,  
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!

რა ხდება იქით! საიდან ისმის  
მგლოვიარეთა ქნართა: „მშვიდობით“?  
უეცრად სწყვეტენ სიმები სიცილს  
უამიდობით... უამიდობით!

საიდან ისმის ჩუმი გალობა  
და უღონობა სუნთქვის შემწყდარის,  
წამების წყნარი წარმავალობა  
და მოგონება ძვირფასი მკვდარის?

მიდის ზაფხული... ბაღში, მდელოში  
სისინებს სიო, შრიალებს ნემო.  
მე ისევ აქ ვარ... საქართველოში!  
რისთვის, ძვირფასო! რისთვის, ნუგეშო?



და ეს თვალები სერაფიმთა ხმას  
უსმენდენ ტანჯვით და მოკრძალებით.  
მას გახელილი დარჩა თვალები  
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!

მივალ, მიმყვება მე შენი ცქერა  
და ხავერდებზე ეცემა ჩრდილი,  
ყველგან უჩინრად ტირის, ცერერა,  
თვალები ცივი და გახელილი.

ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე  
ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი,  
მე გზა არ ვიცი უახლოესი:  
ერთადერთი გზა არის სიკვდილი.

მას გახელილი დარჩა თვალები,  
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები.  
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა  
და გახელილი დარჩა თვალები!

[1919 წლის მაისამდე]

## XLVI

### როგორ ეპროდენ ზარებს ზარები

ეს მე ვარ, ქარი, ეს მე ვარ ქარი, დავქრივარ ბარად,  
ვოცნებობ მზეზე...  
ერთმევა ფერი ყვითელ არეებს... მე დაჭრილი ვარ,  
როგორც აფთარი.  
აცვივდა გარედ, დაცვივდა ფარჩა, აწვიმდა ყველგან,  
შხამთა მიზეზი:  
მანტიით მხრებზე, თეთრი გვირგვინით ელვარე გზებით  
მოდის ზამთარი!

დამჭრეს! ეს მე ვარ! ეს მე ვარ, ქარი, გამილეთ კარი,  
გამილეთ ჩქარა!  
მე მომდევს ცივი საშინელება, მე მომდევს ჩემი  
ცოდვილი გული,  
ჩემთვის უცხოა სითეთრის რკალი და ნათელივით  
არის აშკარა,  
იუდას სახე, კენის ლანდი და ლამეების შავი გუგუნე...

მოდის ზამთარი, მოდის სიცივე, მოდის სიკვდილი...  
ჰეი, ლურჯა რაშო,  
მედგრად! კივილით მოედე ტყეებს... უსწორო იყოს  
შენი ავდარი!  
შენთვის სამოთხედ გადაიშლება ღამე უვნებო  
და ურიჟრაჟო,  
ეს მე ვარ, მე ვარ, ეს მე ვარ ქარი.... მე დაჭრილი ვარ,  
როგორც აფთარი.

მე ისევ მიყვარს დაღლილთა ცრემლი და ბრძოლა, ბრძოლა  
მოუსვენარი,  
ქარიშხლიანი მენი და ელვა, რისხვით მრისხანე  
ტალღებთან შებმა,

ყელამდე მოსულ ვარდების გროვა და დამსხვრეული  
სწორი კენარი;  
სხვა სიყვარულის მოგონებები, დაე, აღმინთონ  
მოგონებებმა.

სანამდე დროშებს ეძებდა თვალი, დროშები ქარში  
გაშალეს უცებ!  
დღითა და ღამით, დღითა და ღამით გრგვინით ებრძოდენ  
ზარებს ზარები.  
მოსკდა კიდევს, გასცდა ნაპირებს და გრიგალივით  
მოედო ქუჩებს  
სისხლის, ტალახის, ცეცხლის და წყალის ზვირთი, ყველაფერს  
ნაზიარები,

იდუმალ ფიქრთა ჯაჭვანყვეტილი, აღელვებული  
მორევის ქაფი,  
არეულ ჯურღმულთ აღმოჩინებით, სავსე საზარლად  
მცურავი მკვდრებით –  
მოედო ქალაქს, მოედო სოფლებს, ისევ მონახა  
ბნელი სარდაფი,  
შეხოჭა ერთი მძლეველი ძალით და გადაღეკა  
აღფრთოვანებით.

დაეცა კრემლი! და ნაფოტებათ იქცა წარსულთა  
ტანჯვათ მიზეზი.  
მე ვალმიხდილი ისევე ველი, როგორ მოყვება  
ავდარს ავდარი.  
ეს მე ვარ, მე ვარ, ეს მე ვარ ქარი, ვისვენებ ეხლა,  
ვოცნებობ მზეზე,  
ერთმევა ფერი ყვითელ არეებს და მოკლული ვარ,  
როგორც აფთარი.

[1919 წლის მაისამდე]

## XLVII

### ი.ა.

ქალაქში, მტვერში ნაიქცა ბავში  
ნუკრის თვალეებით, თმით – მიმოზებით  
და მწუხარების მალენიავში  
მოფრინდენ ლურჯი ანგელოზები.

შემლილი სახით კივოდა ქუჩა:  
შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა!  
მზეზე ყვაოდა სოფლად ალუჩა  
და გაისმოდა დების სიმღერა.

[1919 წლის მაისამდე]

## XLVIII

### სიზარე

მე მიღალატეს ძველმა რითმებმა  
(ძველ მეგობრებსაც ვამჩნევ მე ღალატს),  
თუმცა მე მასთან მიყვარდა შებმა –  
ეხლა რა ვუყო სპლინს, უხმო ჯალათს!

ეჰა! მე ვამბობ: სად შემიძლია  
ვებრძოლო ქალთა წყევლას, სიბერეს?  
წვიმები წვიმებს სიცილით ცვლიან  
და შლიან შემკრთალ სურათის ფერებს.

[1919 წლის მაისამდე]

## XLIX

### ელგარი მესამედ

ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი.  
იყო სალამო. ლოცვები. ზარი.  
და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა,  
რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი.

ენატრებოდა ფრთებს სითამამე  
უზრუნველობის, შენი სიშორის!  
მაგრამ უეცრად ვილაც მესამე,  
ვილაც მახინჯი ჩადგა ჩვენს შორის.

და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი:  
საცაა, მოვა სიკვდილის წამი!  
ტიროდა ქარი, კვდებოდა ქარი  
და მოვდიოდით ტაძრისკენ სამი.

[1919 წლის მაისამდე]

## L

### შენ და დემონი

სალამოვ, ვიცი, ბაღში შეხვალ ეკლესიიდან  
და გაცემის მწუხარებას მასთან მიიტან.  
თითქო ბეჭდებზე დაგეყრება ვარდების ცვარი  
და სურნელებით აივსება შენი ლოცვანი.  
და მხოლოდ ღამით იგრძნობს სული, როგორც  
სამებას!

ყვავილებს და ცას, საუკუნო გამოსაღმებას.  
მოგონებები ელვარებენ ისევ ბეჭდებად,  
მოვა დემონი, დაფიქრდება და შეეჭვდება.  
და სავანისგან სიზმარით მიაქვს ღამის ქარს  
მხევალთ გალობა: შეიბრალებ! იგი წმინდა არს!

[1919 წლის მაისამდე]

## LI

### ასალი მოსახლეობა

ჩვენ ერთად ვუცდიდით ღამეში თეთრ სანთელს,  
ჩვენ ერთად მოვრკალეთ ლოდინი და რიცხვი.  
ბედივით გამოყვა ჩემს ბინას შარშანდელს  
უქმი და უგონო ცხოვრების სირცხვილი.

ვილაცა მახინჯი მხიარულ სიცილით  
შემოგვხვდა... დაგვიწყო, დაგვიწყო პატიჟი!  
ვინ იყო? საიდან? ჩვენ ის ვერ ვიცანით  
და ყველა შევყვეით შავი დღის ბადეში.

დავბრუნდით ბინაში და დაგვხვდა ცხედარი!  
მივაგნეთ სულის კვალს! მე ნატვრას ვეახლე!  
ოჰ! დადგა ჩვენი დრო ჩუმი და ნეტარი,  
იდუმალ ქვეყნების ვართ ეხლა მოსახლე.

[1919 წლის მაისამდე]



## LII

### თიბათვე გავიდა

თიბათვე გავიდა. აჭრელდა ქათიბი  
იქ, სადაც ყელამდე ლელავდა სათიბი.

მეც მალე ჩრდილოეთს ვეწვევი კიდობნით,  
მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!

ურჩის ხელში ვარ! დამედო ვალები!  
ოჰ! უნდა გავყიდო მამული, ჭალები!

რა გზაა:

მე მიკვირს, რომ დღემდე გავძელი!  
სასახლეს გავყიდე... სათიბიც ავცელე!

[1919 წლის მაისამდე]

### LIII

#### არაგვი

თან მიმყოლი ჩრდილები, აუხსნელი ქარაგმი,  
სადაც მწვანე ველია და მქუხარე არაგვი.

სადაც მოკლულ ოცნებით ღიმილისთვის ჩავედი,  
სადაც ხევსურეთია, თუშეთი და ფშავეთი.

ერთხელ შვიდ წელიწადში შენი ცა გაიხსნება,  
რასაც მაშინ ისურვებ – ყველაფერი იქნება.

გარინდდება მდინარე (ეს არაგვი, ზმანება),  
ყველაფერი უცნაურ მოსვლას დაეგვანება.

[1919 წლის მაისამდე]

## LIV

### სახლი ტყის პირად

ეხლაც ჩემს თვალწინ არის  
თქვენი ბინა ტყის პირად  
და სალამო მდინარის  
გახეული ცისფერად...

მთავაზობდით დები ვარდთ  
და ამბობდით ლანდებით:  
„თქვენ ისეთი კარგი ხართ,  
თქვენ პოეტი ბრძანდებით“.

და გავიდა ივლისი  
და მოვიდა, ნამებო,  
შფოთიანი ტფილისი:  
პოეტების სამეფო!

[1919 წლის მაისამდე]

LV

## დაგვილოჯა

ეტლს თან მიყვება მყუდრო სოფელი  
და შემოდგომა შეუდარველი:  
ქალწულთა ბედი და ღვთისმშობელი  
იყოს მარადის შენი მფარველი!

ნურავინ ქვეყნად ნუ დარდობს შენზე,  
ბედნიერებას შენ აღარ ელი.  
უფალი იყოს ცოდვილის შემწე,  
მადონა იყოს მისი მფარველი.

[1919 წლის მაისამდე]

## LVI

### პრიმიტივი

ყოველ თეთრ ღამეს, მთვარიან ღამეს  
ვიღაც სალამურს გრძნობით ატირებს,  
ვარსკვლავნი რთავენ ამ დროს მიდამოს:  
უცხო ღელეებს, ცისფერ ნაპირებს.  
გამჭვირვალე ცა თვალებს იტაცებს  
და მთვარე რონინს უფრო ახშირებს  
და გულიც ამ დროს უფრო ხშირად სცემს  
და ცრემლი თვალთგან რბენას აპირებს.

მთებს სძინავს. სძინავს, სძინავს მდინარეს  
შორი სივრციდან ვერცხლივით მბზინავს.  
აფრთოვანება აგიჟებს თარებს  
და ისარის ფრთით ფიქრი მიფრინავს.  
და მჯერა: ვინმე განთიადამდე  
ისმენს ამ ოხვრას და მწარე გმინვას,  
კივის... დაეძებს ნათესავ ლანდებს  
და ყველას სძინავს, სძინავს... ოჰ! სძინავს.

[1915]

## LVII

### შენი სადღეგრძელო

კაფეში შევალ სრულიად მარტო  
და ორს ავივსებ სასმელით ჭიქას,  
ერთი შენია (უნდა ვიდარდო  
ასეც და ისეც, აქაც და იქაც!).

შენს სადღეგრძელოს ჩუმად ჩამძახებს  
ჭიანურები, ვსვამ: ალავერდი!  
მაგრამ შენს ჭიქას ხელს არვინ ახებს,  
პასუხს არ მაძლევს ხმათა ხავერდი.

და გაფითრებულ სარკეში მცურავს  
ეს მწუხარება ვინ დამიფასოს?  
მე გეუბნები ასე სამდურავს,  
მაგრამ შენ მაინც არ მაძლევ პასუხს.

[1916]

## LVIII

### ცამეტი წლის ხარ

ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა  
ჭაღარა გულის ზმანება ავი –  
ჩაანყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,  
ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი!

გაივლის კიდევ ცამეტი წელი,  
მოახლოვდება გზა ოცდაექვსი,  
მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი,  
ატირდება დრო და ჩემი ლექსი.

ოჰ! როგორ მიდის ახალგაზრდობა,  
დაუნდობელი სურვილი ლომის!  
და ყოველივე როგორ ნაზდება,  
როცა ახლოა მზე შემოდგომის.

[1919 წლის მაისამდე]

## LIX

### ლოდიან

საბაოფთ ბინაში  
მშვიდად გეძინა შენ  
ეკვდერის დაფნაში  
სანთლების წინაშე;  
და გედი მხევალი  
ოცი წლის შობიდან  
ეხლა უსულოა,  
როგორც ნიობიდა;  
ალარც სიყვარული  
ძეგლთან აღარ მოდის.  
იგი განისვენებს  
ქვეშე ამა ლოდის.

[1919 წლის მაისამდე]



## LX

### გვიანი ოცნება

ნიგნი ვედრებიანი,  
ალოცება სატანის,  
და ოცნება გვიანი  
ვიღვე დე ლილ-ადანის.

ხშირად მომეფარების  
ჩემი კარგი ზმანება  
და მტანჯავს მწუხარების  
ყელით გადაქანება.

ლურჯი, ლურჯი დღე არის,  
განშორების დღე არის,  
მე არ ველი უარესს...

[1919 წლის მაისამდე]

## LXI

### სანთელი

ლამის ნათელში, მტვერში, მთვარეში  
მიყვარდა სულის შეხება შენი,  
ტფილისის დაღლილ ქარის თარეში,  
კოშკები, ძველად ნაგებ-ნაშენი.

მსუბუქი ალით გზებს ეკიდება  
ტალღები ნელი და სურნელება,  
მე მახსოვს შენი ძველი დიდება  
და განშორება ან მეძნელება.

ყოველდღე მოდის ახალი ტალღა  
მყვირალა, სუსტი და დღევანდელი,  
და დროშასავით მე მიმაქვს მაღლა  
სანთელი... შენი სული, სანთელი.

[1919 წლის მაისამდე]

## LXII

### მფარველი იალქნები

გამოჩნდებოდა შემოდგომა ჩემი მფარველი,  
როდესაც სულში დაჭკნებოდა ათასი ვარდი,  
საბედისწერო ბედის ბილიკს გადავიარდი,  
თუ ქარიშხალი მატარებდა განუქარველი.  
და მისი ხმები მომესმოდა: ზღვაო, დანყნარდი!  
შენ, ქარიშხალო, დასავლეთის გზებით წარველი.  
მე მგზავრი მგოსნის ანგელოზი მქვია მფარველი,  
სული იმისი სხვანაირად არის წარმართი.

ოჰ! რა ოცნება იყო ჩემთვის ასეთი ხმები!  
ულრუბლო ზღვაზე მისცურავდენ მძიმე გემები  
და დროშათ გროვა, დანეწილი და დაქანცული.  
შორით მოსჩანდნენ იალქნები და უფრო შორით  
დატევებული ქარიშხალთა წითელ იზორით  
ეხლა საამოდ ელვარებდა თეთრი კუნძული.

[1919 წლის მაისამდე]

## LXIII

### ნუგეზი

არის დღეს ჩემთვის ნაზი ნუგეში,  
ვიყო უმშვიდეს წარსულის მტერი:  
შევიდე უცხო სიმსუბუქეში,  
გამომყვეს ლურჯა ცხენების მტვერი.

ვიცი: ეს მხოლოდ ისე იქნება,  
როგორც ყოფილა ოდესმე ღამით:  
დათვლა ნაბიჯის და დამიზნება,  
ნისლიან ამიდს, ნისლიან ამიდს!

მაგრამ ნაცნობი ზმანება ბროლის  
მოვა: სალამი თანამგრძნობ თვალებს!  
მას მოიზიდავს ხმოზა გასროლის  
და შეჩერებას მე დამავალებს.

ვიცი: პოეტის გატეხილ სახელს  
ბრბო არ დაინდობს გასათელავად,  
მაგრამ შენი მზე სიბნელეს გახვეს  
და დაადგება შუბლს ნათელივით.

[1916]

## LXIV

### აუზისაგან

ჭოგრიტით მზერა, ხელთათმანი... შენ აისრულე  
სურვილი დიდი და დაბურულ ბალის დარდები,  
ლალი ირემი სიყვარულით ხარ დაისრული,  
წყურვილმოკლული აუზისგან მიემართები.

შენ მოგდევს კოცნის გამძაფრება და თვითეული  
ძარღვი ხელების... შავი ხალი მაღალი ყელის.  
შენ გელის დაფნა, შენ დიადი დიდება გელის,  
პოეტო! არვინ არ ყოფილა ესდენ ძლეული.

[1919 წლის მაისამდე]

## LXV

### მზადება განსამზავრებლად

უცებ დადგა მაისი ნელი და შემპარავი!  
ფორთოხლების რტოებში აზვირთდნენ ნიავები;  
რადგან არ მაქვს სამშობლო, რადგან არ მყავს  
არავინ,  
ისევ უცხოეთისკენ მიმაფრენენ ნავები!

ლურჯი იალქნებისგან ვიცი, რა დარებია!  
ოჰ! ამდენი ოცნება სულმა ველარ დალია,  
რადგან მთელ სიცოცხლეში არვინ არ მყვარებია –  
მე მიყვარს საფრანგეთი, ალპები, იტალია!

[1919 წლის მაისამდე]

## LXVI

### უცნაური სასახლე

ამნაირი დარებით,  
კიდითკიდე დარებით,  
ფერის ფერთან დარებით  
შენობების შენება.

ცამაც ქარვად მიქარვა  
და ოცნება მიქარვა,  
მწუხარებით მიქარვა...  
მტანჯავს მე უშენობა!

მან კოშკების ამაღა  
ხან ეთერში ამაღა,  
ხან ქარივით ამაღა,  
გაქროლება ანაზდა.

ცვივა ლურჯი ფარული,  
მოგონება ფარული,  
ფართან ლანდი ფარული  
და ბალები განაზდა.

ყველაფერი სადაა,  
მაგრამ, მითხარ, სადაა.  
ის, რაც ალერსადაა:  
ტრიანონი, შირაზი?

ველი წამით ნანამებს,  
პოეზიით ნანამებს,  
რასაც იტყვის ნანამებს  
ფიქრი ამ სიხშირეზე.

დასთა უცხოთ დასობა,  
თვალთა ქროლვით დასობა –  
ხანჯლის გულში დასობა...  
გულში, გულში ტარება.

ელვარება ამიდის,  
ანთებული ამიდის  
და ფიქრები ამიდის  
აღარ მომეკარება.

შადრევენებმა ათასმა  
ლაჟვარდები ათასმა,  
მარმალილომ და თასმა  
სამუდამოდ დარეკა.

ყრუ ოხვრით და ზარებით,  
იდუმალი ზარებით,  
განტევება-ზარებით  
და ვედრებით: ჰარიქა!

ცვივა ლურჯი ფარული,  
მოგონება ფარული,  
ფართან ლანდი ფარული,  
აჩონჩხილი შენობა.

ცამან ქარვად მიქარვა  
და ოცნება მიქარვა,  
მწუხარებათ მიქარვა:  
მომკლავს მე უშენობა!

[1919 წლის მაისამდე]



## LXVII

### მამული

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა  
არ გავიარე – რაა მამული!  
წინაპართაგან წავიდა ყველა,  
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.

გაშალა ველი ნელმა ნიავმა  
და მელანდება მე მის წიაღში  
მოხუცი მამა, მოხუცი მამა  
სასხლავით ხელში დადის ვენახში.

აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი  
მასზე ოცნებას დაეგვანება,  
ისევ ამწვანდა მდელი და კორდი!  
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!

[1919 წლის მაისამდე]

## LXVIII

### მწუსარება ზენზა

მე გარს მეხვევა მუდამ, იგივე  
შენ მიერ ნაზად ნაქსოვი რიდე.  
ხალხს მოვშორდები, მაგრამ ლამეებს  
სად დავემალო, სად წავუვიდე?

ღვინით თასები ისევ ივსება,  
ისევ მევსება დარდით თვალები.  
შორით მომესმის ყრუ ტაშისცემა,  
მაგრამ იქ ვისმეს შევებრალები?

მე ვიხდი ნილაბს! მომგვარეთ რაში!  
შენთან! ნუგეშთან! ო, ჩქარა, ჩქარა!  
მე მომდევს განთქმულ სახელის ტაში,  
დიდება, ცრემლი, ღელვა, მუქარა.

[1916]

## LXIX

### შენ ერთი მაინც

საქართველოში შენ ერთი მაინც  
არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები,  
შეგებრალემა თვითონ კაინიც –  
თუკი პოეტის ჰქვია სახელი.

ოჰ, ჩემი სული ბევრს დაიმონებს,  
მეგობრები კი არ მეყვარება –  
სხვაგვარ თიბათვის დღეებს იგონებს  
ჩამავალ მზეთა მგლოვიარება.

გიგზავნი ამ წიგნს... როგორც ოდესმე  
მომქონდა შენთან წიგნი პირველი,  
შენმა ღიმილმა უბოროტესმა  
დაინდოს წიგნი და შემწირველი.

[1918]

## LXX

### სიზმრები

შეღამდა. მე ნაველ იქ, სადაც სიზმრები  
ნიგნებში დარდობენ დახუჭულ თვალებით,  
ჰანგები დაქრიან ვით ქარში ისრები  
და სული ფითრდება ნათელის ცვალებით.  
ნავიდენ ლანდები, მეორე, მესამე...  
და ღამე დაჭრილი ფრთებივით დაქანდა,  
შენ იცი? შენ იცი – მე როგორ ვენამე?  
როდესაც მე მოველ – არავინ არ სჩანდა!  
მე მქონდა ვაზაში ვარდები მრავალი  
უცხო და შორეულ მდინარის ნაპირთა,  
არ იყო იქ მხოლოდ ნაცნობი ყვავილი,  
იდუმალ ძახილმა ღამით რომ დამპირდა.

[1916-1917]

## LXXI

### მე მოვალ

ძვირფასო, ძვირფასო! ბედი კლავს ჩემს სხეულს,  
თვალეებში ყორნების მქენჯნიან კლანჭები,  
ამირანს მიჯაჭვულს და მგოსანს ნაქცეულს  
ვილაც ფრთებს მიკვეცავს... ეჰა, ვიტანჯები!

ამაოდ მომესმის დედოფალთ გროვიდან  
დახილი უცნობი, მსუბუქი, ცისმარი:  
„მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოვიტან,  
მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ – სიზმარი!“

[1916-1917]

## LXXII

### ლოცვისთვის

ვით ლოცვა – ედება საღამო მთის კალთებს.  
შორს ქარი გაჰკივის, ბნელდება თანდათან.  
მე გავალ ამ ქარში, გავიტან ამ ვარდებს  
და შენი ლოდინის სიმღერას გავატან.

ასეთი ვარდებით ივსება აუზი,  
დარეკა გრიგალმა და ხმები გარეკა:  
წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს ქაოსი!  
შენ, ჩემო გენიავ – გრიგალმა დარეკა!

[1916-1917]

## LXXIII

### სასწაულს

შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელ-ცოდვილს  
ლღუციფერს, ჩემს სულში ავობით მძვინვარეს,  
ლღუციფერს, მრისხანე ვეფხვივით დაკოდილს  
და ეხლა მიძინარეს.

შეუნდე, შეუნდე ჯოჯოხეთს – ჩემს თვალებს!  
შეუნდე ჩემს ხელებს, ბოროტად დაღალულს.  
მე შენი უმანკო ნათელი მანვალებს,  
მე ველი სასწაულს.

[1916-1917]

## LXXIV

### დრო

აზიის დაშლილი თმის შავი გიშერის  
მსუბუქი ტალღები და ლურჯა ცხენები!  
შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის,  
როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები.

სარკეთა სახეებს სანთლები მოედო  
და შვენის რუსთაველს შირაზის ვარდები;  
სიმღერის მხურვალე დრო არის, პოეტო,  
თუ ასე წარმართი გზით წარემართები.

[1919 წლის მაისამდე]



## LXXV

### მწოლარე

იყო ის მწუხარება – ბალახებში მწოლარე  
და ეფინა ალვათა ხეივანის სუმბული,  
მიდიოდა მდინარე, როგორც ლურჯი ოლარი  
და მახლობლად კიოდა მეთორმეტე ბუღბული.

და ფოთლების შრიალი იყო როგორც ოპერა,  
შორეული ბალები, მედეას ხნის კამარა.  
უცებ ქარმა ზვირთები დასავლეთით მობერა,  
მიეფერა დაღალულს და ზღვებს გადააბარა.

კითხულობდა პოეტებს: ედგარს, ჰანრი რენიეს –  
და ლანდები ჩქარობდენ ოცნებების კიდეზე  
და ვერ წარმოედგინა ბედნიერს და მშვენიერს  
ცა უფრო უმაღლესი, ცა უფრო უდიდესი.

[1919 წლის მაისამდე]

## LXXVI

### ნმ. გიორგი

უცნაურ ბინდში გუთნეული მიყვება ჭალას,  
ქარი არ არხევს ოქროსფერი მინდვრების ჩალას.  
ამოდის მთვარე. სადღაც ქოხში იელვებს კვარი,  
იქ, სადაც არავის უერთდება მდინარე მტკვარი,  
სადაც ცვარი სვამს ზამბახების სავსე ფიალას –  
შეგვიანებულ გზით გაივლის ხევსური მწყემსი  
და მისი სული ვარსკვლავების სულზე უვრცესი  
ოცნებობს მთვარის სითეთრეში ვით ქანდაკება.  
მას თან მიყვება უბრალოთა მშვიდი განგება,  
ლურჯ ზღაპარივით ხავსი ფარავს დაწნეულ წისქვილს,  
წყალი იმტვრევა გადაკეცილ ბროლის რკალებად  
და სინათლეში სილამაზით სავსე ალები  
კოჭამდე თმებით შადრევანზე აირევიან –  
არის კივილი, მღელვარება, ცეკვა, სიცილი  
ასიათასი და მრავალი ათასი ალის.  
ამოდ შიშით შეიშლება გვიანი სული.  
აღფრთოვანება-გაგიჟების ხმა არ შეწყდება –  
სანამდე რაშით არ წამოვა წმინდა გიორგი!  
ხმობა ნელდება, ცა ფითრდება და მზე ამოდის,  
წელში მოხრილი ზვირთივით დგას ძველი წისქვილი.

[1919 წლის მაისამდე]

## LXXVII

### სროლის ხმა მთაში

გაისმა შორი სროლის ხმა მთაში  
და მონადირემ დაკოდა შველი...  
სალამო იწვა ხავერდის ყდაში  
ვით წიგნი ლურჯი და ძველისძველი...  
ეს იყო მაშინ, ეს იყო მაშინ,  
როცა მე ბავში ვიყავ.

არ არის რამე უფრო მტანჯველი,  
როდესაც კუბოს მიყვები ქარში:  
„დარჩი“ – ქვითინებს ჰაერში მარში,  
მაგრამ ვერავის ქვეყნად ვერ შველი.  
ეს იყო მაშინ, ეს იყო მაშინ,  
როცა მე ბავში ვიყავ.

კუბო, უმიზნოდ მცურავი ქარში  
და უმიზეზოდ მოკლული შველი!  
დაედევნება ბავშვებს სიზმარში  
ეს მოგონების ლანდი, სანთელი.  
რას იზამს მაშინ, რას იზამს მაშინ  
მზე, ნაკადული, მთები და ველი?

ეხლა სხვა დროა! ნისლს ათამაშებს  
შემოდგომის ტყე... ცხოვრება ძნელი!  
ჩემთვის ერთია: ბედის წინაშე  
ბავშვებს საიდან ელით საშველი,  
მე აღარ ვამბობ: უშველეთ ბავშვებს,  
მიეცით ბავშვებს სასუფვეელი.

მაგრამ ხანდახან მე გული მტკივა:  
რად არის ასე, რად არის ასე?  
რისთვის მოჰკალით ჩემი სინაზე?  
მახსოვს ფოთლები, ვენახი, თივა...  
ოჰ, მეგობრებო! სანამდე მივა...  
ოცნება ფერფლზე, მზეზე, წვიმაზე!

[1919 წლის მაისამდე]

## LXXVIII

### ქველი რვეულიდან

მიყვარს შენი სახელის უცხოეთში ხსენება,  
მოგონება ღრუბლების – მზე რომ ჩაესვენება.

რალაც შორეულია შენი კარგი სოფელი,  
ალუბლების ღიმილი და მზე დაუნდობელი.

და ანთებულ თეატრში, სადაც მე ვარ პირველი,  
ხშირად აშრილდება ტირიფების მწერვალი.

და მეძახის, მეძახის! და არ არის საშველი!  
და დაქრიან ფარდებში ოცნებებათ აშლილი.

[1919 წლის მაისამდე]

## LXXIX

### მზის ჩასვლა

მზის ჩასვლა იყო – ვით ანარეკლი  
ძველი დიდების,  
ღრუბელთა შორის დაიმსხვრა ძეგლი,  
პირამიდების.  
მე მივდიოდი ნანგრევზე ობლად,  
ობლად შენს გამო –  
მწუხარედ ქროდა ციურთა სოფლად  
ჩვენი საღამო.  
ქარმა ვერცხლისფრად შემოსა ნელი  
ცის დასავალი,  
ღრუბლებმა მაშინ გამალეს ველი  
ვარსკვლავთ სავალი.

[1919 წლის მაისამდე]

## LXXX

### რამდენიმე დღე პეტროპოლში

დაეშვა თოვლი, ფრინველი ლიბრი  
ბოლოდანყობილ ფრთების ქაღარით  
და ჩონჩხებიან ხეების ჯიბრი  
დაფარა ნაბდით ნაყაჩაღარით.

რა სულიერიც არის ეს ქარი  
ვიციტ: მოგვწყინდა ბაიათები!  
გარედ ატლასთა არტყია ჯარი,  
შიგნით შავი აქვს გულისნადები.

ქუჩა სიავის გრძნობამ შეფიფქა,  
თან მეფიცება ძმობას და დობას  
და ყორანივით უცნობი სკრიპკა  
ჩემს მხართან ტირის უამიდობას.

კარგია ძილი რკინაზე მძიმე!  
ან უცხოეთში უგზოდ დაკარგვა!  
კარგია თოვლი, კარგია წვიმა,  
მაგრამ, უცნობო, შენ რა დაგარქვა?

და როგორც ყორანს ააქვს ბრჭყალებით  
ჰაერში ნაზი ხელები ქალის –  
სიმები სწენენ შეუწყალებით  
ამ გაგიჟებას, ვედრებას, ხალისს.

წყებათ დაღწილ ზარების დარდი,  
დაღლილ ცხენების სუნთქვა და შური.  
მე, ნოემბერი და პეტროგრადი  
ასეთი კარგი და უდაბური.

და მარტოობამ სხვა ქადაგებით  
გაიგო ჩემი: ვარ გაძარცული!  
ამ უცხო ნისლის ბარიკადები  
მე მიყვარს როგორც ჩემი ნარსული.

ათოვს გამვლელებს და გულცივ ბალებს,  
სად უნდა ნახო აქ თავის თავი?  
ვილაცა დაქრის და ცეცხლს აჩალებს,  
მეც ყაჩაღივით ვარ გამბედავი.

მაინც სად გაქრა ეს წერეთელი,  
ჩხეიძეც გაქრა, როგორც ასეთი!  
ვიყავი ჩემთვის. ეხლა წერტილი:  
სიკვდილი ერთი და უცაბედი.

და როცა ცეცხლში ქანაობს ლავრა,  
ბრმების თუნუქებს ტყეხენ ლოთები,  
ლავრაში ლოცვა ვერ დავამთავრე  
და კალუგისკენ გზებს ველოდები.

თან ასე ვფიქრობ: ეს ბავშვი ტირის!  
მე კი, რადგანაც გამძარცვეს გუშინ,  
გავყიდი გაზეთს, გავყიდი ირისს,  
ანდა რევოლვერს დავიცლი გულში!

[1917-1918]



LXXXI

## საქუბი

საყვარელ ხელებს შეშლილივით დავენაფები,  
ბროლის თითები, მზისგან სავსე ალისფერ ღვინით,  
მე დამათრობენ:  
გავეგები,  
გავენაბები!

პოემას უვრცესს  
დაერქმევა:  
ალვა და სურო.  
იქ შორეული მხარეები  
უნდა გამეფდეს!

ოჰ!  
ეს იქნება აღტაცება ჩემი ნამდვილი,  
რომელიც დათვლის შენს თითებზე  
დამსხვრეულ ბეჭდებს.

[1919 წლის მაისამდე]

## LXXXII

### გემი „დალანდი“

გამომალვია ღამის აღმა ნელმა და ქურდმა,  
ბალი ყელამდე ზამბახებით იყო ნაბური,  
ირგვლივ ეყარა დანგრეულთა ჩრდილთა ჩუქურთმა,  
ბალს იქით მიძიმედ ხმაურობდა ზღვა უდაბური.

მე მივდიოდი. მალლა იდგა გემი „დალანდი“,  
როგორც ნარცისი თავის ლანდზე შეყვარებული,  
ჩემი დაფნისთვის მიტაცებდა ლურჯი მანდილი  
ქვეყნად მთვარეულ ზამბახებში შეფარებული.

გემით „დალანდი“ მოვდიოდი სამშობლოსაკენ  
და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდათ ჰქონდა;  
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოვაგენ  
და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა.

გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:  
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!  
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი“  
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი.

[1918]

## LXXXIII

### დაბრუნება

ლიხს აქით და იქით, მტკვარს, ლიხვს და ფაზისს  
არქმევენ უდაბნოდ გადაშლილ ოაზისს,  
სადაც მზე მწველია, ცხელია დარები,  
მცხეთაში გრიალით მიქრიან ზარები,  
გუგუნებს იტრიის ხეობა ულრანი  
და ოხრავს წარსულზე ნანგრევი მუხრანი.  
ყოველგან უჩინრათ ტირიან დანაკლისს  
თამარის ტაძრები და ძვლები ირაკლის.

და

ყოველ საფლავზე, მზის ყოველ ღეროზე  
ხაზებად იშლება ეროსი,  
სიონი მთანმინდათ, გეგუთი გელათად,  
არაბთა თვალები, ქცეული ელადათ,  
აზია, –

აღელვებს ოცნებას.

სალამოს ლანდები ვით ბინდი ნიავის  
მიდამოს სდებია,

გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?

ეს ჩემი სამშობლო მთებია!

მე რაღაც იდუმალ მოლოდინს ვუნდები...

ირგვლივ ზვირთებია

და გემი „დალანდი“, რომლითაც ვბრუნდები!

[1918]

## LXXXIV

### გზაში

I

ლურჯი აჩრდილი ცხელ ჰაერში დგას.  
ისმის ნაცნობი ჟრჟოლა სიმინდის,  
ზუზუნნი გააქვს უბინაო სკას,  
ოჰ! სამუდამოდ დაწყველილ სინდისს.

სულს ენატრება ძველი ზღაპარი!  
ნარსული წმინდა იყო ამ ქალის –  
როგორც სოფელში სამრეკლოს ზარი,  
როგორც ყანებში ელვა ნამგალის.

როდის მოვიდა ცოდვების გროვა  
და ჯოჯოხეთი... მითხარი, როდის?  
დაბრუნდა სული და ველარ ჰპოვა  
რამე, გარდა გზის და ცივი ლოდის.

II

მინდვრები, მთები და ზღვა ყანები  
მზეზე ელვარებს ნამებით სველი.  
კვლავ უზრუნველად მივექანები  
ურჩევად კარგი და ფეხშიშველი.

მოკლული ვიყავ უცხო ზმანებით,  
დამწვარი ვიყავ ქალაქის ქაფით –  
ხელები არ თრთის ხელთათმანებით!  
სული არ ტირის შავი ნიღაბით!

III

მწვანე ქალებში აფრინდა მწყერი,  
გაფრინდა ღაღღა, მიქრის ტოროლა,

მწვანე ტალღების მიდის მენყერი,  
ისმის ჯეჯილის მარაო-ქროლა.

სადმე ყრუ ადგილს დავესახლები  
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,  
სადაც იქნება ცოფი ნაკლები  
და უფრო ნაკლებ ადამიანი.

ცა ლაჟვარდია... დღე არის თბილი,  
მზე არის მწარე... გზა არის ცხელი.  
კმარა! მოვშორდი შფოთიან ტფილისს!  
არც მსურს მახსოვდეს მისი სახელი!

#### IV

და ერთადერთი ნაზი დარაჯი,  
გადიფრენს თვალწინ აჩრდილი მერის!  
არ-ამქვეყნიურ უზუნდარაში  
გაიყოლიებს სულის სიბერეს.

არ დაბრუნდება ამ მხარეს ცეცხლი  
წარსულთა დღეთა სხვანაირ მხარის;  
ეხლა უმიზნოდ მიდის სიცოცხლე  
და დაბრუნება მაინც მიხარის.

მხოლოდ ხანდახან ქარი შეარყევს  
ოდნავ გაღებულ კარებს ბალისას,  
შრიალი გააქვთ ძველებურ არყებს:  
სხვა ცხოვრებისთვის თითქო მალვიძებს!

#### V

აქ მრავალია ცისფერი ფერი!  
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება.  
როგორც ქალწულის სახელი: მერი –  
არის ცისფერი და მწუხარება.

გახედე შორ მთებს! გახედე სერებს!  
გახედე ტალღებს ჩაქსოვილს ტბაში,  
ცისფერი ისე უცხოდ იფერებს  
სამოსელს დღეთა ელვარებაში.

სული ეძახის იმ უჩინარ ტყვეს,  
ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს,  
იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს  
და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს.

[1916]

## LXXXV

### შიში

ქალაქში შიშია.  
ქუჩებს და მოედნებს  
ბურჟედ და მოლღერად  
მოედო ხოლერა.

და თეთრი ეტლები  
მიქრიან.  
სკდებიან კედლები.  
მე მიფიქრია

ამნაირ დღეებზე ჩუმად და  
ცბიერად.  
ცხედრები, ცხედრები...  
ხოლერა, ხოლერა.

და როგორც მხედრები,  
როგორც ცა-იერად,  
მენწყერად, სამუმად  
გვედება ეს ქირი.

მზე ჩავა, ამოვა,  
ყოველთვის შავია!  
ნიავიც სავსეა  
ხოლერით!

მთვარესაც ედება  
ბაცილა!  
ფანჯრებზე ფარდები  
არ შეირხევიან.

არტისტი  
გადადგამს ერთ ნაბიჯს  
სრულიად ცოცხალი  
და  
უცებ ეცემა.

ობერაში  
მე ვხედავ: გადასძვრათ  
მსმენელებს ტყავები  
თავების სარქველიდან.  
(ეს ხდება უეცრად)  
დადიან ჩონჩხები:  
ხოლერა, ხოლერა!

ქალაქს დალუპვა ელის!  
ამაოდ გული  
აევსება წინათგრძნობებით.  
დადგება სიჩუმე:

დალუპვა ელის!  
შავი აჩრდილი  
სწუხს:  
დალუპვა ელის!

ტკივილებით გამწარებული  
ღრღნის მიწას...  
ექახის...  
ვინ ისმენს?  
არავინ, არავინ:  
ის იღუპება!

რაა ყორნის ხმა?  
რას ნიშნავს ვაზა გატეხილი?



წინ მიაქვთ კუბო,  
ქალაქი ფითრდება...  
მან შეამჩნია,  
რომ ბერდება,

ძლიერ ბერდება,  
იქ ყველამ იცის  
რომ დღეს თუ ხვალ  
შეუერთდება მქროლავობას  
და  
შეჩერდება.

ჩემს მკერავს, რომელსაც  
თითი არ სტკენია –

მთავრობამ ზედ კარზე  
კირი მოუყარა!  
და შემდეგ (ჯანმრთელი)  
გაგზავნა... იმ ეტლით!

იქ ჩემი მკერავი  
თავს გრძნობდა ტანჯულად.  
ეტყოდა ექიმებს:  
„მე ავად  
არა ვარ!“

ვინ მოვა მსაჯულად?  
არავინ!  
მზე ჩავა, ამოვა,  
ყოველთვის შავია!

ნიავიც სავსეა  
ხოლერით!

მთვარესაც ედება  
ბაცილა!

ხეებიც ხმებიან!  
სახლებზე ფარდები  
არ შეირხევიან.  
და ერთ დღეს...

ხოლერა...  
ის...

[1919 წლის მაისამდე]

## LXXXVI

### დომინო

შევდივართ სასახლეში.

წმინდაო, დამიცვე! სუროში საშიშრად მივარდნილ კედლებით  
ეს სახლი მაგონებს დაწყველილ სამარეს:  
აქ მკვდრები დაქრიან ზღაპრული რაშებით და ბედის ეტლებით.  
ჰაერი სიკვდილით დაფარეს.  
განდეგილ ცხოვრებით დღეგრძელი მოხუცი ცხოვრობდა აქ  
ერთდროს.

ვინ იყო? სახელი არავინ იცოდა.

ათასგვარ წამლით და შელოცვით ეძებდა ბედნიერ სამკვიდროს  
და მუდამ ფარული ლელვებით იწოდა.  
მის თვალწინ ქარივით დგებოდენ ყოველდამ ფერმკრთალი ქალები:  
სანთლების, ნიგნების წყევლა და ვედრება!  
ისინი ტიროდენ, ისინი რეკავდენ თვალების რკალებით.  
რისხვა! ამხედრება!

აქ ხშირად ვხედავდი საყვარელ აჩრდილებს:

უეცარი გახელა, საოცარი შენობა,  
როგორ მოვანდომინო.

მესმის უცხო სახელი, მტანჯავს მე უშენობა,  
იდუმალო დომინო!

არაფერი ეშველა: ნილაბები წითელი,  
ნილაბები ათასი!

მაგრამ მე მომეჩვენა ჩემი ცა უწინდელი  
უფრო უდიადესი.

ლანდად სჩანდა ხელები და გეძებდი თვალებით,  
დაღალული თვალებით!

რეკდენ ცისარტყელები ფერის ჩუმი ცვალებით  
და მძაფრი გამალებით.

წმინდაო, დამიცვე! სუროში საშიშრად მივარდნილ კედლებით  
ეს სახლი მაგონებს დაწყველილ სამარეს,  
აქ მკვდრები დაქრიან ზღაპრული რაშებით და ბედის ეტლებით,

რომელთაც ჰაერი სიკვდილით დაფარეს.  
 თეთრი კვამლი ზღაპრების,  
 ამართული კანკელი.  
 მესმის ამ გამძაფრების  
 წამნამების კანკალი.  
 ქალთა ხმაში ფარული  
 ყვავილები სუროთი,  
 თოვლის ფერუმარული –  
 გაფითრების სურათი!  
 და თვალების წყვილი  
 და სიცილის ფერება –  
 როგორც ყრუ ბაიათი  
 ფიფქით დამემტერება.  
 ოჰ! ვიცი: სიცივიდან  
 ტერფამდე ვარ: დიდება!  
 მასთან ალებს მივიტან  
 ვეფხვი... არდარიდება!  
 ვიცი: ფრთასაც ვერ ახებს  
 იდუმალად ბეჯითი,  
 თითების გრძელ ზამბახებს  
 დაჩრდილული ბეჭედი.  
 ლანდივით მაქვს ნახული  
 ბეჭდის თვალში მოლები:  
 მოტეხილი ზაფხული  
 და ოხვრის პაროლები.  
 წმინდაო, დამიცევ! სუროში საშიშრად მივარდნილ კედლებით  
 ეს სახლი მაგონებს დაწყველილ სამარეს!  
 აქ მკვდრები დაქრიან ზღაპრული რაშეებით და ბედის ეტლებით,  
 რომელთაც ჰაერი სიკვდილით დაფარეს.  
 დარბაზში ისმოდა:  
 დომინო! დომინო!  
 გამოჩნდა **დომინო!**

[1919 წლის მაისამდე]

**ვერნიანტიეზი  
შენიშვნიეზი  
კმენტიერეზი**



## ტექსტისათვის

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა II ტომში შევიდა პოეტის 1915-1920 წლების ლირიკული ქმნილებანი. ლექსები წარმოდგენილია ორ განყოფილებად: 1. 1915-1920 წლებში დაწერილი ტექსტები, რომლებიც არ შესულა ეპოქალურ წიგნში „თავის ქალა არტისტული ყვაილებით“ და 2. თავად ეს წიგნი – „Crâne aux fleurs artistiques“.

პოეტის მეორე წიგნის ცალკე გამოყოფა განაპირობა იმან, რომ „თავის ქალა არტისტული ყვაილებით“, მსგავსად გალაკტიონის პირველი პოეტური კრებულისა (ლექსები, 1914), წიგნი-მთლიანობაა. მისი დაშლა და სხვა ლექსებს შორის ქრონოლოგიური პრინციპით გადანაწილება აკადემიურ გამოცემაში დაუშვებელია, რადგან იკარგება წიგნის აზრობრივ-სტრუქტურული ერთობა და მასთან ერთად – პოეტის თავდაპირველი ჩანაფიქრის კვალი.

მეორე ტომის მომზადებისას ჩვენ გავითვალისწინეთ გალაკტიონის თავისუფალი დამოკიდებულება დათარიღებისადმი და უარი ვთქვით ამ ტომში რამდენიმე ათეული ლექსის შეტანაზე, რომლებიც პირველად 1927 წლის კრებულში ან უფრო მოგვიანებითაც დაიბეჭდა და პოეტის მიერ ათი, ოცი და მეტი წლის შემდეგ პირობითად დათარიღდა 1915-1920 წლებით.

ძირითადი ტექსტის არჩევისას უპირატესობა მიეცა ქრონოლოგიურად ადრეულ პუბლიკაციებს. ისინი არ ატარებენ შემდეგდროინდელი ავტოცენზურის ნიშნებს და პოეტის ჭეშმარიტ ნებას გამოხატავენ.

ლექსების ვარიანტები შედგენილია გალაკტიონის სიცოცხლეში დაბეჭდილი ყველა პუბლიკაციისა და ავტოგრაფების მიხედვით, რომლებიც, როგორც წესი, გვიანდელია. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ 20-იანი წლების დასაწყისში პოეტმა დაწვა თავისი დღიურებისა და ხელნაწერების დიდი ნაწილი (სგ, XIII, გვ. 63).

ტომში დაცულია გ. ტაბიძის მართლწერა და, შექმნისდაგვარად, პუნქტუაციაც. ცვლილება შეეხო მხოლოდ კომპოზიტებს, რომლებიც წარმოდგენილია თანამედროვე ნორმების შესაბამისად. ტექსტში იშვიათი რედაქციული ჩარევანი ასახულია ვარიანტებში.

გალაკტიონის ხელნაწერები დაცულია საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გალაკტიონის ფონდში.

## პირობითი ნიშნები და შემოკლებანი

ვარიანტების ჩვენებისას გამოყენებულია შემდეგი პირობითი ნიშნები:

] ნაცვლად (მაგ. **ბრძენთა**] იგი **BCDE**. ნიშნავს: BCDE ვარიანტებში სიტყვის „ბრძენთა“ ნაცვლად იკითხება „იგი“).

+ ტექსტს ემატება (მაგ. **ვიამაყო+მე B**. ნიშნავს: B ვარიანტში სიტყვას „ვიამაყო“ ემატება „მე“).

- ტექსტს აკლია (მაგ. **არტისტი**] – **BC**. ნიშნავს: BC ვარიანტებში არ არის სიტყვა „არტისტი“).

~ გადაადგილებულია (მაგ. **4-5 ~ BCDE**. ნიშნავს: BCDE ვარიანტებში მეოთხე და მესამე სტრიქონები გადაადგილებულია).

\* პირვანდელი ტექსტი გადახაზულია (მაგ. **რტოების**] **აივნებს\*** **B**. ნიშნავს: B ვარიანტში იყო სიტყვა „აივნებს“, რომელიც ავტორს გადაუხაზავს და შეუცვლია სიტყვით „რტოების“).

**თთ** – გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966-1975.

**სგ** – გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, თბ., 2005-2008.

გ. ტაბიძის თხზულებათა აკადემიური თხუთმეტტომეულის II ტომის მომზადებასთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიული სამუშაოები შეასრულა ფილოლოგიის დოქტორმა **მამუკა შელევამ**.



## ART POETIQUE (გვ. 7)

**ნაბეჭდი:** ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №2, 11 იანვარი, გვ. 6 (A); ლექსები, 1927, გვ. 88 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 130 (C); რჩეული, 1944, გვ. 308 (D); რჩეული, 1954, გვ. 236 (E).

**სათაური:** – BCD; მიყვარდა ჰანგი E.

**თარიღი:** 1915 B; 1916 C; 1912 E.

2 მე მიყვარს] მიყვარდა BCDE. 4-5 ~ BCDE. 8 როცა] როს BCDE; იტევს] იტევდა BCD; სიღრმეში... იტევს] ვერ იტევდა სიღრმეში E. 9 მოდის... მოდის] გადმოდიოდა BCDE. 10,11 იმღერე] ვმღეროდი BCDE. 12 ოღონდ ყველაში] მსურდა ყოველში BCDE. 13 იყოს] გრძნობა BCDE. 14 გვისხნის] იგი BCDE. 15 ბრძენთა] იგი BCDE. 19 რითმათ თამაში] რითმათა ტაში C. 20 და] არამედ E; მშვენიერება] მშვენება E. 21-24 იმღერე... სილამაზე] – BCDE.

ლექსმა, რომელიც დიდი პოეტური რეფორმის დასაწყისში (1915) ავტორის ესთეტიკურ პოზიციას გამოხატავდა, მეორე პუბლიკაციისას (1927) მნიშვნელოვანი ცვლილებანი განიცადა, ამიტომ რეალური ვითარების აღსადგენად ძირითად ტექსტად პირველნაბეჭდი შეირჩა.

ამ ლექსის შესახებ აღ. აბაშელი (სატურნი) წერდა: „ეს იყო თანამედროვე მგონებისადმი პირველი მანიფესტი, მოწოდება მუსიკისა და სილამაზისადმი, მსგავსი პარიზის ბოგემის მეფის პოლ ვერლენის მოწოდებისა“ (ჟ. „ახალი ცისკარი“, 1916, №1, გვ. 11).

ნაწარმოების ანალიზს სპეციალური წერილი მიუძღვნა ა. ხინთიბიძემ (იხ.: გალაკტიონის პოეტიკა, თბ., 1987, გვ. 23-29).

## პედიწურა (გვ. 8)

**ნაბეჭდი:** ჟ. „განთიადი“, 1915, №2, იანვარი, გვ. 26 (A); ლექსები, 1927, გვ. 317 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 380 (C); რჩეული, 1944, გვ. 425 (D).

**თარიღი:** 1914 C.

2 ყვავიან] ჰყვავიან BCD. 9 შეწვევია] შეწვია C; მხოლოთ] მხოლოდ BCD.

### აკაკის გარდაცვალების გამო (გვ. 9)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 8121-8122 (B); 8312-8316 (C); 8696 (D); 8712-8713 (E).

**ნაბეჭდი:** ქ. „განთიადი“, 1915, №3, თებერვალი, გვ. 2 (A).

ლექსის ავტოგრაფები გვიანდელია. B, D და E ავტოგრაფები გადმოწერილია ქ. „განთიადიდან“. B ნასწორებია და ეს ცვლილებანი გადატანილია C-ში, რომელიც მანქანაზეა გადაბეჭდილი. თავის მხრივ, C ავტოგრაფიც ნასწორებია, D ვარიანტში კი მხოლოდ ტექსტის ფრაგმენტებია წარმოდგენილი (სტრ. 22-25; 50-57).

ქ. „განთიადში“ ტექსტი ხარვეზებით დაიბეჭდა, ამიტომ იგი გავასწორეთ იმ ავტოგრაფების მიხედვით, რომლებიც, მართალია, ამჟამად უკონადაა გადმოწერილი, მაგრამ აღნიშნულ ხარვეზებს არ შეიცავენ. კერძოდ, ლექსის ოქტავური სტროფიკის ფონზე, მეოთხე ნაკლულ, შვიდტაქიან სტროფს და მის სართიმო თანაცალის გარეშე დარჩენილ 38-ე სტრიქონს დაემატა ერთი, 39-ე სტრიქონი: „გაიხსენებს ის მერცხალიც თავის ლექსით მკობელს“. გარდა ამისა, 50-ე სტრიქონში სიტყვების გადაადგილების გამო (ტოტებს ჩამოაფენს) დაიკარგა რითმა. ავტოგრაფების გათვალისწინებით ჩვენ აღვადგინეთ სიტყვების სავარაუდო, სწორი თანამიმდევრობა („ჩამოაფენს ტოტებს“), რის შედეგადაც აღდგა რითმა (ტოტებს – მიდამოებს). ავტოგრაფში იკითხება გვიანდელი, უფრო გაუმჯობესებული ვარიანტიც: ტოტებს] რტოებს.

ლექსი დაწერილია 1915 წლის 26 იანვარს – აკაკი წერეთლის გარდაცვალების დღეს, სამწუხარო ამბის შეტყობისთანავე. ჭაბუკი გალაკტიონი ჩართული იყო დიდი ეროვნული პოეტის დამკრძალავი კომიტეტის საქმიანობაში.

აკაკისადმი მიძღვნილი, თითქმის ერთდროულად დაწერილი ორი პოეტური ნაწარმოები – „აკაკის გარდაცვალების გამო“ და „აკაკის ლანდი“ განხილულია ლ. ბრეგაძის წერილში „აკაკის ლანდი“ (კრ. „გალაკტიონოლოგია“, V, თბ., 2010, გვ. 61-71).

## ჰაზნერი (გვ. 11)

**ნაბეჭდი:** ჟ. „განთიადი“, 1915, №3, 1 თებერვალი, გვ. 6 (B); ლექსები, 1927, გვ. 107 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 154 (C); რჩეული, 1944, გვ. 315 (D).

**თარიღი:** 1915 ACD.

4 დისსონანსების] დისონანსების BC; მშვენიერებათ] მშვენიერებად C. 9 და] მე B; ბოროტად] ბოროტათ B. 11 გაჩნდება] გაჩდება B. 12 მარა] მარად C; ცად] ცათ B. 14 მომხიბვლელად] მომხიბვლელათ B. 17 ძეგლად] ძეგლათ B.

პირველნაბეჭდში (B ვარიანტი) 7-ე, 8-ე და 9-ე სტრიქონები ასეთი თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი: 8, 9, 7. 1927 წლის გამოცემაში პოეტმა აღადგინა ლექსის დარღვეული რითმათა წყობა (aa bb).

პირველი ტომის მაკეტში (№5760, გვ. 152) არის ამ ნაწარმოების წიგნიდან ამოჭრილი ტექსტი, რომელიც ნასწორებია ავტორის მიერ: გადახაზულია სათაური, 3-4 სტრიქონებში კი წაშლილია „ვაგნერი“ და მიწერილია „მუსიკა“.

ლექსში მოცემულია დიდი გერმანელი კომპოზიტორის, საოპერო ხელოვნების რეფორმატორისა და პოეტის რიხარდ ვაგნერის (1813-1883) მუსიკის ავტორისეული რეცეფცია და დახასიათება.

**ლოენგრინი, ტრისტანი და იზოლდა** – რ. ვაგნერის ოპერების („ლოენგრინი“, „ტრისტანი და იზოლდა“) მთავარი პერსონაჟები.

**„სიმღერა ვალკირიების“** – იგულისხმება სკანდინავიური მითოლოგიიდან მომდინარე ქალი-პერსონაჟების სიმღერა ოპერიდან „ვალკირია“, რომელიც ნაწილია ვაგნერის მონუმენტური ტეტრალოგიისა „ნიბელუნგების ბეჭედი“.

## ზანტაზია (გვ. 12)

**ნაბეჭდი:** ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №9, 1 მარტი, გვ. 6.

## მერი (გვ. 13)

**ნაბეჭდი:** ქ. „განთიადი“, 1915, №8, აპრილი, გვ. 1 (A); ლექსები, 1927, გვ. 151 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 33 (C); რჩეული, 1944, გვ. 336 (D). „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, 1944, გვ. 119 (E); ლექსები, 1953, გვ. 138 (F); რჩეული, 1954, გვ. 178 (G); რჩეული, 1959, გვ. 375 (H).

**სათაური:** „შენ ზღვისპირად BCDEF; შენ ზღვის პირად GH.“

**თარიღი:** 1915 BCGH.

**ეპიგრაფი:** „...სინათლე მთვარისა მოვა ნებასა“. შოთა რუსთაველი E.

2 პირათ] პირად BCDEFGH. 7 სიყვარულათ] სიყვარულად BCDEF GH; ვცანი] ვცანი BCDH. 10 უცხო] კარგი BCDEFGH; შევნიერი] მშვენიერი BCDEFGH. 14 სევდაზე] კრთომაზე E] კრთობაზე H. 17 შენკენ] შენსკენ BCDEF; მოქრის] მოჰქრის BCDEFGH.

სახელი **მერი** გალაკტიონთან პირველად ამ ლექსში გამოჩნდა და სათაურადაც იყო გატანილი. გახმაურებული ლექსი „მერი“ („შენ ჯვარს იწერდი...“) იმავე 1915 წელს, ცოტა მოგვიანებით დაიბეჭდა, ოღონდ უცხო დაწერილობის სათაურით „Meri“ (ქ. „თეატრი და ცხოვრება“, №36, გვ. 2). „არტიტული ყვავილებისათვის“ (1919) პოეტმა ამ ლექსის ახალი რედაქცია შექმნა, უარყო სათაურის უცხოური დაწერილობა და მასაც „მერი“ უწოდა. 1927 წლის კრებულში, – სავარაუდოდ, სახელწოდების გამეორების თავიდან ასაცილებლად, – პოპულარულ ლექსს, რომელსაც ლეგენდის შლეიფი ახლდა, იგივე სათაური („მერი“) დაუტოვა, ხოლო მერისადმი მიძღვნილ პირველ ლექსს „შენ ზღვისპირად“ უწოდა.

მერის ციკლის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ძირითად ტექსტად შეირჩა პირველი პუბლიკაცია, რომელსაც შემდგომ გამოცემებში ცვლილებანი თითქმის არ განუცდია. ამის შედაგად აღდგა ლექსის თავდაპირველი სახელწოდება და მასთან ერთად თემის შემოტანის რეალური სურათი.

## ყვითელი ზოთოლი (გვ. 14)

**ნაბეჭდი:** ქ. „განათლება“, 1915, №9, სექტემბერი, გვ. 484.

გალაკტიონის ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „უნდა აღვადგინო ჟურნალ „განათლებაში“ დაბეჭდილი „ყვითელი ფოთოლი“. მე ის წავიკითხე ქუთაისში, სალამოზე, რომელსაც დაესწრო აკაკი წერეთელი“ (სგ, XVI, გვ. 475-476). აქვე პოეტი იმოწმებს სტრიქონებს, რომელთაც იგი – „მრისხანე მომწოდებელი“ და „მეამბოხე“ – ხმის აწევით კითხულობდა:

ყვითელ ფოთოლს ღმერთი არ სწამს,  
ღმერთი არ სწამს ყვითელ ფოთოლს.

ჟ. „განათლებაში“ ერთი და იმავე სათაურით – „ყვითელი ფოთოლი“ გალაკტიონის ორი ლექსი დაიბეჭდა – 1912 (№9, გვ. 697) და 1915 (№9, გვ. 484) წლებში, მაგრამ დამოწმებული სტრიქონები არც ერთ ტექსტში არაა.

ტ. ტაბიძის წერილი „მარტოობის ორდენის კავალერი“ (გ. „საქართველო“, 1916, №3-4), შეიცავს მინიშნებას გალაკტიონის სტრიქონებზე (ნახსენებია გამხმარი ფოთოლი, რომელსაც ღმერთი არ სწამს), რაც მათ რეალურად არსებობას უნდა მოწმობდეს. შესაძლოა, ეს სტრიქონები იყო 1915 წლის მეტრულად იდენტურ ტექსტში, მაგრამ ცენზურამ ამოიღო და ზეპირი გზით ვრცელდებოდა.

### თეთრი ლანდებით (გვ. 15)

ნაბეჭდი: კრ. „სხივი“, 1916, გვ. 84

თარიღი: 1915 წ. წაღვერი.

კრებულში „სხივი“ საერთო სათაურით „მთვარის ლანდები“ ოთხი ლექსი დაიბეჭდა: „თეთრი ლანდებით“, „აღვები თოვლში“, „ვერხვები“ და „ის“ („Nocturne“), რომელთაგან ბოლო სამი გალაკტიონმა „არტისტულ ყვავილებში“ შეიტანა.

### პოეზი (გვ. 16)

ნაბეჭდი: ჟ. ახალი ცისკარი“, 1916, №1, 28 თებერვალი, გვ. 1 (A).

ლექსი „იმდენად ადამიანური დიდების წარმავალობაზე არ მიუთითებს, რამდენადაც ლირიკული „მე“-ს ისტორიულ-გენეალოგიურ კავშირებიდან ამოვარდნასა და დაობლებაზე“ (ზ. შათირიშვილი, გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა, თბ., 2004, გვ. 63-64).

თთ-ში (ტ. I, გვ. 299) მითითებული კიდევ ერთი ნაბეჭდი წყარო – ქ. „კანდელი“ (1922, №2, გვ. 3), სამწუხაროდ, ვერ მოიძებნა.

### **შენი ღიმილი (გვ. 17)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 59 (B).

**ნაბეჭდი:** ქ. ლიგეია“, 1917, №1, გვ. 3 (A).

**სათაური:** – B.

**ქვესათაური:** – B.

**ხელმოწერა:** NN. B.

**3** ღიმილით] ღიმილი A. **6** ადრე] ასე B. **7** მზეს, იტალიას] მზეს იტალიის A. **11** შენ] იმ B. **13** მაგრამ] შენი B.

კრებულში „გალაკტიონოლოგია“ (I, თბ., 2002, გვ. 234) გამოქვეყნებულია ლექსის უცნობი ავტოგრაფის ფოტოპირი კერძო კოლექციიდან. იგი ზუსტად მისდევს B ავტოგრაფის ტექსტს და თარიღიც ახლავს: 1916 წელი, 16 აპრილი. ჩვენ ვითვალისწინებთ ვ. ჯავახაძის შენიშვნას (იხ. მისი: უცნობი, თბ., 2013, გვ. 769) და პირველნაბეჭდში გაპარულ შეცდომებს ვასწორებთ ავტოგრაფების მიხედვით.

ლექსში საუბარია ლეონარდო და ვინჩის (1452-1519) შედევრზე „მონა ლიზა, ჯოკონდა“ და პორტრეტზე გამოსახული ქალის იდუმალ, გამოუცნობ ღიმილზე. ტილო 1911 წელს გაიტაცეს პარიზის ლუვრის მუზეუმიდან და სამი წლის ძიების შემდეგ დაუბრუნდა თავის ადგილსამყოფელს.

**„ტორკვატოს ცის ქვეშ“** – იგულისხმება XVI საუკუნის იტალიელი პოეტი, „გათავისუფლებული იერუსალიმის“ ავტორი ტორკვატო ტასო (1544-1595) და მისი სამშობლოს – იტალიის ცა.

## დროშები ჩქარა! (გვ. 18)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 3060 (B); 6865 (C); 6876 (D); 6877 (E); 7388 (F); 6637-6638 (G).

**ნაბეჭდი:** გ. „სოციალ-დემოკრატი“, 1917, №1 (A); ლექსები, 1927, გვ. 438 (H); თხზულებანი, II, 1935, გვ. 7 (I); ლექსები, 1937, გვ. 9 (J); ლირიკა, 1940, გვ. 7 (K); რჩეული, 1944, გვ. 95 (L); ლექსები, 1953, გვ. 83 (M); რჩეული 1954, გვ. 7 (N); რჩეული 1959, გვ. 33 (O).

**სათაური:** – B;

**თარიღი:** 1917 HIJKLNO; 1917 წ. 13 მარტი A.

**ხელმოწერა:** გალაქტიონი A.

ლექსის ყველა ავტოგრაფი გვიანდელია. BCF ავტოგრაფები, ძირითადად, იმეორებს A ვარიანტს. 40-იანი წლების ბოლოს, პოეტი, როგორც ჩანს, ლექსის განსხვავებული რედაქციის შექმნას აპირებდა. ამ პროცესს ასახავს DEG ავტოგრაფები 1947 წლის უბის წიგნაკიდან. ავტორის მიერ განხორციელებული ცვლილებების ასახვა ტექნიკურად შეუძლებელია.

**8** დაღვარა] დაჰღვარა C. **9** სანთლებათ] სანთლებად BCFJMNO. **13** მედგრათ] მედგრად BCFJMNO. **15** დროშები... ჩქარა!] დროშები ჩქარა! CN.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის მიერ, გალაქტიონის თანამონაწილეობით, 20-იანი წლების დასაწყისიდან დაუინებით ვრცელდებოდა ლეგენდა, თითქოს პოეტი მოწმე იყო „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა“ და „დროშები ჩქარა“ ამ მოვლენას მიუძღვნა. რეალურად ლექსი დაიწერა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როგორც გამოხმაურება რუსეთის იმპერიის ტახტის დამხობაზე. არსებობს პოეტის რამდენიმე ჩანაწერი, რომლებშიც მოთხრობილია, თუ სად, როდის და რა ვითარებაში დაიწერა ეს პოეტური ნაწარმოები (სგ, XVII, გვ. 83-84; XXII, გვ. 209-210).

ერთ ჩანაწერში (სგ, XIX, გვ. 516) პოეტი მიანიშნებს პარადლელებზე ი. ევდოშვილთან („მეგობრებო, წინ, წინ გასწით!“) და ვ. მაიაკოვსკისთან („მარცხენა მარში“).

## ნიკოლოზ II (გვ. 19)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 7388 (B).

**ნაბეჭდი:** გ. „სოციალ-დემოკრატი“, 1917, №3, 25 მარტი (A); ლექსები, 1927, გვ. 438 (C); თხზულებანი, II, 1935, გვ. 8 (D); ლექსები, 1937, გვ. 10 (E); ლირიკა, 1940, გვ. 8 (F); რჩეული, 1944, გვ. 95 (G); ლექსები, 1953, 84 (H); რჩეული 1954, გვ. 8 (I); რჩეული 1959, გვ. 34 (J).

**სათაური:** – BC; ათრობდა ხალხთა მწუხარება DEFFGIJ; ტახტი დაეცა H.

**თარიღი:** 1917 წ. 24 მარტი A; 1917 CDEFGIJ.

4 ყავდა] ჰყავდა BCDEFGHIJ. 6 ნიკოლოზი] ნიკოლოზი FI. 7 ლაჩარი იყო] იყო უნებო B; ლაჩარი] საზარი H. 8 გარყვნილ... სხვებს] ფრეილინების და დედოფლის ბედს BCDEFGHIJ. 10 სასაფლაოზე] სასაფლაოსი BCDEFGHIJ. 11 მეკუბოვეს] მეკუბოვეებს H] მეკუბოვეთ II; ეყო] ეყოთ II. 12 ყოფნიდა] ჰყოფნიდა BEFH. 15 იმედათ] იმედად EFHIJ; იმედათ ქაოსზე ~ B.

არსებობს გალაკტიონის ამ ლექსთან დაკავშირებული ჩანაწერი: „რა უძლოდა წინ პირველ რევოლუციის დღეებს? „სოციალ-დემოკრატი“ იბეჭდება პოეტის ერთნაირი დახასიათება რევოლუციის წინა ხანისა, რომლის მთავარი ხაზი იყო მონარქიზმი. მოცემულია პორტრეტი ნიკოლოზ მეორისა“ (სგ, XXIII, გვ. 14)

**ნიკოლოზ II** (1868-1918) – რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი, რომელიც ტახტიდან გადადგა 1917 წლის მარტში.

## ქალის ძანღაპება (გვ. 20)

**ნაბეჭდი:** ქ. „მზიური საქართველო“, 1920, №1, გვ. 13.

**თარიღი:** 1917.

## \*\*\*ორი ზღვა ვმხვდა მართიმეორეს (გვ. 21)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4035 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 113 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 163



(C); რჩეული, 1944, გვ. 320 (D); „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, 1944, გვ. 120 (E).

**სათაური:** ექსპრომტი B; ორი ზღვა შეხვდა ერთიმეორეს E.

**ეპიგრაფი:** ...გამოვლენ ზღვანი ერთგან ძმათ შენაფიცართა. შოთა რუსთაველი E.

**მინაწერი:** ძღვნად ოლ-ოლს B.

**თარიღი:** 1914 AC; 1917 B.

6 სდგას] დგას CE.

B-ში ლექსი ასეა წარმოდგენილი:

### ექსპრომტი

საოცნებო ნავს ცილდება კორდი  
ამაყი ღორდი სდგას მიმზიდველი,  
მძლავრ ლექსებს ისმენს მერი ჩავორტი  
და ოცნებებში მცურავი შელლი.

ორი ზღვა შეხვდა ერთი მეორეს  
ერთი მრისხანე, მეორე – მშვიდი  
მათ აღტაცებით გაიმეორეს  
მწუხარე ლოცვა ძველი სიწმიდის.

ტალღები სთვლემენ და ოხრავს ლედი,  
როგორც ტბის გედი მისცურავს ნავი.  
ასე დიდია მგოსნების ბედი!  
ასე მძლავრია ლექსების ზეავი!

ვით მძლავრი სუნთქვა ღამეთა ბადის  
შორს იალქანი მისცურავს შავი  
ყველაფერს მოკლავს დრო ცვალებადი  
მხოლოდ ოცნება არის უკვდავი.

საოცნებო ნავს სცილდება კორდი:  
ამაყი ღორდი სდგას მიმზიდველი  
ლექსებს ყურს უგდებს მერი ჩავორტი  
და ოცნებებში მცურავი შელლი.

ერთადერთი ავტოგრაფი ლექსისა დაწერილია ღია ბარათზე, რომელზეც დაბეჭდილია რეპროდუქცია მხატვარ პერედის ფერწერული ტილოსი „ბაირონი და შელი“. სურათზე გამოსახულია ორი დიდი რომანტიკოსის გასეირნების ეპიზოდი ბაზელის ტბაზე. მეგობრებთან ერთად. სხვა პიროვნებათა ვინაობის შესახებ იხ.: ი. მერაბიშვილი, გალაკტიონის ენიგმები, თბ., 2003, გვ. 164-165.

**მერი ჩავორტი** – ბაირონის სიტაბუკის ხანის დიდი სიყვარული და მისი მერის ციკლის პროტოტიპი. იგი ტილოზე აღბეჭდილი არაა, რადგან პოეტთან ქალის ურთიერთობა უფრო ადრეულ ხანას განეკუთვნება.

ლექსს, რომელიც შთაგონებულია პერედის ნახატით, ავტოგრაფში სათაურად აქვს „ექსპრომტი“ და დათარიღებულია 1917 წლით. იგი, ავტორისეული მინაწერის თანახმად, ეძღვნება ოლ-ოლს ანუ ოლია ოკუჯავას, რომელიც იმჟამად მოსკოვში იმყოფებოდა. პირველი პუბლიკაციისას (1927) ავტოგრაფმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ამიტომ ლექსს ორმაგი თარიღი მიეცით.

## ოფორტი (გვ. 22)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 312 (B).

**ნაბეჭდი:** გ. „პოეზიის დღე“, 1922, №1, მაისი, ბათომი (C); ლექსები 1927, გვ. 131 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 189 (D); რჩეული, 1944, გვ. 326 (E).

**სათაური:** თოვლში\* B.

**თარიღი:** ცარსკოე სელო. პეტერბურგი. 1918 B; 1915 C.

B-ში ლექსის გადაშლილი სათაურის („თოვლში“) ზემოთ შემოსახულია:

მე სხვა სამშობლო არ გამაჩნია  
ჩემი სამშობლო მხოლოდ თოვლია.  
შეხვედრა ქართან – ყრუ სიშორეში.

2 ელვარე] ბუქიან \*B; მიჰქრის] მიქრის B. 4 ამ] აქ B. 5 ცივი]

ცივი\* B] ძველი B. B-ში 5-ე სტრიქონის შემდეგ იკითხება: ტყემლის, ვარდების და ზამბახების ირევა ფერი; „ფერის“ ნაცვლად იყო „ჯარი“. 6 მისი] აქ B; ელამ მზის] უეცარი\* B] არეული B; ხილება] მხილება B. 6-7-ე სტრიქონებს შორის B-ში იკითხება: მე მეშინია არ გაიბზაროს. 7 ეშორება] ზეწრებით აკრავს\* B] ოცნებით ფარავს B] არ ეშორება C. 8 მხოლოდ] ატმის\* B] ტყემლის B; ტყემლების] ვარდების B. 12 თითქო] თეთრი B. 13 წუხს] სწუხს\* B] წუთს B. 15 გზებს] მარხილს\* B] ველებს B; ნაკვალევი] ოცნება B; აქვე გადახაზულია: გულს მწუხარება. 17 რომ ეს] მხოლოდ B.

B-ში ხელმოწერისა და თარიღის შემდეგ შემოთავაზებულია 17 სტრიქონის ვარიანტი: თოვლია, სულა, ჩემი სამშობლო. იქვეა მიწაწერი: ჩემთა ხეტიალთა თანამგზავრს.

გალაკტიონისგან მომდინარე ცნობით, რასაც მხარს უჭერს ავტოგრაფი, ლექსი პეტერბურგში ყოფნისას, ცარსკოე სელოში დაიწერა 1918 წელს (ნ. ტაბიძე, გალაკტიონი, თბ., 2000, 437-438).

ტექსტი გაანალიზებულია ზ. შათირიშვილის წიგნში „გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა“ (გვ. 111-114).

### რეპოლვარი (გვ. 23)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 874 (B);

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 179 (A).

**სათაური:** – B.

**თარიღი:** 1918 B.

2 ცივი, შავად] ერთადერთი\* B; შავად] მაგრამ\* B. 4 მყუდროებას] იცქირება\* B] მხოლოდ ჩემი\* B. 6 რაღაც... ხმათა] ის აღონებს სულის B; „სულის“ გადახაზულია და მიწერილია „შორი“. 9 მე არ] არა\* B. 10 საზარ] ბნელი B. 14 ერთადერთ ფიქრს] და ერთმანეთს\* B. „და“ გადახაზულია და მიწერილია „ჩვენ“. 15 ვშორდებით] – B. 16 სიხარულით, მწუხარებით] დაღლილი ვარ, დაღლილი ვარ\* B.

ლექსში ყურადღებას იპყრობს სიტყვიერი ანუამბემანი ანუ სიტყვის გაკვეთა და გადატანა ერთი სტრიქონიდან მეორეში (გარდაცვალებით).

## წერილი მებობრებისადმი (გვ. 24)

**ნაბეჭდი:** ლექსები 1927, გვ. 119 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 172 (B); რჩეული, 1944, გვ. 321 (C); რჩეული, 1954, გვ. 159 (D); რჩეული, 1959, გვ. 26 (E).

**თარიღი:** 1916 ABCDE.

5 ოცნებებით] ოცნებით ABC; ვიამაყო+მე B. 8 მოსწედენ] მოსწედეს B] მოსწედნენ DE. 15 საცოდავობა] საცოდაობა DE. 17 რევოლუცია] რევოლუცია DE.

ყველა გამოცემაში ავტორის მიერ ლექსი 1916 წლით თარიღდება. თთ-ში ო. ოკუჯავას წერილის საფუძველზე გამოიკვეთა ახალი თარიღი – 1918 (თთ, ტ. II, გვ. 313), რასაც ვიზიარებთ კიდევ, თუმცა გალაკტიონის ერთი ჩანაწერი გვაფიქრებინებს, რომ „წერილი მეგობრებისადმი“, შესაძლოა, უფრო გვიანაც იყოს დაწერილი. პოეტის დღიურში ვკითხულობთ: „დაწებულა პოემა „კოსმიური ორკესტრი“. დაწერილია ლექსი „მეგობრებისადმი“ (სგ, XIII, გვ. 296). ჩანაწერის სავარაუდო თარიღია 1925-1926 წლები.

## ხიდი „რიალტო“ მთის მდინარეზე (გვ. 25)

**ნაბეჭდი:** ქ. „სმარაგდი“, 1919, №1, ივლისი, გვ. 3 (B); ლექსები, 1927, გვ. 238 (A). თხზულებანი, I, 1937, გვ. 156 (C); რჩეული, 1944, გვ. 386 (D).

8 ფეხებს] ფერებს B.

**რიალტო** – კუნძული ვენეციაში, ცნობილი თავისი ბაზრით და ულამაზესი ხიდით.

ლექსის შესახებ იხ.: ვ. ჯავახაძის ესკიზი „ჩემი პირველი ცრემლი“ (კრ. „გალაკტიონოლოგია“, VI, თბ., 2012, გვ. 164-168).

## ტფილისი (გვ. 26)

**ნაბეჭდი:** ქ. „ტფილისი“, 1920, №1, იანვარი (A); ლექსები, 1927, გვ.

9 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 13 (C); რჩეული, 1944, გვ. 256 (D); რჩეული, 1959, გვ. 425 (E).

**სათაური:** თბილისი CE.

**თარიღი:** 1916 BCE.

8 აიმართენ] აიმართენ CE. 10 სიონი ჩემი] ეს შელამება CE. 16 ღვთისმშობლის] თბილისის CE. 18-21 მომაჯადოვა... ტფილისი] – BCDE. 24 ტფილისი] თბილისი CE. 27 მადონნას] მადონას BD] ახალი CE. 29 უდაბურება] უბედურება BCDE. 34-41 სიონი... პატიოსნებით] – BCDE.

ლექსს გამოქვეყნებისთანავე გამოეხმაურა კ. ნადირაძე (ჟ. „მშვიდღოსანი“, 1920, №2-3).

სტრიქონებში „და აიმართენ ვით ჟირაფები/ მთა არსენალის და მთა სავანე“ ვ. ჯავახაძე ფიროსმანის ტილოებზე მინიშნებას ხედავს, ხოლო IV სტროფის გამო წერს: „მხოლოდ გალაკტიონს შეეძლო აღბათ ფიროსმანის თვალებში მაშინვე აღმოეჩინა და ამოეცნო „ღვთისმშობლის ცქერა, სავსე ქართული პატიოსნებით“ („უცნობი“, გვ. 340-341).

**„ათოვს მადათოვს“** – იგულისხმება მადათოვის კუნძული მდინარე მტკვარზე, თბილისში, რომელიც გასული საუკუნის 30-ინი წლებიდან აღარ არსებობს. სახელწოდება მომდინარეობს XIX საუკუნეში მისი მფლობელის – გენერალ ვ. მადათოვის გვარიდან. აღრე კუნძული ორბელიანებს ეკუთვნოდა და შესაბამისად, ორბელიანების კუნძულს ეძახდნენ. ა. ბაქრაძე წერს: „ისე უცნაური კია: ამ კუნძულს, ვინ უწყის, რამდენი საუკუნე ფლობდნენ ორბელიანები. მერე, მე-19 საუკუნეში, გენერალ მადათოვს მიჰყიდეს, ნახევარი საუკუნე არ ყოფილა იგი ამ კუნძულის პატრონი, მაგრამ ქართველებმა მაინც მისი სახელი დაარქვეს და ორბელიანები დაივიწყეს. ამას ჰქვია, მამა დავიწყებოდა და მამინაცვალს იფიცებოდაო“ (იხ. ცამეტი წელიწადი კინოში, თბ., 1996, გვ. 62).

**ნერონის ცეცხლი** – რომის დიდი ხანძარი 64 წელს. ერთ-ერთი ვერსიით, ქალაქის გადაწვა თავად იმპერატორ ნერონს მიეწერება.

## ბოტიმს (გვ. 28)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 5540 (B).

**ნაბეჭდი:** გ. „ერთობა“ 1920, №199, 1 სექტემბერი (C); ლექსები, 1927, გვ. 112 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 162 (D); რჩეული, 1944, გვ. 319 (E).

**თარიღი:** 1920 ტფილისი. 1 ენკენისოვე ABDE.

20 ესლა] გამადლობთ! BC. 21 ჩამავალი] ჩამავალ მზის B] გოტიე შენი C.

თეოფილ გოტიეს (1811-1872) პოეტური კრებული „მინანქრები და კამეები“ გალაკტიონის სამავიდო წიგნი იყო 10-20-იანი წლების მიჯნაზე. ფრანგული პარნასული სკოლის მეთაურისადმი განსაკუთრებულ ინტერესზე მეტყველებს ეს ლექსიც, რომელშიც მრავლადაა მინიშნებანი ადრესატის ცხოვრებისა და შემოქმედების რეალიებზე.

**პიმოდანი** – სასტუმრო პარიზში, რომელიც ჯერ მისი ამშენებლის – ჰერცოგ ლოზენის სახელს ატარებდა, შემდეგ კი მარკიზ დე პიმოდანისა, რომელმაც შენობა XVIII საუკუნის მიწურულს შეიძინა. ამ სასტუმროში XIX საუკუნის 40-იან წლებში ცხოვრობდნენ თ. გოტიე და შ. ბოდლერი. აქვე დაარსდა „ჰაშიშისტთა კლუბი“ – არტისტული სალონი, რომელშიც მონაწილეობდნენ ვილიე დე ლილ ადანი, დიუმა-მამა... კლუბის ატმოსფერო ასახულია თ. გოტიეს მოთხრობაში „ჰაშიშის მწვეველთა კლუბი“.

სახეები „მენადები-გედები“ და „ფრთები-ინფანტები“ ალუზიებია გოტიეს მხატვრულ სამყაროზე და, ერთდროულად, მინიშნებაც ცხოვრების არისტოკრატიულ-ფრივოლურ სტილზე.

**პოლ დელაროში** (1797-1856) – ფრანგი ფერმწერი, ცნობილი თავისი ბატალური ტილოებით. პიმოდანის ჰერი მოხატული იყო მითოლოგიური სიუჟეტებით, ხოლო კედლები – ძველ იტალიელ ოსტატთა ფრესკების ასლებით. გოტიეს ცნობით, იქ ასევე ყოფილა დელაროშის ნახატიც. მხატვარს გალაკტიონი ასხენებს სხვა ლექსშიც – „საახალწლო ეფემერა“ (1922).

**ბრიუმელი** – ჯორჯ ბრაიენ ბრემელი (1778-1840), სახელგანთქმული ინგლისელი დენდი, მოდის კანონმდებელი.

ლექსი გაანალიზებულია თ. მირზაშვილის წერილში „გოტიეს ნათელი“ (კრ. „გალაკტიონოლოგია“, II, თბ., 2003, გვ. 102-110).

### **ღმება შემოღობა (გვ. 29)**

**ნაბეჭდი:** გ. „ერთობა“ 1920, №214, 21 სექტემბერი (A); ლექსები, 1927, გვ. 270 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 342 (C); რჩეული, 1944, გვ. 403 (D); რჩეული 1954, გვ. 194 (E); რჩეული, 1959, გვ. 363 (F).

**თარიღი:** 1920. ტფილისი A; 1914 CF; 1913 E.

**15** გაქრენ] გაქრენ B] გაქრენ EF. **16** გაღვისობ] გაღვისვამ E.

**ვატერლოო** – ვატერლოოს ბრძოლა (1815), რომელშიც ინგლისის, პრუსიისა და ნიდერლანდების კოალიციურმა არმიამ ჰერცოგ ველინგტონისა და ფელდმარშალ ბლიუხერის მეთაურობით ვატერლოოს მიდამოებში (ბრიუსელის მახლობლად) დაამარცხა გადასახლებიდან დაბრუნებული საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ პირველი (1769-1821). ვატერლოო საბედიწერო დამარცხებისა და დაღუპული იმედების სიმბოლოდ იქცა.

### **შენ და შემოღობა (გვ. 30)**

**ნაბეჭდი:** გ. „ერთობა“ 1920, №214, 21 სექტემბერი (A); ლექსები, 1927, გვ. 261 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 332 (C); რჩეული, 1944, გვ. 395 (D); რჩეული, 1959, გვ. 506 (E).

**თარიღი:** 1920. ტფილისი A; 1916 CE.

**2** ხშირად] ხშირათ BCD. **9** არსად] არსათ BC. **10** მხოლოდ] მხოლოთ BD. **11** მოგონებათ] მოგონებად E.

### **შენ და შემოღობა (გვ. 31)**

**ნაბეჭდი:** გ. „ერთობა“ 1920, №214, 21 სექტემბერი (A); ლექსები, 1927, გვ. 271 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 343 (C); რჩეული, 1944, გვ. 400 (D); რჩეული, 1959, გვ. 364 (E).

**სათაური:** – E.

**თარიღი:** 1920. ტფილისი A; 1914 CE.

2 შენს] შენ BC. 2, 9, 16 მხოლოდ] მხოლოთ BC. 3 უგონოდ] უგონოთ BCD. 4 შენს] შენ BCD. 8 ესლა] ახლა E; შენ არ] შენა BCDE. 13 იპოება] იპოვება BCDE. 14 უმიზეზოდ] უმიზეზოთ BCD. 16 დავიწყებთ ეძებ] დავიწყება ეძებს BCDE.

### ცხრაას თვრამეტი (გვ. 32)

**ნაბეჭდი:** გ. „ერთობა“, 1920, №272, 28 ნოემბერი (B); ლექსები, 1927, გვ. 493 (A); თხზულებანი, II, 1935, გვ. 38 (C); რჩეული, 1944, გვ. 100 (D); რჩეული, 1959, გვ. 49 (E).

**სათაური:** ლაღო მესხიშვილი B.

**თარიღი:** 1919 CDE.

2 იგი] ერთი B; მახსოვს] არის B. 10 მეპატიოს] გვეპატიოს B. 11 თეთრად] რისთვის B. 13 აზრისთვის იგი] განაჩენისთვის B. 14 და] ოჰ B. 17 იმ... უბედნიერესს] შენს სახელს უმშვენნიერესს B. 18 მახსოვს + პატარა დაბა B. 20 დაგვესხნენ] დაგვესხენ B. 25 აცდა] ასცდა E; აცდა ლიანდაგს] მიჰკივის რელსებს E. 26 ჩემი] შენი B. 28 ანგელოსები] ანგელოზები BE. 29 ტიროდენ] ტიროდნენ E. 30-37 რად... თავდავიწყება] – CDE. 30 რად აირჩიე] მოხუცო დენდი B 33 ახალგაზრდობა] გატაცებები B. 34 გვეშალა] გეშალა B. 35 ვამბობდი] ამბობდი B. 36 გვწყუროდა] გწყუროდა B. 38 მიგვაფრენდა] მიგაფრენდა B; ლოცვათ] ლოცვად CD. 40 ოჰ] და B. 43 თრთოლვარებდენ] თრთოლვარებენ CD] თრთოლვარებდნენ E. 45 აგვემართა] აგემართა B; კართაგენი] კარფაგენი B. 47 ფერით] ჰანგით B. 49 ვილოდენ] ვილოდნენ E. 50 გრძნობით] გრძნებით B. 51 მკაცრი] შენი B. 53-ე სტრიქონის შემდეგ B-ში იკითხება:

შენ მრავალ ახალ გზებს მიაგენი,  
სად წინად ლიპი იყო დაღმართი,  
გობელენებით მოფარ[დ]აგენი  
შენ ციხეები ზღვაზე აღმართე.



55 გავდა] ჰგავდა E. 58 დაჰქროდა] დაქროდა B. 59 მიმოგონება] შენი ხმა იყო B. 60 დაჰყროდა] დაკროდა B. 65 გრძნობენ] გრძნობდნენ B. 67 ვიგრძენით] ვიგრძნევით A. 69 დაუუსხით] დაუსხით D. 70 წარმოსთქვა] წარმოთქვა B. 71 მე... ჩემი] შენ მოიხადე შენი B. 72 ცივად] სხივად B. 83 შესწვევით] შეწვევით B. 85, 98 ესლა] ახლა E; ვქნა] ვქნათ B. 90-97 არ... ითანდათანა] – D. 99 დიდს და] ძლიერ B. 102 ჰქრიან] ქრიან B. 104 მწარე] შენი B. 106-109 მე... ნაძირალებს] – CDE. 108 გენიას] გენიოსს B.

თთ-ში ლექსის პირველნაბეჭდ წყაროდ მითითებულია 1927 წლის კრებული, რაც არ არის სწორი – ნაწარმოები პირველად დაიბეჭდა 1920 წელს გაზეთ „ერთობაში“ სათაურით „ღადღო მესხიშვილი“.

შემონახულია პოეტის ჩანაწერი ამ ლექსის გამო: „ამავე წიგნში მოთავსებულია ლექსი „1918“ (დიდი მსახიობის ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის გარდაცვალების დღეს დაწერილი)“, (სგ, XIX, გვ. 102). „ამავე წიგნში“ ნაგულისხმევაა „არტისტული ყვავილები“, თუმცა „ცხრაას თვრამეტი“ აღნიშნულ წიგნში შეტანილი არაა.

პირველი პუბლიკაციის თარიღისა და იმის გათვალისწინებით, რომ ლექსი ლ. მესხიშვილის გარდაცვალებისთანავე (1920 წლის 24 ნოემბერს) დაიწერა, უტყუარი ჩანს თარიღი 1920 და არა 1919, როგორც აქამდე იყო მიხნეული.

არსებობს გადმოცემა, რომ 1918 წელს ოდესიდან ფოთამდე გაღააკტიონმა და ვლ. ალექსი-მესხიშვილმა გემით ერთად იმგზავრეს.

ერთგან გაღააკტიონს ჩაწერილი აქვს ნეჟინის ეპიზოდის საღეჟსო სტრიქონებად დაღააგებული პროზაული ვერსია რუსული სათაურით: „Воспоминание о Нежине“ (სგ, XXII, გვ. 37-38).

**ნეჟინი** – ქალაქი უკრაინაში, რომელიც მატარებლით გამოიარა რუსეთიდან სამშობლოსკენ მომავალმა გაღააკტიონმა.

ლექსი დ. კლდიაშვილის მხატვრულ სამყაროსთან მიმართებით განხილული აქვს რ. ჩხეიძეს ბიოგრაფიულ რომანში „კომიკოსი ტრაგედიაში. გაღააკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“ (თბ., 2012, გვ. 416-418).

**პოეზია უპიძველეს ყოვლისა (გვ. 36)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 8208 (B).

**ნაბეჭდი:** გ. „ერთობა“ 1920, №284, 12 დეკემბერი (C); ლექსები, 1927, გვ. 81 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 120 (D); რჩეული, 1944, გვ. 306 (E); რჩეული, 1954, გვ. 236 (F); რჩეული, 1959, გვ. 536 (G).

**სათაური:** – B; გვარდია C.

**თარიღი:** 12. XII. 1920 C; 1919 ADG; 1920 F.

7 ვუნახავარ] უნახავარ F] ვუნახივარ G. 8 მაგრამ] მარად FG. 16 ბროლისა] ბრძოლისა F.

B ავტოგრაფი ფრაგმენტია – შეიცავს მხოლოდ 2-6 სტრიქონებს. C-ში ლექსი ასეა წარმოდგენილი:

### გვარდია

სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!  
პირადათ მე სიკვდილამდე მექნება –  
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:  
პოეზია უპირველეს ყოვლისა!  
პოეზია უპირველეს ყოვლისა!  
და გვარდია მიყვარს, მასთან ნახევარ  
გზად დაღლილი არვის არ ვუნახავარ.  
ერთი გვანთებს შუქი სვეტიცხოვლისა:  
საქართველო უპირველეს ყოვლისა!  
საქართველო უპირველეს ყოვლისა!  
დაგამცირონ, მაგრამ ვერსად დაგტონ,  
მაინც დაფნით გელის შენ, გალაკტიონ,  
ამდერება რეზონანსით მოვლისა,  
პოეზია უპირველეს ყოვლისა!  
პოეზია უპირველეს ყოვლისა!  
დღეს ჰყვავის ბზა, აღუბლები, ატამი...  
ისევ დღეა შენი, მაშასადამე –  
შორი სული დოვინ-დოვენ-დოვლისა...  
საქართველო უპირველეს ყოვლისა!  
საქართველო უპირველეს ყოვლისა!

1920 წელს, სახალხო გვარდიის შექმნის სამი წლისთავზე, ლექსები – „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, „პირველ თაველებს“ და

„თვალს ნაზი და მთვარეული“ გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა ერთი და იმავე სათაურით „გვარდია“.

ი. კენჭოშვილის აზრით, თავდაპირველი ვერსია ლექსისა „პოეზია – უპირველეს ყოვლისა“ („გვარდია“), რომელშიც რეფრენულად მეორდება სტრიქონი „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ ნაკარნახევია ჰოფმან ფონ ფალერსლენის განმაშრებული სტრიქონით „გერმანია – უპირველეს ყოვლისა“ ლექსიდან „გერმანელების სიმღერა“ (იხ. მისი: გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში, თბ., 1999, გვ. 54).

საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ გალაკტიონმა შექმნა ეროვნული დამოუკიდებლობის სულისკვეთებით გამსჭვალული ამ ტექსტის ახალი რედაქცია, რომელშიც „საქართველო“ ჩაანაცვლა „პოეზიამ“.

არსებობს გადმოცემა, რომ პოეტების მეფის გამოსავლენად გალაკტიონმა ეს ლექსი წარადგინა.

### პირველ თაველეებს (გვ. 37)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 5762 (B).

**ნაბეჭდი:** გ. „ერთობა“ 1920, №284, 12 დეკემბერი (C); ლექსები, 1927, გვ. 56 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 92 (D); რჩეული, 1944, გვ. 291 (E); რჩეული, 1959, გვ. 357 (F).

**სათაური:** გვარდია C.

**თარიღი:** 12. XII. 1920 C.

B-ში ლექსის დასაწყისში გადახაზულია: სიმღერით ბრუნდებოდენ/ ყანიდან ქალები.

4 აივნებს მალეუ ბადებს რტოები\* B. 5 რტოების] აივნებს\* B. 7 თვალეებში ფეთქდა] თვალეებს მოედო\* B. 8 ჰქვია] ქვია B. 9 ჩვენ] და\* B. 14 ავშაღეთ... ფუტკრის] ფუტკრის მტევნები ავშაღეთ მთაში B. 16-17 უცებ... ესტიროლით] – B. 15 სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია:

ქალებო ტაში, ვაჟებო ტაში  
ფოთლებო ტაში ნუ დაირიდეთ.

ლექსის პირველნაბეჭდი განსხვავებულ რედაქციას იძლევა, ამიტომ მოგვაქვს სრული ტექსტი:

### გვარდია

ვდღესასწაულობთ პირველ თაველებს  
მოსასწაულე ვარდთა დაგებით,  
ბაღებს რტოები აყვავილებს,  
აივნებს ნოხი და ფარდაგები.  
განთიადისას წავედით ტყეში,  
თვალებს მოედო ელევა წყაროთა,  
ყვავილს, რომელსაც ჰქვია ნუგეში,  
ჩვენ დავეძებდით და გვიხაროდა.  
ვეძებდით ომებს, მტრების ხაზინას,  
თოფების ბოლი ცრემლებს გვადენდა,  
არც მოგვასვენეს, არც დაგვაძინეს  
და ასე, აჰა, შემოგვათენდა.  
უეცრად მტერი ავშალეთ მთაში,  
გამოვედვენეთ ისართ ჯირითით.  
შეკრთომით დაკრეს ფოთლებმა ტაში,  
ჩვენც სიხარული არ დავირიდეთ.

იხ. კომენტარი ლექსისა „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ (გვ. 36).  
დაჭრილი ნუკრის მოტივი გამოძახილია ვაჟა-ფშაველას მოთხრობისა „შველის ნუკრის ნაამბობი“.

### თვალს ნახი და მივარეული (გვ. 38)

**ნაბეჭდი:** გ. „ერთობა“ 1920, №284, 12 დეკემბერი (B); ლექსები, 1927, გვ. 218 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 287 (C); რჩეული, 1944, გვ. 375 (D); რჩეული, 1959, გვ. 495 (E).

**სათაური:** გვარდია B.

**თარიღი:** 12. XII. 1920 B; 1916 CE.

3 აღელვებენ] აღელვებდენ B. 4 ღხინში] თქვენში B. 5 ღვინთო] ღხინით B. 6 უცებ გაჩნდა] მოგვეჩვენა B. 10 მივაფრენდი

ამაქ მითაფრენდით ქარში B. **11** ჭიხვინებდენ] ჭიხვინებდნენ CE. **13** ცვლიდენ] სცვლიდენ C] სცვლიდნენ E. **14, 16** ვხედავდი] ვხედავდი B.

B-ში ლექსს ბოლოში ემატება:

სამშობლოზე ოცნებები  
თითქო შვლის სიმარდვა.  
წინ, გვარდია! შენი ხმები  
მხოლოდ სხვაზე დარდია.

იხ. კომენტარი ლექსისა „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ (გვ. 36).

**დე გრიე და მანონი** – ფრანგი მწერლის ანტუან ფრანსუა პრევოს (1697-1763) პოპულარული რომანის – „მანონ ლესკოს“ მთავარი პერსონაჟები. 1939 წელს ამ რომანის ქართულად თარგმნასთან დაკავშირებით მთარგმნელის – ქეთევან ირემადის თხოვნით გალაკტიონმა დაწერა ლექსი „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო““.

### საქართველო (გვ. 39)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 28897-50, გვ. 163 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „სახალხო გვარდიელი“, 1920, №1, დეკემბერი, გვ. 7 (A); ლექსები, 1927, გვ. 72 (C).

**სათაური:** – BC.

7 თამარის] წარსულთა C. **9** სვეტიცხოველი] სვეტიცხოველი\* B] ციხე ყოველი B. **10** მოდის... კვლავ] ხან სიმშვიდეა, ხან მძაფრი C. **17** გაშუქებული სვეტიცხოველი] გაშუქებული სვეტიცხოველი\* B] ვეფხისტყაოსნის გამომთხოველი B. **36** გაყვა] გაჰყვა C.

B-ში გადახაზულია **22-25** (აქ... სვეტიცხოველი), **33-ე** და **36-39** (და... მთხოველი) სტრიქონები.

თ-ში არ არის მითითებული ტექსტის პირველი პუბლიკაცია (ჟ. „სახალხო გვარდიელი“, 1920, №1, დეკემბერი, გვ. 7), რომლის გათვალისწინებით ლექსი 1920 წლით დათარიღდა.

## თეთრი პელიგანი (გვ. 41)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 967 (B); 1086 (C); 1466 (D); 2686 (E); 3408 (F); 7393 (G); 7413 (H); 7757 (I).

**ნაბეჭდი:** ჟ. „აისი“, 1920, №2, დეკემბერი (J); ლექსები, 1927, გვ. 10 (A); თხზულებანი, I 1937, გვ. 15 (K); რჩეული, 1944, გვ. 254 (L); რჩეული, 1959, გვ. 426 (M).

**სათაური:** შავი პელიგანი J; – BCDEFIM; ტფილისი G.

**თარიღი:** 1919 A.

**2-4** გადმოფრენას... ნაპირებს] –I. **4** რესტორანი] ელექტრონი G. **6-25** ასე... დაუღეველი] – H. **6** ასე მიდის] რომ გავიდეს B] რომ წავიდე F; ასე ისე J. **7** სიზმარივით] ცივი სულის J. **8** ასე რომ BF; რეკავს] ტირის D] რეკავდეს BF] სტირის J. **10** რომ ისმოდეს] გამაგონეთ DJ. სადათნოვას] საიათნოვას M. **12-25** მიეთოვოს... დაუღეველი] – E. **14-25** სული... დაუღეველი] – I. **14-21** სული... შემაქცევარი] – C. **14** სული... ნანას] რომ ბურუსში მომეზმანოს B. **15** ჰპირდები] ვარდები BF] მპირდები DGJ. **16** დაანებე] ოფორტები BF] დამანებეთ D] დამანებე GJ. **17** სევდიანი] და ირმების BF] შემოდგომის GJ; ტვირთები] დარდები BF. **18-21** რომ... შემაქცევარი] – D. **18** წავიდე] გავიდე BF; რომ წავიდე] ასე გავა\*F] ასე წავა J. **19** სიზმარივით მდევარი] როგორც ტკბილი ტკივილი BF] ცივი სულის ტკივილი J. **20** რომ რეკავდეს] საზანდარი J. **21** უქმი შემაქცევარი] და ფერების კივილი BF] და კახპების კივილი J. **22-25** ოცნებაო... დაუღეველი]

რომ მათობდეს ვილინო  
გულო, რასაც მპირდები,  
ყვაილები თასით ღვინო  
და მუსიკის ზვირთები.

**24-25** კიდევ... დაუღეველი] – D. **24** კიდევ ბევრი] ბევრი, ბევრი C] მხოლოდ ერთი J.

E-ში ლექსის დასაწყისში იკითხება:

ეს  
ეს ეს  
ეს ყორანი  
ეს ყორანი

B და F ავტოგრაფებში გაერთიანებულია ოთხი ლექსი „თეთრი პელიკანი“, „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“, „სადღეგრძელო იყოს მისი“ და „ხსოვნას“.<sup>1</sup> ტექსტი იწყება „თეთრი პელიკანის“ ბოლო სტროფით (ოცნებაო... დაუღვეველი). განსხვავებები, რომელსაც „თეთრი პელიკანი“ B და F ვარიანტებში ამჟღავნებს, აღნიშნული გვაქვს ზემოთ, ძირითად ტექსტთან მიმართებით.

I ავტოგრაფში ტექსტი იწყება ლექსის „სადღეგრძელო იყოს მისი“ პირველი სტროფით:

სადღეგრძელო იყოს მისი  
ვინც ოცნებით იწოდა.  
ვინც პოეტის მარადისი  
აღტაცება იცოდა.

C ავტოგრაფში გაერთიანებულია ორი ლექსი – „თეთრი პელიკანი“ და „სადღეგრძელო იყოს მისი“: ჯერ „თეთრი პელიკანის“ ტექსტია (I, II, III და VI სტროფები), შემდეგ კი II და III სტროფები ლექსიდან „სადღეგრძელო იყოს მისი“, ბოლოს კვლავ მეორდება „თეთრი პელიკანის“ VI სტროფი (ოცნებაო... დაუღვეველი).

თთ-ში ლექსის პირველნაბეჭდ წყაროდ მითითებულია 1927 წლის წიგნი და თარიღი – 1919, რაც სწორი არაა. ნაწარმოები პირველად დაიბეჭდა 1920 წელს ჟ. „აისში“ (№2, დეკემბერი) სათაურით „შავი პელიკანი“, ამიტომ იგი 1920 წლით დავათარიღეთ.

პირველ პუბლიკაციაში „შავი პელიკანი“ გალაკტიონს ბრტყალებში აქვს ჩასმული, რაც მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ იგი რესტორნის/სამიკიტნოს სახელწოდებას აღნიშნავდა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს რესტორანი მდებარეობდა უშუალოდ მადათოვის პატარა კუნძულზე, სადაც ნაგავსაყრელი იყო.

**„მიეთოვოს, მოეთოვოს კედლებს ფარშავანგები“** – არსებობს ცნობა, რომ ფიროსმანს ერთ-ერთი სამიკიტნოს კედელზე დახატული ჰქონია „ფარშავანგები“, რომელიც შენობასთან ერთად გაქრა.

---

1 F-ში ტექსტი ხუთჯერ მეორდება მცირე ცვლილებებით. ნაწარმოებების გაერთიანებით მიღებული ვრცელი ტექსტი დაბეჭდილია მესამე ტომში, 1921 წელს დაწერილი ლექსის – „სადღეგრძელო იყოს მისი“ ვარიანტებში.

როგორც ვ. ჯავახიძე წერს, „მხოლოდ პოეტის სტრიქონებში დარჩა და გადარჩა მხატვრის ფრესკა“ („უცნობი“, გვ. 339).

**კოჭლი საჰაკა** – სავარაუდოდ, მესაზანდრე. მის შესახებ გაღიჟინონს ამოუწერია ორი სტროფი აშუღლ შაქარ ოღლანის მუხამბაზიდან, რომელიც ასე იწყება:

კოჭლი საჰაკ დადის დაღახლახითა,

თავი, პირი გაესია ტალახითა...

(სგ, XXII, გვ. 301)

### **\*\*\*მზეო თიბათვისა (გვ. 42)**

**ნახეტი:** ჟ. „სახალხო გეარდიელი“, 1921, №2, იანვარი, გვ. 6 (B); ლექსები, 1927, გვ. 235 (A); რჩეული, 1944, გვ. 388 (C).

**სათაური:** 1920 B.

B ვარიანტი წარმოადგენს ლექსის ვრცელ, განსხვავებულ რედაქციას:

### **1920**

მზეო-ღვთისმშობელო, მზეო-ნებიერო,  
მზეო თიბათვისა – გრაალს შევედრები...  
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,  
ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები.  
მწარე მოჩვენებებს თვალნი მიურიდენ,  
ღამე გაუთენე კარგი, შენმიერი...  
დილა მიანიჭე ისევ ციურიდან,  
შუქი უმანკოთა მიეც შევნიერი.  
ღაე, ნუ მოწყდება ბაგეს ამოოხვრა,  
თვალეებს ნუ მოწყდება ცრემლი უეცარი,  
სხვად ნუ შეიცვლება მისი მიმოოხვრა  
მით, რომ საუკუნე დაღვა უმეცარი.  
ამას გევედრები, დროის შეჩვენება  
სიკვდილს უცხოეთში მე ნუ გამაგონებს.  
იგი, თანამგზავრი, სშირად მჩვენება,



იგი, მწუხარება, ხშირად დამაღონებს...  
წელმა საოცარმა, გზა რომ შეეღება,  
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები...  
მძაფრი ქართველი მას ნუ შეეხება,  
მზეო-ღვთისმშობელო, ამას გეკედრები.

თთ-ში ლექსის პირველი პუბლიკაციის წყაროდ მითითებულია გაზეთი „ჩვენი მეგობარი“ (1917, №259) და ამის კვალობაზე ნაწარმოები 1917 წლით არის დათარიღებული. სინამდვილეში ლექსი ამ გაზეთში არ დაბეჭდილა – მისი ადრეული, პირველი რედაქცია გამოქვეყნდა ჟ. „სახალხო გვარდიელში“ (1920, №2, გვ. 6) სათაურით „1920“. პოეტური ტექსტის ბოლო, ჩვენთვის კარგად ცნობილი რედაქცია შეიქმნა 1921 წლის მაისამდე, ამიტომ იგი ორმაგად დათარიღდა (1920, 1921).

**გრაალი** – წმ. გრაალი, თასი, რომელშიც იოსებ არიმათიელმა ქრისტეს ჯვარცმისას მოაგროვა მაცხოვრის ჭრილობებიდან გადმომდინარე სისხლი. გადმოცემის თანახმად, იოსებ არიმათიელმა თასი ბრიტანეთში ჩაიტანა. გრაალის თასს მთელი ცხოვრების მანძილზე დაეძებდნენ „მრგვალი მაგიდის“ ლეგენდარული რაინდები.

ლექსთან დაკავშირებული პრობლემატიკის ანალიზი მოცემულია თ. დოიაშვილის წერილში „მზეო თიბათვისა“ (იხ. მისი: მოტირალ-მოცინარი, თბ., 2013, გვ. 167-180).

### **ტალახში (გვ. 43)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 425 (A); თხზულებანი, ტ. I 1937, გვ. 421 (B); რჩეული, 1959, გვ. 540 (C).

**თარიღი:** 1920 BC.

### **ბაღია (გვ. 44)**

**ნაბეჭდი:** გ. „ერთობა“ 1921, №1, 1 იანვარი (B); ლექსები, 1927, გვ. 131 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 190 (C); რჩეული, 1944, გვ. 326 (D); რჩეული, 1959, გვ. 399 (E).

**ქვესათაური:** ფრაგმენტი B.

4 უშუალოდ] უშუალოდ ACD] უშუალოდ E. 7 დაყურებს] დაჰყურებს E. 9 ბავშვივით] ბავშვივით BDE. 14 ღბილ] რბილ C] თბილ D. 9 უსუსურდათ] უსუსურად DE.

„გადია“ და მომდევნო ოთხი ლექსი – „აჰა, ბინდღება“, „ჩვენი დღის ამბებს“, „მაგრამ მე რა ვქნა?“ და „მაგიდა აღემბიკებით“ გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილია მთლიან ტექსტად, საერთო სათაურით „გადია“, რომელსაც ახლავს ქვესათაური „ფრაგმენტი“. 1927 წლის გამოცემაში გალაკტიონმა ერთიანი ტექსტი დაშალა და ხუთ დამოუკიდებელ ლექსად შეიტანა წიგნის სხვადასხვა თემატურ რუბრიკაში.

„ავიღებ მანონს“ – იგულისხმება ფრანგი მწერლის აბატი პრეგოს რომანი „მანონ ლესკო“ (იხ. კომენტარი ლექსისა „თვალს ნახი და მთვარეული“, გვ. 38).

### აჰა, ბინდღება (გვ. 45)

**ნაბეჭდი:** გ. „ერთობა“ 1921, №1, 1 იანვარი (A); ლექსები, 1927, გვ. 111 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 161 (C); რჩეული, 1944, გვ. 318 (D); რჩეული, 1959, გვ. 538 (E).

**თარიღი:** 1918 BD; 1919 CE.

19 მიუღწეველს] მიუღწეველს CDE.

1927 წლის წიგნში, სადაც „აჰა, ბინდღება“ პირველად არის წარმოდგენილი დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით (იხ. ამავე გვერდზე კომენტარი ლექსისა „გადია“), ტექსტი დაბეჭდილია უხეში კორექტურული შეცდომებით, ამიტომ ძირითად ტექსტად ავიღეთ პირველნაბეჭდის შესაბამისი მონაკვეთი, რომელსაც ყველა შემდგომი გამოცემა, ფაქტობრივად, უცვლელად იმეორებს.

**ლოენგრინე** – რიხარდ ვაგნერის ოპერა „ლოენგრინის“ ცენტრალური პერსონაჟი (იხ. კომენტარი ლექსისა „ვაგნერი“, გვ. 11).

### \*\*\*ჩვენი დღის ამბებს (გვ. 46)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 28897-50, გვ. 187 (B).

**ნაბეჭდი:** გ. „ერთობა“ 1921, №1, 1 იანვარი (C); ლექსები, 1927, გვ. 75 (A); რჩეული, 1944, გვ. 302 (D).

**სათაური:** –\* B; მოხუცი ქალი B.

1 ჩვენი დღის] ამნაირ C. 11 მიწაში] მინაში C; ნაშენს] ნაშენ C. 12 სხივები] სხივების C. 19 მთვარეული] შორეული C. 26 სულით] სულის C.

B არის 1927 წლის კრებულიდან ამოტრილი, ავტორის მიერ ნასწორები ტექსტი. ლექსის ბოლოს მიწერილია სტრიქონები:

მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ ვისაც სული  
გვაქვს დაწეწილი ქართო, აფრებით,  
ვინც დამშვიდება არ ვიცით სრული,  
არც სვეტიცხოვლით, არც სხვა ზღაპრებით?

ეს სტროფი ვარიანტია მომდევნო ლექსის – „მაგრამ მე რა ვქნა?“ – 2-5 სტრიქონებისა.

იხ. კომენტარი ლექსისა „გადია“ (გვ. 194).

### მაგრამ მე რა ვქნა? (გვ. 47)

**ნაბეჭდი:** გ. „ერთობა“ 1921, №1, 1 იანვარი (B); ლექსები, 1927, გვ. 313 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 311 (C); რჩეული, 1944, გვ. 419 (D); რჩეული, 1959, გვ. 501 (E).

**თარიღი:** 1916 CE.

4 აღტაცება] გატაცება B. 5 სიყვარულით] სისარულით B. 7 ტფილისით] თბილისით CE. 9 იცხოვროს] ივინოს B. 11 ნდომას] ნდობას E. 12 სიკვდილში როდი] მე ყველაფერში B; ვეჭვიანდები + და ტაძრებშიაც B. 16 უიმედოთ] უიმედოდ E; მივჰქროდი] მივქროდი BE.

1927 წლის წიგნში, რომელშიც ბევრია კორექტურა და ტექნიკური ხარვეზი, 14-15 სტრიქონებში, როგორც ჩანს, სიტყვების მექანიკური გადაადგილება მოხდა: „მე დემონები ქროლვით მარადით/ მომაგონებენ დაფარულ შხამით“. ეს წაკითხვა შემდგომ გამოცემებშიც გადავიდა. ამის გამო რითმათა ევფონიური თანხმიერება დაირღვა (მარადით—ლამით, შხამით—მუხარადით) და შეიცვალა გარითმვის სისტემა. ხარვეზი სრულიად აშკარაა პირველნაბეჭდი ვარიანტის ფონზე:

მე დემონები დაფარულ შხამით  
მომაგონებენ ქროლვით მარადით,  
რომ უიმედოთ მივქროდი ლამით  
გატეხილ შუბით და მუხარადით.

ჩვენ გავითვალისწინეთ ეს ფაქტი, A ტექსტი პირველნაბეჭდის საფუძველზე აღვადგინეთ და რითმაში დეფექტიც გასწორდა (შხამით—ლამით, მარადით—მუხარადით).

იხ. კომენტარები ლექსებისა „გადია“ (გვ. 194) და „ჩვენი დღის ამბებს“ (გვ. 195).

**არტურ შოპენჰაუერი** (1788-1860) – გერმანელი ფილოსოფოსი, ავტორი ფუნდამენტური ფილოსოფიური ნაშრომისა „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა „საუკუნის დასასრულის“ მწერლობაზე, განსაკუთრებით, სიმბოლისტებზე.

### მაგიდა ალემბიკებით (გვ. 48)

**ნაბეჭდი:** გ. „ერთობა“ 1921, №1, 1 იანვარი (B); ლექსები, 1927, გვ. 312 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 309 (C); რჩეული, 1959, გვ. 539 (D).  
**თარიღი:** 1920 CD.

2 ლურსმებს] ლურსმნებს D; აკიდა] აჰკიდა D. 10 რას მოელიან] გაქრა, გადია B; რგული?] რგული B. 11 ყვაილებს... ელვათა] იმ ჩვენ ყვაილებს მოედო B. 12 თენდება] გადია B.

იხ. კომენტარი ლექსისა „გადია“ (გვ. 194).

**ალემბიკი** – მომცრო ამბუხი ანუ რეტორტი სითხეთა გამოსახედ-  
ლად. იხმარება ქიმიასი (იოსებ იმედაშვილი).

**„ვხედავ: ვით გლოტე, ზის იქ სატანა“** – მინიშნება გოეთეს „ფაუს-  
ტზე“, კერძოდ, ფაუსტის სამუშაო ოთახზე, რომელსაც, ლექსის  
მიხედვით, სატანა დაპატრონებია.

## CRÄNE AUX FLEURS ARTISTIQUES

მეორე პოეტური კრებულის გამოცემაზე ზრუნვას გალაკტიონ  
ტაბიძე 1915 წლიდან შეუდგა. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“  
(№52) ამ წლის ბოლოს იუწყებოდა, რომ ნახალწლევს დაიწყებოდა  
ხელმოწერა პოეტის ლექსების მეორე ტომზე.

წიგნზე ინტენსიური მუშაობა 1916-1917 წლებში გაგრძელდა,  
განსაკუთრებით, მოსკოვში ყოფნის პერიოდში. ო. ოკუჯავას დღი-  
ურში ჩაუწერია: „უკვე მოამზადა მეორე წიგნი“ (სგ, XXIV, გვ.  
391). გალაკტიონის ცდას, წიგნი მოსკოვშივე გამოეცა, შედეგი არ  
მოჰყოლია.

1918 წლის ზაფხულში პოეტი საქართველოში დაბრუნდა, წიგნს  
საბოლოო სახე მისცა და, მიუხედავად უმძიმესი სოციალურ-ეკონო-  
მიკური ვითარებისა, იგი **1919 წლის მაისში** თბილისში გამოვიდა.

ფრანგული სათაურის მქონე კრებულს „Cräne aux fleurs artistiques“  
(„თავის ქალა არტისტული ყვავილებით“), რომელმაც ახალი ეპოქა  
შექმნა ქართული პოეზიის ისტორიაში, ეპიგრაფად წამძღვარებუ-  
ლი ჰქონდა ოთხი ფრანგი პოეტის სტრიქონები ორიგინალის ენაზე.  
ამის თაობაზე გალაკტიონს ჩაუწერია: „ციტატები შ. ბოდლერის,  
ტ. გოტიესი, პოლ ვერლენისა და ჰანრი დე რენიესი ამოღებულია  
რემი დე გურმონის წიგნიდან „ყვავილები“,<sup>1</sup> გარდა ვერლენისა,  
რომელიც ამოღებულია ვერლენის წიგნიდანვე“ (სგ, XIII, გვ. 293).

გთავაზობთ ეპიგრაფების ქართულ თარგმანს:

---

1 სათაური რემი დე გურმონის რუსულად გამოცემული მოთხრობების  
წიგნისა, საიდანაც ეპიგრაფებია ამოღებული, იყო არა „ყვავილები“  
(„Цветы“), არამედ „ფერები“ („Цвета“, М., 1910).

**„მოულოდნელი მომხიბლობა სამკაულისა –  
ვარდისფერის და შავის“  
შარლ ბოდლერი**

**„ცისფერი ქალწული ნაკადულის გრილ ნაპირებზე“  
თეოფილ გოტიე**

**„ჩამავალ მზეთა მელანქოლია“  
პოლ ვერლენი**

**„...და ვარდები მეტად ტანმადალი“  
ანრი დე რენიე**

პოეტის არქივმა შემოინახა წიგნის სათაურის ავტორისეული მოგვიანო ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვით, სიკვდილის („თავის ქალა“) და ხელოვნების („არტისტული ყვავილები“) დაპირისპირებისას იმარჯვებს ხელოვნება (სგ, XIX, გვ. 102). რეალურად, „არტისტულ ყვავილებში“ გატარებულია სიმბოლისტური იდეა მშვენიერების/ ხელოვნების ძალით სინამდვილის / სიკვდილის გარდაქმნისა და დაძლევისა. წიგნის სათაურის შესახებ იხ. ზ. კიკნაძის წერილი – „თავისქალა“ და „ხელოვნების ყვავილები“ (კრ. „გალაკტიონოლოგია“, III, თბ., 2004, გვ. 81-87).

„არტისტული ყვავილები“, მსგავსად გ. ტაბიძის პირველი პოეტური კრებულია, წიგნი-მთლიანობაა, რამაც განაპირობა ტომში სხვა ლექსებისგან მისი ცალკე გამოყოფა. საბაზისო, ძირითად ტექსტადაც 1919 წლის გამოცემა შეირჩა, რომელიც ზუსტად ასახავს ავტორის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურ პოზიციას შემოქმედების სიმბოლისტურ ეტაპზე. შემდგომ პუბლიკაციებში ბევრმა ლექსმა მეტ-ნაკლები ცვლილებანი განიცადა, რაც ნაჩვენებია ვარიანტებში.

### **შემოღობა „უმანკო ჩასახეობს“ მამათა საზანუში (გვ. 53)**

**ნაბეჭდი:** უ. „თოლაბულისის სარტყელი“, 1919, №1, მაისი, გვ. 7 (B); ლექსები, 1919<sup>1</sup>, გვ. 9 (A); ლექსები, 1927, გვ. 247 (C); თხზულებ-

---

1 „ლექსები, 1919“ – აქ და მომდევნო პასპორტებში გულისხმობს გალაკტიონის მეორე პოეტურ კრებულს „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“.

ბანი, I, 1937, გვ. 307 (D); რჩეული, 1944, გვ. 389 (E); რჩეული, 1959, გვ. 500 (F).

**თარიღი:** 1917 B; 1916 DEF.

**6** ჩაქრება] ჩაჰქრება C. **16** თვალები] თაღები B. **19** დაქრიან] დაჰქრიან BCDEF; უდაბნო] უდაბნოს F. **30** მფარველი] მტანჯველი B. **32** ლოცვისთვის ზმანებამტკივანი] ზმანებას ოცნება – მტკივანი B.

ერთ ჩანაწერში გალაკტიონი აღნიშნავს: „ასეთი რიტმი და მეტრი პირველად იქნა შემოღებული ამ ლექსით“ (სგ, XIII, გვ. 299).

ნაწარმოები წარმოადგენს „არტისტული ყვავილების“, როგორც წიგნი-მთლიანობის, პროლოგს, რომელიც დაიწერა ფრანგული პარნასული სკოლის მეთაურის თეოფილ გოტიეს (1811-1872) „მინანქრების და კამეების“ წინათქმისა და იოჰან ვოლფგანგ გოეთეს (1749-1832) „დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ პროლოგის („ჰიჯრა“) გათვალისწინებით. ლექსი უნდა შექმნილიყო წიგნის მომზადების ბოლო ეტაპზე, რაზეც ირიბად მიუთითებს ერთ-ერთი თანამედროვის გამოსმაურება: „ლექსის დატა აღნიშნულია 1917 წლით, რაც ჩვენ საფუძვლიანად გვაეჭვებს: ლექსი უფრო ორიოდ თვისაა, ვიდრე ორიოდ წლისა“ (გ. „ჩვენი ქვეყანა“, 1919, №63).

**„უმანკო ჩასახების“ მამათა სავანე** – გალაკტიონის ცნობით, „ასეთი სავანე არსებობდა ახალი ათონის ახლო, შავი ზღვის პირად“ (სგ, XIII, გვ. 299).

**სანდალი** – მარადმწვანე, სურნელოვანი ხე.

**„რომანში შეშლილი სკვითელი“** – ზ. შათირიშვილის მოსახრებით, რომანში უნდა იგულისხმებოდეს ფ. დოსტოვესკის „ძმები კარამაზოვები“, „შეშლილ სკვითელში“ კი – მისი ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ივან კარამაზოვი.

**„გაზელებს – მგოსანი სასახლის...“** – არაბ. დაზალი, სპარს. ყაზალი; ლექსის აღმოსავლური ფორმა, რომლის განთქმულ ოსტატად ითვლებოდა დიდი ირანელი ლირიკოსი ჰაფეზი (1300-1389). „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ (1922, №1, გვ. 18) დაიბეჭდა გალაკტიონის მცირე განმარტება „გაზელა“, სადაც ნათქვამია:

„ჰაფეზი, მსოფლიოში განთქმული ლირიკოსი, რომელიც გავლენას ახდენდა ევროპის ლიტერატურაზე, და რომლის გავლენის ქვეშ დასწერა გიოტემ თავისი „დასავლეთის დივანი“ (ამ წიგნს თეოფილ გოტიე უწოდებს „ლაზისს, სადაც რეკავდა ქნარი“), იყო უდიდესი პატრიოტი გაზელის“. გამოთქმულია ვარაუდი, რომ „სასახლის მგოსანი“ და, ამავე დროს, „სასახლის მდივანი“ ალუზიაა გოეთეზე.

ლექსის ანალიზი იხილეთ: თ. დოიაშვილი, „არტისტული ყვავილების“ პროლოგი (კრ. „გალაკტიონოლოგია“, II, გვ. 41-61); ზ. შათირიშვილი, რამდენიმე ტროპოლოგიური და ინტერტექსტუალური ექსკურსი (კრ. „სჯანი“, II, თბ., 2001, გვ. 91-96).

### ლურჯა ცხენები (გვ. 55)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 5387 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „ცისფერი ყანწები“, 1916, №1, გვ. 7 (C); „ახალი პოეზიის ანტოლოგია“, ქუთაისი, 1919, გვ. 17 (D); ლექსები, 1919, გვ. 11 (A); ლექსები, 1927, გვ. 3 (E); ლექსები, 1937, გვ. 76 (F); თხზულებანი, I, 1937, გვ. 5 (G); ლირიკა, 1940, გვ. 30 (H); რჩეული, 1944, გვ. 246 (I); რჩეული, 1954, გვ. 189 (J); რჩეული, 1959, გვ. 374 (K).

**თარიღი:** 1915 FGHJK.

**4** სჩანდა] ჩანდა FGHJK. **5** ცივ... მიუსაფარი] რუხი და ქერაფერის B. **10** სახეების] სახეებით BD. **16** გაქრა] გაჰქრა BCD. **17** სულის] ქალის B; ლოცვის] ვნების B. **18** ვით... ხეტიალი] როგორც შხამი ფიალის B. **19, 33** ქრიან] ჰქრიან BCDJK. **21** ესლა] ახლა JK. **22** ცნობს] სცნობს BCJK. **23** ძახილს, ძახილს] სახელს, სახელს CD. **25** სძინავთ] სძინავს B; ხეულებში] ჯურღმულებში B. **26** დაფარა] დაჰფარა BCD. **30** თარეშში] თარეში B. **32** ზღვის ხეტიალი] ელვა ფიალის B.

ლექსი „მთაწმინდის მთვარესთან“ ერთად პირველად დაიბეჭდა ჟ. „ცისფერ ყანწებში“. სიმბოლისტთა ორგანოში გალაკტიონის მონაწილეობას საზოგადოება იმდენად უარყოფითად შეხვდა, რომ პოეტი იძულებული გახდა განეცხადებინა, თითქოს ნაწარმოებები



მასთან შეუთანხმებლად დაბეჭდეს. სინამდვილეში, „ცისფერი ყან-  
წების“ გამოსვლამდე პრესაში არაერთგზის იყო ანონსირებული  
გალაქტიონის მონაწილეობა.

ჩანაწერებში პოეტი საგანგებოდ აღნიშნავს „ლურჯა ცხენების“  
ვერსიფიკაციულ სიახლეს და მუსიკალურობას: „ხსენებული რიტ-  
მი და მეტრი შემოდებული იქნა პირველად ამ ლექსით“ (სგ, XVI,  
გვ. 299), „ფორმა – უაღრესად მუსიკალური, მანამდე არ არსებუ-  
ლი“ (სგ, XX, გვ. 170). შემჩნეულია ლექსის მეტრული წყობისა  
და გართემის სისტემის სიახლოვე, ერთი მხრივ, აკაკის ლექსთან  
„საიდუმლო ბარათი“, ხოლო, მეორე მხრივ, კ. ბალმონტის ვერსი-  
ფიკაციულ ცდებთან.

„ლურჯა ცხენების“ დაკავშირებას ვ. ბრიუსოვის „Конь Блед“-თან  
(„მწვანე ცხენი“) გალაქტიონი უარყოფითად შეხვდა.

პოეტის მოგვიანო ხანის ჩანაწერებში სიმბოლისტური შედეგრე-  
ბის „ახალი“ თვალსაზრისით წარმოჩენის სურვილი „ლურჯა ცხე-  
ნებსაც“ შეეხო, კერძოდ, მოცემულია ცდა ლექსის ჩანაფიქრის, თე-  
მისა და შინაარსის რეალისტური ახსნისა (სგ, XX, გვ. 170).

გალაქტიონოლოგიურ კვლევებში „ლურჯა ცხენების“ კულ-  
ტურული და ინტერტექსტური არეალი ფართოდ არის შემოწერი-  
ლი. მასში მოქცეულია პლატონის „ფედონი“, ა. შოპენჰაუერისა და  
ფ. ნიცშეს იდეები, სიმბოლიზმის ფილოსოფიურ-ესთეტიკური კონ-  
ცეფცია და პოეზია...

### ანბელოუს ეპიგრა ბრძელი პერბამენტი (გვ. 57)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 7389 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „თოლაბულუსის სარტყელი“, 1919, №2, მაისი, გვ. 3  
(C). ლექსები, 1919, გვ. 13 (A); ლექსები, 1927, გვ. 331 (D); რჩეული,  
1944, გვ. 429 (E); რჩეული, 1954, 185 (F); რჩეული, 1959, გვ. 511 (G).

**სათაური:** ანგელოზი პერბამენტით B; მშვიდობით F.

**თარიღი:** 1915 F.

3 გრძელი] ხელში B. 4 დაყურებდა] დაჰყურებდა BDEFG. 9 ლი-  
დიის] ზმანებათ FG. 10 ფეხთქვეშ] ფერხთქვეშ FG. 11 ოპ] ო B. 14  
გადაუარეთ] გადაუარეთ EFG. 21 კვდება] ჰკვდება B.

**გრაალის კოშკები** – გრაალი (იხ. კომენტარი ლექსისა „მზეო თიბათისა“, გვ. 42); გრაალის კოშკები ანუ ციხე-სიმაგრე, სადაც გრაალი ინახებოდა.

**ლიდის სამრეკლო** – ლიდია, უძველესი სახელმწიფო მცირე აზიაში, რომელიც VI საუკუნეში სპარსელებმა დაიპყრეს. რ. ბურჭულაძის ვარაუდით, აქ იგულისხმება ქალაქი ლუდი, სადაც იოსებ არიმათიელის ინიციატივით პირველი ქრისტიანული ტაძარი აიგო (რ. ბურჭულაძე, „მხოლოდ ინტეგრალები...“, თბ., 2000, გვ. 70).

**„ოცნება ნახაზი საგანთა უარით“** – მიჩნეულია გალაკტიონის ამოუხსნელ პოეტურ ენიგმად (მ. კვესელავა), მეორე ვერსიით – აბსტრაქტული, უსაგნო ხელოვნების ინტუიციურ სახელდებად (ვ. ჯავახიძე). სხვა მკვლევართა ინტერპრეტაციის თანახმად, სინამდვილის ანტონიმიური ცნება – ოცნება პოეტის მიერ გაიაზრება, როგორც შედეგი ობიექტურ რეალობასთან, საგნობრივ სამყაროსთან გათიშვისა (თ. დოიაშვილი, ლ. ბრეგაძე).

ნაწარმოებთან დაკავშირებით იხილეთ: რ. ბურჭულაძე, „მხოლოდ ინტეგრალები...“ (გვ. 62-76); ზ. შათირიშვილი, სიფითრე და სიბნელე: ინტერტექსტუალობა „არტისტულ ყვავილებში“ (კრ. „სჯანი“, I, თბ., 2000, გვ. 89-92).

## **საშუაბრი ელზარზი (გვ. 58)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 7390 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 14 (A); ლექსები, 1927, გვ. 335 (C); თხზულებანი, I, 1937, გვ. 400 (D); რჩეული, 1959, გვ. 513 (E).

**თარიღი:** 1916 DE.

**17** უშფოთველი] უშფოთელი CD. **19** დამტკნარია] სხვაგვარია B. **21** კვდება] ჩნდება B.

ლექსი იდუმალების ესთეტიზაციის ქრესტომათიული ნიმუშია. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ამერიკელი რომანტიკოსის – ედგარ ალან პოს (1809-1849) შემოქმედების ატმოსფეროსთან.

**ფურცალი** – გალაკტიონის ნეოლოგიზმად მიჩნეული ამ სიტყვის მნიშვნელობაზე გამოთქმულია სხვადასხვა თვალსაზრისი. იგი

უნდა აღნიშნავდეს ნიუანსს, ელფერს, რასაც მხარს უჭერს ერთი ფრაზა პოეტის ჩანაწერისა: „შკოლა დიქციისა და ფერვალებისა“ (სგ, XXII, გვ. 450).

ლექსის ინტერტექსტური წაკითხვა მოცემულია ზ. შათირიშვილის წერილში „სიფითრე და სიბნელე: ინტერტექსტუალობა „არტისტულ ყვავილებში“ (კრ. „სჯანი“, I, გვ. 92-95).

### მარიამ ანტუანეზა (გვ. 59)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 021371-41 (B); 196 (C); 1098 (D); 5391 (E); 6151 (F).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 15 (A); ლექსები, 1927, გვ. 147 (G); თხზულებანი, I, 1937, გვ. 24 (H); რჩეული, 1944, გვ. 339 (I); რჩეული, 1954, გვ. 174 (J); რჩეული, 1959, გვ. 432 (K).

**სათაური:** გული\* B; პრელიუდიები\* B; მხოლოდ ერთხელ\* B; გედე-ბი. ვარდები B; მოვა... მაგრამ როდის? CGHIJK; – DEF.

**თარიღი:** მოსკოვი. 1917. 21 ივნისი. ოთხშაბათი, საღამოს 10 ს. B; 1916 GHIJK.

4 ხასახლეში] სიცოცხლეში CDJK. 10 ყვავილები] ყვავილები C. 10-17 ყვავილები... დედოფალი] –DJK. 14 ლანდებათ] ლანდებად HI. 18 ზრდილი, ნაზი] რაღაც უცხო D. 19 ჩემი] შენზე D. 20 არის] მქონდა D] იყო J. 18-33 ზრდილი... თოვლი]

აღარ მიბგერს. მყოფს ამ დღეში  
გული ცივი ღოდის...  
სიყვარული სიცოცხლეში  
მხოლოდ ერთხელ მოდის. D

ეს სტროფი ნასწორებია. მასში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: 1 აღარ მიბგერს] რაღა დამრჩა\*. 2 გული ცივი] სული ფერფლის, გული\*.

23 მე] კვლავ C; მე ვერსალის] მოკისკასე J] მოკისკისე K. 26 დედოფალი] აჰა, ვხედავ JK. 27, 30 მიქრის] მიჰქრის CGHIJK.

J-ში ლექსის ბოლოს მეორდება პირველი სტროფი.

BEF ავტოგრაფებში ლექსის განსხვავებული რედაქციაა. B-ში დასაწყისში გადახაზულია:

ყვავილია ერთნაირი, მხოლოდ ერთხელ ჰყვავის.

ერთნაირი ვარდი ვიცი, მხოლოდ ერთხელ ჰყვავის.

მთელ მრავალხნის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ჰყვავის.

დანარჩენი ტექსტი კი BEF-ში ასეა წარმოდგენილი:

ერთნაირი ვარდი არის,

მხოლოდ ერთხელ ყვავის,

ქარში ათრობს არე-მარეს

სუნთქვა მომაკვდავის.

ასეთია ნაზი ბედი,

ბედი რჩეულ ფერის,

სიცოცხლეში თეთრი გედი

მხოლოდ ერთხელ მდერის.

შორეული ქალის ეშხი

მოვა მაგრამ როდის?

სიყვარულიც სიცოცხლეში

მხოლოდ ერთხელ მოდის.

მოგეხვევი როგორც დედას,

როგორც მზრუნველ დობილს,

საყვარელო, ვინ შეხედავს

ჩემს სულს დაუნდობელს.

ამის შემდეგ F-ში კიდევ ერთხელ მეორდება პირველი სტროფი (ერთნაირი... მომაკვდავის). ტექსტის ბოლოს ორჯერ არის მიწერილი „ისრები ქარში“.

B ავტოგრაფი ნასწორებია. მასში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

1 ერთნაირი] ვარდი ვიცი\*] ვარდი არის\*; ვარდი არის] ერთნაირი\*;  
იქვე მიწერილია: „გვიმრაში რომ ვარდი არის“. 4 სუნთქვა] მხოლოდ

(?)\*. 12-ე სტრიქონის შემდეგ გადახაზულია: „მგზავრად წავალ და სულ ასე/ ვივლი ასე, ასე“. 15 საყვარელო, ვინ] სხვა ვერავინ ვერ\*.

**მარია-ანტუანეტა** – გართობითა და ამურული თავგადასავლებით ცნობილი საფრანგეთის ახალგაზრდა დედოფალი, რომელიც გვირგვინოსან მეუღლესთან – ლუდოვიკო XVI-სთან ერთად 1793 წელს საფრანგეთის რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა. არსებობს პოეტის ასეთი ჩანაწერი: „ვერსალის სასახლეებს შორიდან ეჩვენება გასისხლიანებული ლანდი ლუდოვიკ მე-XVI-ისა და ანტუანას წითელი ხავერდებით იმოსება რევოლუციის მიერ ანთებული კატაკომბები“... (სგ, XXII, გვ. 441). გალაკტიონის ლექსის რეალიებს ლირიკული პერსონაჟის ცხოვრების ტექსტზე გავყავართ.

**ვერსალი** – საფრანგეთის მეფეთა სადღესასწაულო რეზიდენცია პარიზის ახლოს, სახელგანთქმული სასახლითა და უნიკალური პარკით.

**ტრიანონი** – ვერსალის პარკში აგებული იყო ტრიანონის დიდი და მცირე სასახლეები, რომლებიც ლუდოვიკომ მეუღლეს გადასცა უშუალო განმგებლობაში.

**ესტარგეზი** – ვალენტინ ესტერჰაზი, უნგრელი არისტოკრატი, ავსტრია-უნგრეთისა და საფრანგეთის სამეფო კარზე ცნობილი პიროვნება, დაახლოებული მარია-ანტუანეტასთან.

**შუაზელი** – დედოფლის მოტრფიალე, სამეფო დრაგუნების ახალგაზრდა პოლკოვნიკი, რომელიც თან ახლდა ლუი XVI-ის ოჯახს გაქცევისას და მათთან ერთად შეიპყრეს 1791 წლის 20 ივნისს ქ. ვარენაში.

**დოინ-დოვენ-დოვლი** – ასემანტიკური რიტმულ-მელოდიური ფრაზა მუსიკალური ფუნქციით.

ლექსის გენეზისი რ. ბურჭულაძემ დაუკავშირა მ. მეტერლინკის დრამას „ჟუაზელი“ (იხ.: „პოეტური ინტერალეები“, გვ. 134-147), რაც არ იქნა გაზიარებული (თ. დოიაშვილი, ლ. ბრეგაძე, დაკარგული გასაღების ძიებაში, თბ., 1986, გვ. 50-56). იგივე ლექსი კ. ჰაინეს „მარია ანტუანეტასთან“ მიმართებით განხილული აქვს ვ. კავთიაშვილს (იხ. მისი: გერმანული ლიტერატურულ-ესთეტიკური რეცეფციები გ. ტაბიძის შემოქმედებაში, თბ., 2006, გვ. 44-48).

## თოვლი (გვ. 61)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 17 (A); გ. „სახალხო საქმე“, 1919, №612, 28 აგვისტო (B); ლექსები, 1927, გვ. 129 (C); თხზულებანი, I, 1937, გვ. 185 (D); ლირიკა, 1940, გვ. 45 (E); რჩეული, 1944, გვ. 328 (F); რჩეული, 1959, გვ. 469 (G).

**თარიღი:** 1916 DG.

### 3, 19 ცვენა] ფენა CDFG. 36 ტყეების] ტყეების B.

ლექსის ანალიზი მოცემულია ნაშრომებში: რ. ბურჭულაძე, „მხოლოდ ინტეგრალები...“ (გვ. 120-131); გ. ლომიძე, მელანქოლიური დისკურსი და უხილავი სუბიექტი (კრ. „გალაკტიონოლოგია“, II, გვ. 162-168); ა. გომართელი, „ზუბოკიდან“ გალაკტიონის „თოვლამდე“ (იხ. მისი: ლიტერატურული წერილები და ესეები, თბ., 2005, გვ. 3-22); მ. ჯალიაშვილი, სიზმრისეული რეალობა (კრ. „გალაკტიონოლოგია“, IV, თბ., 2008, გვ. 83-90); ლ. სორდია, გ. ტაბიძის სახის-მეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები (თბ., 2009, გვ. 165-173) და სხვ.

## უნაზუსი ხელნაწერი (გვ. 63)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 19 (A); ლექსები, 1927, გვ. 24 (B) და 89 (C); თხზულებანი, I, 1937, გვ. 40 (D); რჩეული, 1944, გვ. 309 (E); რჩეული, 1959, გვ. 378 (F).

**თარიღი:** 1916 C.

4 სურნელება] სურნელობა CE. 10-13 გაჰქრენ სინაზეთა] – D. 10 გაჰქრენ] გაქრენ F.

## შეზიგება (გვ. 64)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 8832 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 20 (A); ლექსები, 1927, გვ. 94 (C);

თხზულებანი, I, 1937, გვ. 136 (D); რჩეული, 1944, გვ. 310 (E); ლექსები, 1953, გვ. 110 (F); რჩეული, 1954, გვ. 198 (G); რჩეული, 1959, გვ. 461 (H);

**სათაური:** –B.

**თარიღი:** 1915 DEG.

**2** ტოტებს... მარტი გაქრა ზმანებათ მსუბუქი დარდი B; გადაყვა] გადაჰყვა CDEFGH. **3** შავ] თეთრ CDEFGH; ტანსაცმელ-ით] ტანთსაცმელში B] ტანსაცმელში CDEFGH. **4** გავალ] წავალ CDEFGH. **5** მიყვარს... ზვირთები] გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით BCDEFGH. **6** ეხლა... სივრცეს] დღეს ყველგან მხუა BCDEFGH. **8** ჩემი... გააზამბახებს] მაისი ალით ააზამბახებს BCDEFGH. **11** ცეცხლთა] შუქთა CDEGH] შუქის F. **14** ამადლდი... თეთრ] მე ისევ ვდგევარ ფიქრთ B. **17** შენი] ჩემი BCDEFGH.

ლექსის ბოლოს B ვარიანტში მეორდება პირველი სტროფი.

შერიგების ცნება „არტისტული ყვავილების“ ერთ-ერთი ძირითადი ფილოსოფიურ-ესთეტიკური კონცეპტია. ლექსში მინიშნებულია მისტიკური გაზაფხულის ნაადრევ „გარდაცვალებაზე“ სასტიკი სინამდვილის ზემოქმედებით („ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი“). რეალობის პირისპირ დარჩენილი ღირიკული სუბიექტი ესთეტიზმის პოზიციიდან ეგუება, ურიგდება ცხოვრებას/სიკვდილს მშვენიერებისა და პოეზიის მარადიულობის სახელით.

პოეტის მოგვიანო დროის ერთი ჩანაწერი გვაუწყებს: „შერიგება – ოპტიმისტური ლექსი“ (სვ, XIX, გვ. 101).

**ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი** (1756-1791) – კომპოზიტორის გვარი ლექსში გამოყენებულია მეტონიმიის ფუნქციით, როგორც ალუზიამის „რეკვიემზე“ (ზ. შათირიშვილი).

შერიგების მოტივი გაანალიზებული აქვს ზ. შათირიშვილს წიგნში „გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა“ (გვ. 89-95).

### **პოეტი ბრბოში (გვ. 65)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 21 (A); ლექსები, 1927, გვ. 324 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 372 (C).

**სათაური:** ფოთლების ღანდი BC.

**თარიღი:** 1915 C.

6 ოპ] ო BC. 14 ვიქნები] იქნება BC. 15 მსუბუქ მანდილით] ქარის მანდილი BC.

## **პირიმზუ (გვ. 66)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 22 (A); ლექსები, 1927, გვ. 19 (B); რჩეული, 1944, გვ. 265 (C).

2 კარბაზე] კარებზე C.

პირიმზეს თემა და სიმბოლო, რომელიც გენეტიკურად ვა-უა-ფშაველას პოეზიას უკავშირდება და მშვენიერების, სიკეთის, მამულის სახეა, გალაკტიონის ადრეულ ლირიკაშივე იჩენს თავს – 1912 წლის ლექსებში „სერენადა“ და „გამოსაღმება“ (ტ. I, გვ. 62, 63). „არტისტულ ყვავილებში“ შესული „პირიმზე“ ინარჩუნებს მამულის თემასთან კონტაქტს, ოღონდ იგი ირეალური ხილვის ფორმაში, ფოლკლორულ-მითოლოგიური წარმოდგენების მოხმობით და ლიტერატურული აღუზიებით მუშავდება.

1920 წელს „არტისტულ ყვავილებში“ შესული ლექსებიდან ი. გრიშაშვილმა „ლურჯა ცხენებსა“ და „მერისთან“ ერთად გამოყო „პირიმზეც“, რომლის შესახებ წერდა: „ამ უკანსკნელში თინათონობს საქართველოს ყოფილი სევდა“ (ქ. „ლეილა“, 1920, №2).

ლექსის ანალიზი იხილეთ გ. ლომიძის წერილში „გალაკტიონის „პირიმზე“, დეკოდირება და რეკონსტრუქცია“. კრ. „გალაკტიონი – 125“, თბ., 2016.

## **VOILES (გვ. 67)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 23 (A); ლექსები, 1927, გვ. 147 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 195 (C); რჩეული, 1944, გვ. 336 (D); რჩეული, 1959, გვ. 473 (E).

**თარიღი:** 1916 BCE.



7, 17 მწერვალები მწვერვალები CDE. 15 ქრიან] ჰქრიან BCDE.

ლექსში „VOILES“, როგორც ბგერით-მუსიკალურ პიესაში, წამყვანია ბგერა „ლ“, რომლის შესახებ გალაკტიონს ჩაუწერია: „ამ ანბანის მნიშვნელობა ცნობილია პოეზიაში, განსაკუთრებით ლირიულში, უნახესი ემოციების გამოსახატავად“. საილუსტრაციოდ დამოწმებულია კ. ბალმონტის სტრიქონები და „ვუალები“ დასაწყისი (სგ, XIII, გვ. 477).

ლექსი სიმბოლიზმის ესთეტიკურ-პოეტიკურ კონტექსტში გაანალიზებულია თ. დოიაშვილის წერილში „მეტყველი ბგერა პოეზიაში“ (იხ. მისი: ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, თბ., 1982, გვ. 60-62).

## მერი (გვ. 68)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 2308 (B); 7629 (C); 8941 (D).

**ნაბეჭდი:** ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №36, 5 სექტემბერი, გვ. 2 (E); ლექსები, 1919, გვ. 24 (A); ლექსები, 1927, გვ. 149 (F); თხზულებანი, I, 1937, გვ. 30 (G); ლირიკა, 1940, გვ. 41 (H); რჩეული, 1944, გვ. 398 (I); რჩეული, 1954, გვ. 167 (J); რჩეული, 1959, გვ. 354 (K).

**სათაური:** – BCD; MERI E.

**თარიღი:** 1914 FGK; 1915 K.

3 კედომა] კროთმა B. 4 სანდომიან ცის] მაგ უცხო სახის B. 6 აფეთქებული] ათეთრებული B. 7, 10 იწოდა] იწვოდა JK. 9 გაფითრებული] შენ იქ თან[ხმობის] B. 10-49 იწოდა... დატოვებული – B. 21 გავდა] ჰგავდა HJK. 24 დაქროდა] დაჰქროდა FGHIJK. 31 ჩემს] ჩემ J. 32 აშრიალებდენ] აშრიალებდნენ GHJK. 37 მიყვებოდა] მიჰყვებოდა FGHIJK. 38 სოქვი] თქვი H] ვოქვი JK. 44 „მესაფლავეს“] „გურიის მთებს“ J. 47 წყდებოდენ] წყდებოდნენ GHJK. 49 დატოვებული] მიტოვებული JK.

C ავტოგრაფში მხოლოდ პირველი სტროფის ვარიანტია. ეს სტროფი პოეტს ორჯერ გადაუწერია:

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი,  
შენი იმ ღამეს თვალთ კრთომა,  
მაგ უცხო სახის ელვა და ფერი –  
გაფითრდა ვით შემოდგომა.

D-ში პირველი სტროფის სამი სხვადასხვა ვარიანტია წარმოდგენილი: თითოეული მათგანი განსხვავებული საზომითაა დაწერილი (10, 16 და 14-მარცვლედით). ათმარცვლედით დაწერილი ემთხვევა F-ის პირველ სტროფს. მოგვაქვს 14-მარცვლედით დაწერილი სტროფი და 16-მარცვლედის თავისებურებებს ვაჩვენებთ მასთან მიმართებით:

შენ იმ ღამეს ჯვარს იწერდი, მშვენიერო მერი.  
ვინ ასწეროს შენი სახის მაშინდელი ფერი.  
ვინ ასახოს მისი იმჟამ კრთომა და იერი.  
მაინც ტურფა, მაინც სათნო, მაინც მშვენიერი.

**1** იწერდი+ჩემო. **2** მაშინდელი+ელვა. **3** იმჟამ+უცხო. **4** მაინც მშვენიერი] და უზომოდ მშვენიერი. ამის შემდეგ ემატება კიდევ ერთი სტრიქონი: „შენ იმ ღამეს ჯვარს იწერდი, იმ ღამეს მაგ თვალთა კრთომა“.

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (E) ლექსი ასეთი რედაქციითაა წარმოდგენილი:

#### MERI

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!  
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კრთომა,  
მაგ უცხო სახის ელვა და ფერი  
მწუხარე იყო ვით შემოდგომა.

ათეორებული და მოცახცახე  
თრთოდა სანთლების მთელი კრებული,  
მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე  
იყო იდუმალ-გაფითრებული.

ელავდა ტაძრის გუმბათი, კალთა,  
ვარდთა დიოდა ირგვლივ სურნელი,  
მწუხარე იყო, მაგრამ მაგ თვალთა  
სხვა იყო სევდა განუკურნელი.

შენ იქ თანხმობის წარმოსთქვი ფიცი...  
მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა  
და იმის შემდეგ დღესაც არ ვიცი:  
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?

თითქო ვილაცა მწარედ გოდებდა,  
ვილაცა თავის ყრმობას ჰკარგავდა,  
დაგიტირებდა, შეგიცოდებდა...  
დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა.

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი...  
მერი! იმ ღამეს გული მწყდებოდა,  
ვიდექი სვეტთან და ყველაფერი  
მწარე ოცნებად მეჩვენებოდა.

ნუთუ დაგკარგე? ნუთუ არასდროს  
ბედი ჩემთან არ გაგათანაბრებს?  
სხვისმა აღერსმა უნდა დაგათროს?  
სხვამ უნდა მიგცეს იღუმალ ზღაპრებს?

ნუთუ სხვამ უნდა დასწვას ეგ მკერდი  
თოვლივით თეთრი და მშვენიერი?  
დაბრუნდი, მერი! მერი, შეჩერდი!  
მე აქ ვარ, აქა, ძვირფასო მერი!

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!  
იმ ღამეს შენი სიცოცხლის ბედი  
გათავდა... ჩაჰქრა შუქთა ჩანჩქერი.  
ტაძრიდან მწარე გესლით გავედი.

სად მატარებდა ნაბიჯი ჩქარი  
არ მახსოვს, თვალთა ხედვა მიძიმდა...

ბნელოდა, მძაფრი დაჰქროდა ქარი  
და განუწყვეტლად სწვიმდა და სწვიმდა.

ნაბადი ტანზე შემოვიხვიე,  
თავი მივეცი ფიქრს შეუწყვეტელს,  
დაგკარგე ძალა და სახლთან იქვე  
ღონემისხილი მივაწექ კედელს.

ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს  
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები  
აშრილებდენ ფოთლებს ბნელხმიანს  
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.

და შრილებდა ტოტი ვერხვისა,  
რაზე – ვინ იცის... ან და ვინ ასწერს  
იმ ბედს, რომელიც მე არ მეღირსა,  
რისთვისაც გული ეხლაც ისევ სძგერს.

ან უეცარი გასხივოსნება  
რად ჩაჰქრა ასე? ვის ვევედრები?  
რად აშრილდა ჩემი ოცნება,  
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?

ან ცას ღიმილით რად გავცქეროდი,  
ან რად ვიჭერდი შუქს მოკამკამეს?  
ან „მესაფლავეს“ რად ვატირებდი,  
ან რად ვკენესოდი ჩემს „მე და ღამეს“...

ქარი და წვიმის წვეთები ხშირი  
კენესოდენ, როგორც კენესოდა გული  
და მე ავტირდი ვით მეფე ღირი,  
ღირი ყველასგან მიტოვებული.

ლექსი რიგით მეორე ნაწარმოებია მერის ციკლისა. პირველი  
ლექსი ამავე სათაურით გამოქვეყნდა ექვსი თვით ადრე (იხ. კომენ-  
ტარი ლექსისა „მერი“, გვ. 172).

„მერის“ პირველმა, ე.წ. რომანტიკულმა ვერსიამ, რომელიც „თე-

ატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა (1915), დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქუთაისში. ლექსი საზოგადოებამ აღიქვა, როგორც ჭაბუკი პოეტის მიერ რეალური გრძნობის ღია გაცხადება უღამაზესი არისტოკრატი ქალბატონის – მერი შერვაშიძისადმი (1888-1986). რუსეთის საიმპერატორი კარის ყოფილი ფრეილინა იმჟამად ცხოვრობდა ქუთაისში, ნათესავის, პრინც ოლდენბურგის მეუღლის – გრაფინია ზარნიკაუს (აგრაფინა ჯაფარიძის) სასახლეში. საქმემ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ გალაკტიონი იძულებული გახდა, უარყო გავრცელებული ხმები. ლექსის საბოლოო, სიმბოლისტურ რედაქციაში („არტისტული ყვაილები“, 1919) პოეტმა ტექსტიდან ამოიღო ეროტიკული შეფერილობის ორი სტროფი.

მერი შერვაშიძე, რომელიც რევოლუციის შემდეგ საფრანგეთში წავიდა საცხოვრებლად, მისივე ზეპირი თუ წერილობითი განცხადებების თანახმად, გალაკტიონ ტაბიძეს არ იცნობდა, ხოლო პოეტი სიცოცხლის ბოლომდე იღუმალებით მოსავდა, არ უარყოფდა ლეგენდას, რომელიც მისგან დამოუკიდებლად შეიქმნა. გალაკტიონის 1958 წლის ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ:

„მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა ჩემი ლექსი „მერი“, ძალიან ხშირად მკითხავდნენ, თუ ვინ იყო ეს მერი, მაგრამ მე ყოველთვის უარს ვამბობდი პასუხზე. როგორც პოეტი, მე ვსარგებლობდი უფლებით, თვითეული ლექსისთვის დამერქმია ის სახელი, რომელიც მსურდა. ერთხელ მე ამის გამო გულიც კი მომივიდა. თითქმის გაცოფებაში მოვედი და ამხანაგებმა გაიგეს, რომ მეტი აღარ შეიძლება ჩემთან ჩაცივება. მერი კი... აღბად, არსებობდა. იყო ასეთი ქალი!“ (სგ, XIX, გვ. 511).

მერი შერვაშიძე გალაკტიონს ნახსენები ჰყავს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ (1923, №5, გვ. 2), აგრეთვე, სპეციალურ ჩანაწერში (სგ, XXII, გვ. 233).

საკუთრივ ლექსს „მერი“ ეძღვნება პოეტის 1935 წლის ექვსპუნქტიანი მონახაზი სათაურით „მერი“ (სგ, XV, გვ. 228-229).

არსებობს ცნობა „მერის“ კავშირზე ძველ რუსულ რომანსთან, რაც გალაკტიონს, როგორც გადმოგვცემენ, დაუდასტურებია (გ. ჩიქობავა, გალაკტიონის ახლოს, ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, №7, გვ. 87).

„მერი“, როგორც პოეტური ტექსტი, გენეტიკურად დაკავშირებულია რომანტიკულ-სიმბოლისტურ ტრადიციასთან. ძირითადი ვერსიები ლირიკული პერსონაჟის შესაძლო პროტოტიპის შესახებ

მოცემულია ნაშრომებში: ბ. ჩიქობავა, ვინ არის მერი – გალაკტიონ ტაბიძის სატრფიალო პოეზიის გმირი ქალი (ქ. „მნათობი“, 1973, №7, გვ. 103-111); ბ. დადიანი, გალაკტიონ ტაბიძის მერის ვინაობის შესახებ (ქ. „მნათობი“, 1975, №11, გვ. 167-168); აკ. ვასაძე, „ვინ იყო გალაკტიონის მერი“ და ზოგი რამ პოეზიაზე (ქ. „მნათობი“, 1976, №6, გვ. 141-149); ი. მერაბიშვილი, გალაკტიონის Meri. პროტოტიპის ძიება. თბ., 2012.

### აღვები თოვლში (გვ. 70)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 5390 (B).

**ნაბეჭდი:** კრ. „სხივი“, 1916, გვ. 64 (C); ლექსები, 1919, გვ. 26 (A); ლექსები, 1927, გვ. 132 (D); თხზულებანი, I, 1937, გვ. 191 (E); რჩეული, 1944, გვ. 329 (F); რჩეული, 1954, გვ. 174 (G); რჩეული, 1959, გვ. 472 (H).

**სათაური:** ალვის ხე B; ალვის ხე თოვლში C.

**თარიღი:** 1915 წ. წაღვერი C. 1916 EGH.

4 შეენის] ჰშენის G; მწერვალებს] მწვერვალებს EFGH. 10 დაცვივა] დასცვივა GH. 11 შუქი] შუქის H. 14 სღვას] ღვას EGH. 15 გიორგის] მალალი DEFGH.

C-ში ლექსი ასეთი სახითაა წარმოდგენილი:

#### ალვის ხე თოვლში

როდესაც მოვარე თოვლიან ალვებს  
ათრობს ცისფერი ყინვის თასებით,  
შეენის ბეჭდები ალვის მწვერვალებს  
ვით სასძლოს ფარჩა და აღმასები.  
მოკრიალებულ ჰაერში ოდეს  
ვერცხლივით ბრწყინავს ფარჩა ნათელი,  
ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს  
გადაზნექილი ალვის ხის წელი.  
თოვლი გუნდ-გუნდათ დასცვივა ტოტებს,  
ჩამოიშლება თეთრი პირბადე

და უცნობ ღამის საკურთხეველთან  
იტირებს ალვა განთიადამდე.  
სულ სხვაა, როცა მის სველ რტოებზე  
სევდიან მოვარეს გააქვს კაშკაში  
და უჩვევ სიზმრებს ეაღერსება  
ჩვეულ სიცივის მძინარებაში.

C მიღებულია B ვარიანტის სწორების შედეგად. B ავტოგრაფის დასაწყისში მიწერილია:

ეს ჰანგი კი არ გვეღონოს,  
ეს გული კენესის, ოჰ, ჩუმად, ჩუმად!

B ვარიანტში ლექსის თავდაპირველი სათაური იყო „სიცადლი-ერე“, შემდეგ „თოვლივით“, „სახალწლო“, „ზამთრის ღამე“, „მარტობა“. საბოლოოდ დატოვებულია „ალვის ხე“. B-ში სათაურის შემდეგ გადახაზულია: „დაჭრილ მხეცივით ზუზუნებს ქარი, ღამეა... ო. ღიას“.

B ვარიანტი C-სთან მიმართებით იძლევა შემდეგ განსხვავებებს:

**2-5** როდესაც... ალვებს] ღამეა. თოვლი მთებსა და სერებს\* B] თოვლით დაფარულ მთებს და მდინარეს B. **3** ათრობს ცისფერი] მთვარე ანათებს B; ყინვის თასები] ღამეა ჩუმი\* B] მღუმარებს მთები B] ბრწყინავენ მთები B. **4** შეენის... ალვის] სარკმლის წინ ალვის ხის\* B. **5** აღმასები] აბრეშუმი\* B. **5-ე** სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია:

ოჰ, ნეტავი არ შეირხოდეს  
გადაზნექილი ალვის წელი,  
დამცვივა ტოტებს გუნდ-გუნდათ თოვლი.  
ჩამოიშლება.

**7** ფარჩა] თოვლი\* B] სვეტი B. **10** გუნდათ] გუნდად B. **12** უცნობ] წყნარი\* B] მყუდრო B. **13-ე** სტრიქონის შემდეგ B-ში იკითხება: ასულხარ როსმე თოვლიან მთაზე, ო. **15** სევდიან] მიბნედილ B. **16** უჩვევ] ჩვეულ\* B. **17** ჩვეულ] ზამთრის\* B] უჩვევ\* B.

იხ. კომენტარი ლექსისა „თეთრი ლანდებით“ (გვ. 173).

მხატვრული სახე „ივლისისფერი ყინვა“ სხვადასხვაგვარად არის ინტერპრეტირებული რ. ბურჭულაძის, აკ. ვასაძის, მ. კვესელავასა და სხვა მკვლევართა წერილებში.

ლექსი სიმბოლისტური პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტია, რომელშიც მხატვრულად არის ხორცშესხმული ე.წ. სიმბოლისტური რეალიზმის ფუძემდებლური პრინციპი „რეალობიდან ზერეალურისაკენ“ (იხ. თ. დოიაშვილი, „ივლისისფერი ყინვის თასებით“, წიგნში: ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, გვ. 65-74).

### ბრალანცია (გვ. 71)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 27 (A); ლექსები, 1927, გვ. 431 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 386 (C); რჩეული, 1944, გვ. 490 (D).

**სათაური:** ფარულ ტკივილებით BCD.

**თარიღი:** 1915 C.

6 ჩრდილოეთში] უცხოეთში BCD.

### სილაშვარღე ანუ ვარღი სილაში (გვ. 72)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 36 (B).

**ნაბეჭდი:** უ. „თეატრი და ცხოვრება“, 1917, №1, 1 იანვარი, გვ. 7 (C); „ახალი პოეზიის ანტოლოგია“, ქუთაისი, 1919, გვ. 17 (D); ლექსები, 1919, გვ. 28 (A); ლექსები, 1927, გვ. 280 (E); თხზულებანი, I, 1937, გვ. 357 (F); რჩეული, 1944, გვ. 404 (G); რჩეული, 1959, გვ. 366 (H).

**სათაური:** – B; დედაო ღვთისაგ! CD.

**თარიღი:** 1914 FH.

16 ოცნების ბაღით] ფრთების ცახცახით CD. 20 წინედ] წინეთ CD] წინათ H; ფეთქდენ] ფეთქდნენ F. 23 მგოსნები] მგოსანი CD. 25 ვედრებით განაოცები] ლურჯფრთება და მეოცნებე CD. 27-30 სად... დაფარული] – CD. 31 და... გზახე] მოკვდები ასე ნელი და ნაზი CD. 31 დაწვევლილ] დაწვევტილ H. 32 სიკვდილის ლანდი]



მაგრამ როს კუბო CD. 34 ჩემთან] შენთან CD; შენი] ჩემი CD. 38 ჩემს] ცივ CD.

B-ში წარმოდგენილია ლექსის განსხვავებული რედაქცია:

დედაო ღვთისაჲ, დედოფალო წმიდა მარიამ,  
როგორც მზისაგან დათოვლილი სილაში ვარდი  
ჩემი ცხოვრება მარტოობა და სიზმარია  
ჩემთვის მკვდარია, დამტკნარია [?] ცის სილაჟვარდე.  
მზე მგლოვიარე ჩაგა უხმოდ და მიმქრალივით  
და თუ როგორმე, დედოფალო, ისევე გათენდა,  
დამენათევი, ფერწასული და ნამთვრალევი  
დადლილ ქალივით მივალ ჩემებრ დადლილ ხატებთან.  
დამენათევი, ფერწასული და ნამთვრალევი,  
მე მივეყრდნობი მამა-პაპათ სალოცავ კარებს,  
შემოიჭრება თეთრ სიონში მზის [...] სხივი  
და თეთრ ოღარებს თეთრ თოვლივით ააქვვარებს.  
და მაშინ ვიტყვი, დედოფალო, აჰა, მოვედი  
გედი ბედისგან დაკოდილი ფრთების ცახცახით,  
შეხედე, დასტკები [...] ყმაწვილურ ბედის  
დადლილ ხელებით, მეტყველებით, წამებულ სახით.  
შეხედე, დასტკები, დედოფალო! ჩემი თვალები  
სავსე რომ [იყო] გაზაფხულის ცისფერ იებით,  
დამენათევი, ძიღგამკრთალი და ნამთვრალევი  
სავსეა მხოლოდ საოცარი შურისძიებით.

ავტოგრაფში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

1 დედაო ღვთისაჲ] ცათ დედოფალო\*. 2 მზისაგან დათოვლილი] მზის ნათელს მოკლებული\*. 4 მკვდარია, დამტკნარია] უცხოა და არ არი\*. 5 მგლოვიარე... უხმოდ] ჩაგა უხმოდ, დადლილივით\*. 8 მივალ... დადლილ] დაღალული მივალ\*.

ლექსის დაწერის საბაბი, გალაკტიონისგან მომდინარე ცნობით, ყოფილა მონანიე მეძავის ხილვა ეკლესიაში, ღვთისმშობლის ხატის წინ (ნ. ტაბიძე, წერილები, თბ., 1978, გვ. 10-11).

უ. „თეატრი და ცხოვრების“ 1917 წლის პირველი ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, გამოვიდა 1 იანვარს, ამიტომ ლექსი 1916 წლით დათარიღდა.

ე.წ. საუკუნის რითმის „სილაში ვარდი – სილაჟვარდე“ გენეზისთან დაკავშირებით იხ. თ. ბარბაქაძე, „სილაში ვარდი“ და „ყვავილი გაგსილი სილით“ (იხ. მისი: ქართული ლექსმცოდნეობა და სხვა, თბ., 2006, გვ. 15-20).

**„ვით სამოთხიდან ალიგიერი...“** – იგულისხმება დანტე ალიგიერი (1265-1321) და მისი „ღვთაებრივი კომედიის“ ნაწილები, სამოთხე – დანტესთან, ხოლო ჯოჯოხეთი – ლირიკულ სუბიექტთან მიმართებით.

ლექსის განსხვავებული ინტერპრეტაციები იხილეთ ნაშრომებში: რ. ბურჭულაძე, „მხოლოდ ინტერგრადები...“ (გვ. 107-115); თ. დოიაშვილი, ლ. ბრეგაძე, დაკარგული გასაღების ძიებაში (გვ. 60-63); ე. ჯაველიძე, გალაკტიონის ერთი ლექსის ინტერპრეტაციისათვის (ქ. „მნათობი“, 1982, №1, გვ. 116-124); ნ. ნაკუდაშვილი, სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში (ქ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991, №5, გვ. 153-167); კ. ჯამბურია, „ბედით დაწყვეტილ გზაზე“ (ქ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991, №6, გვ. 66-75); გ. ბუაჩიძე, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ (კრ. „გალაკტიონოლოგია“, III, თბ., 2004, გვ. 244-248); ი. მერაბიშვილი, გალაკტიონის ენიგმები (გვ. 98-135); თ. დოიაშვილი, „ენიგმები“ და „მიგნებები“ (კრ. „გალაკტიონოლოგია“, V, თბ., 2010, გვ. 209-214) და სხვ.

### **შემოღობის ფრაგმენტი (გვ. 74)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 30 (A); ლექსები, 1927, გვ. 243 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 313 (C); ლირიკა, 1940, გვ. 45 (D); რჩეული, 1944, გვ. 391 (E); რჩეული, 1959, გვ. 503 (F).

**თარიღი:** 1916 CE.

**3** [ცენილი] ფენილი BCDE. **7** [ცენით] ფენით BCDE.

გამოთქმულია აზრი, რომ ლექსის ლირიკული „მე“ ოსკარ უაილდის დორიან გრეისა და ჰიუსმანსის რომანის – „დინების აღმა“ გმირის – ჟან დეზ ესსენტის სახეების გათვალისწინებით არის მოდელირებული (ი. კენჭოშვილი).

„მიდიან გრეი და ზეინაბი“ – დორიან გრეი, ოსკარ უაილდის (1854-1900) რომანის „დორიან გრეის პორტრეტი“ მთავარი პერსონაჟი. ზეინაბი – სავარაუდოდ, ალ. სუმბათაშვილის (1857-1927) პიესის – „ლალატის“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი.

### ჟორჯანი (გვ. 76)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 32; ლექსები, 1927, გვ. 339; რჩეული, 1944, გვ. 435.

ლექსი ახლოსაა ედგარ პოს შემოქმედების ატმოსფეროსთან.

„**ოხვრა, პასტორალი**“ – მინიშნება სოფლის იდილიურ ცხოვრებაზე, ურბანისტულ კომპარტან დაპირისპირებულ, ჩაველილ პასტორალურ ყოფაზე.

### ათოვდა ზამთრის ბაღებს (გვ. 77)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 6553 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 33 (A); ლექსები, 1927, გვ. 130 (C); თხზულებანი, I, 1937, გვ. 187 (D); რჩეული, 1944, გვ. 325 (E); რჩეული, 1959, გვ. 471 (F).

**სათაური:** ათოვდა ზამთრის სასახლის ბაღებს B.

**თარიღი:** 1918 B; 1916 DF.

4, 9 მიქონდათ] მიჰქონდათ CDEF.

„ამ ლექსის თითოეული სიტყვა – იქნება ეს „შავი კუბო“, „თმაგაწეწილი ქარი“, „ყორნები“, ბაღი თუ თოვსა და თვით ინტონაცია გადმოსულია ფართო კონტექსტიდან... ეს ლექსი ნაცნობი მოტივების ვარიაციაა და სხვადასხვა ფრაგმენტებით არის ნაგები“ (ი. კენტოშვილი, გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში, გვ. 156). ლექსის ანალიზი მოცემულია ამავე ავტორის წიგნში „გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკა“ (თბ., 1980, გვ. 34-35).

## სამრეპლო უღაბნოში (გვ. 78)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 34 (A); ლექსები, 1927, გვ. 183 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 236 (C); რჩეული, 1944, გვ. 358 (D); რჩეული, 1959, გვ. 369 (E).

**თარიღი:** 1914 CE.

13-22 და... ყვაველს] – C.

ლექსი ვერლიბრის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია გალაკტიონის პოეზიაში.

## ბული (გვ. 79)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 35 (A); ლექსები, 1927, გვ. 237 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 148 (C); რჩეული, 1944, გვ. 386 (D).

9 ოქ] ო BCD.

**დალილა** – ძველი ალექსის პერსონაჟი, სამსონის სატროფო, რომელმაც დალატით გადასცა იგი ფილისტიმელებს (მსაჯულთა წიგნი 16: 4-22).

**ვიქტორია** – ვის გულისხმობდა აქ გალაკტიონი – გამარჯვების რომაულ ქალღმერთს, ისტორიულ პიროვნებას თუ რომელიმე მხატვრული ტექსტის პერსონაჟს, არ არის დადგენილი.

**ლედი გოდივა** – ლეგენდად ქცეული უკეთილშობილესი და უღამაზესი ბრიტანელი ქალბატონი, რომელმაც 1040 წელს მოსახლეობისთვის გადასახადების შემცირების მიზნით შეასრულა ქმრის – ქალაქის მმართველის ახირებული მოთხოვნა და ცხენით შიმველმა შემოიარა ქალაქის ქუჩები; ლიტერატურისა და ხელოვნების არაერთი ნაწარმოების პერსონაჟი.

## მარმალილო (გვ. 80)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 5389 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 36 (A); ლექსები, 1927, გვ. 103 (C); თხზულებანი, I, 1937, გვ. 150 (D); რჩეული, 1944, გვ. 315 (E); რჩეული, 1954, გვ. 200 (F); რჩეული, 1959, გვ. 463 (G).

**სათაური:** – B; ვარდისფერი საფეხურები F. მარმარილო G.

**თარიღი:** 1915 F.

4 ოპ] ო B. 8 აჰყვე] აყვე B. 9 სხივზე] მუდამ B; ლანდათ] ლანდად DEFG. 11-19 ერთნაირ... მთვრალი] – B. 14 მარმალილოს] მარმარილოს FG.

„აშკარად ანტიკური სული ტრიალებს გალაკტიონის ლექსში „მარმარილო“, რომელიც წარმოგვიდგენს ანტიკური ტაძრის პოეტურ ხატს. ეს არ არის რეალობა, ეს უფრო ტაძართან ოცნებით მიახლოებაა... პოეტი უდიდეს ნეტარებად თვლის მსგავსებას „ყრმა დიონისესთან“. ლექსის რეალიები (პრაქსიტელი, ყრმა დიონისე, ანტიკური ტაძარი) ასოციაციით აცოცხლებს **პრაქსიტელის** ცნობილ ქანდაკებას „ჰერმესი ყრმა დიონისეთი“... ყურადღებას იქცევს **„პრაქსიტელის თვალი“**, როგორც ანტიკური სკულპტურის ბრწყინვალეების სიმბოლო. რაც შეეხება **დიონისეს**, გალაკტიონთან მინიშნებაც არაა მის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებელზე – „ღვინის ღმერთი“. იგი დიონისეს წარმოგვიდგენს საკუთარი „მეს“ ორეულად... გალაკტიონს საკმაოდ საინტერესოდ აქვს გააზრებული **სფინქსის სიმბოლიკა**. ის, რომ სფინქსი ერთდროულად დაკავშირებულია შიშთან და მოახლოებულ ბედნიერებასთან, აშკარად ოიდიპოსის მითით უნდა იყოს შთაგონებული. როგორც ცნობილია, თებელთათვის ავისმომტანი სფინქსის გამოცანის ამოცნობასთან იყო დაკავშირებული ბედნიერება – ქალაქის დახსნა. ოიდიპოსი არის ის პიროვნება, ვინც ამ შიშის გავლით მივიდა სფინქსის საიდუმლოს ამოხსნამდე“ (ქ. გარდაფხაძე, ანტიკურობა და გალაკტიონი, კრ. „გალაკტიონოლოგია“, I, გვ. 184-185).

საფეხურებზე სვლის მოტივი გავრცელებული იყო რუსულ სიმბოლისტურ პოეზიაში (კ. ბალმონტი, ვ. ბრიუსოვი...).

**სფინქსი** – ზომორფული მითიური არსება ლომის ტანით და ადამიანის თავით.

**პრაქსიტელი** – ანტიკური საბერძნეთის (ძვ. წ. IV ს.) დიდი მოქანდაკე.

„და ვან დეიკის ლანდებივით მწვანდება ღამე“ – ანტონ ვან დეიკი (1599-1641) – გამოჩენილი ფლამანდრიელი მხატვარი. გალაკტიონის სტრიქონი „არაა დაკავშირებული ვან დეიკის ფერწერასთან (რომელსაც ლანდებისა და ღამის ფერწერასთან არაფერი აქვს საერთო), მაგრამ ამ შემთხვევაში ვან დეიკი სინონიმია დიდი ფერწერის... „ლანდებივით მწვანდება ღამე“ ახლოსაა სიმბოლისტურ ფერწერასთან, რომლისთვისაც უცხო არაა ლანდების მოტივი და თამამი ფერები“ (ი. კენჭოშვილი, გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში, გვ. 80).

### ატმის ყვავილები (გვ. 81)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 5535 (B); დ-130, გვ. 2-3 (C); 5354 (D).

**ნაბეჭდი:** ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №12, 22 მარტი, გვ. 9 (E); ლექსები, 1919, გვ. 35 (A); გ. „სახალხო საქმე“, 1919, №612, 28 აგვისტო (F); ლექსები, 1927, გვ. 196 (G); თხზულებანი, I, 1937, გვ. 254 (H); ლირიკა, 1940, გვ. 43 (I); რჩეული, 1944, გვ. 363 (J); ლექსები, 1953, გვ. 142 (K); რჩეული, 1954, გვ. 139 (L); რჩეული, 1959, გვ. 484 (M).

**სათაური:** – D.

**თარიღი:** 1916 HJM; 1915 L.

B, C, D ავტოგრაფები ფრაგმენტებია – სამივეში ლექსის მხოლოდ პირველი სტროფია წარმოდგენილი.

2 ავობს| ავობს\* C| ჩნდება C; ავობს ბებერი| სცურავს და ავობს E. 3 ყვავილთა... ბანაობს| ფიფქში ბანაობს ყვავილთა ჯარი C; ჯარი| ქარი E; ფიფქით| ფიფქში BD| ფიქრში E. 4 ტყდება| ღელავს E; ნანაობს| ნანაობს\* C| იღევა C. 5 ნანაობს| ნანაობს\* C| იმღერის C. 6 და... შეხვდა| ჩამოუქროლა E. 7 შეატყო ურეოლა| დაუწყო ბრძოლა E. 8 დაატოლა გაუშლელ| ააყოლა ვარდისფერ E. 9 დაწვდა| ჩასწვდა E| დასწვდა I. 11 იქ... მიღვევით| შუქთა ღივილივით E. 12 გაზაფხულ| ეღვარე E. 16 სწვავდა| წვავდა I. 32 მოჰკვდა| მოკვდა IKLM. 33 დაჰფარა| დაფარა IKM. 35 ზღვები| სევდა E. 39 მსურველი| სურვილი K. 40 გაჰქრა| გაქრა ILM; დასტკნა| დატკნა ILM.

ლექსი დაკავშირებულია გალაკტიონის ადრეული ლირიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშთან „წუხელი, ღამით“ (ტ. I, გვ. 85) და ყურადღებას იქცევს ვერსიფიკაციული სიახლით – შიდარიტმების ფორმირებით. ი. კენჭოშვილი სილამაზის განადგურების ამ პოეტურ დრამაში არ ნუვოს ფერწერისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს გამოყოფს (იხ. მისი: გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში, გვ. 89).

### ღრუბლები ოქროს ამურებით (გვ. 83)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 39 (A); ლექსები, 1927, გვ. 333 (B); რჩეული, 1944, გვ. 430 (C).

**სათაური:** ღრუბლები ოქროს ამურებით დასახლებული C.

7-8 უფრო... ფლორენციაში] – C. 18-26 ამ... შენსას] – C.

შენიშნულია, რომ „ღრუბლები ოქროს ამურებით“ განთქმული სასახლე-მუხეუმის პალაცო პიტის ჭერის მოხატულობის იკონოგრაფიულ მოტივს იმეორებს (ი. კენჭოშვილი).

**ვეზუვის ფერფლი** – მინიშნება ვეზუვის ამოფრქვევაზე (ჩვ.წ. 79 წელი), რომელმაც იმსხვერპლა ქალაქი პომპეი.

**stiaciato** – ტერმინი აღნიშნავს რელიეფის დამუშავების სპეციფიკურ ტექნიკას რენესანსის ხანაში, უკავშირდება ფლორენციულ სკოლას და გამოჩენილი იტალიელი მოქანდაკის – დონატელოს (1386-1466) სახელს.

### ჰიანურები (გვ. 84)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 40 (A); ლექსები, 1927, გვ. 184 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 237 (C); რჩეული, 1944, გვ. 359 (D); რჩეული, 1959, გვ. 482 (E).

**თარიღი:** 1916 CE.

25 გამმას] გამას E.

„მიდის ოპერა „ლაკმე“ – ფრანგი კომპოზიტორის ლეო დელიბის (1836-1891) ოპერა, რომლის მთავარი პერსონაჟია ინდოეთის უმაღლესი ქურუმის ასული ლაკმე.

„ხშირად ვიგონებ ვერლენს/ როგორც დადუპულ მამას“ – სტეფან მალარმე (1842-1898) პოლ ვერლენის (1844-1896) შესახებ წერდა: „ახალგაზრდობის ნამდვილი მამა არის ვერლენი, დიდებული ვერლენი“. ჭაბუკი გალაკტიონი, როგორც ჩანს, დიდი ფრანგი პოეტის შემოქმედებით მემკვიდრედ მიიჩნევდა თავს.

### საღამო (გვ. 86)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 6442-6448 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 42 (A); ლექსები, 1927, გვ. 26 (C); თხზულებანი, I, 1937, გვ. 43 (D); რჩეული, 1944, გვ. 269 (E); რჩეული, 1954, გვ. 209 (F); რჩეული, 1959, გვ. 380 (G);

**სათაური:** – B; ძველი ორნამენტი D.

**თარიღი:** 1915 FG.

5 მაცხოვრისადმი] უუძველესი D. 10 ჯვარი] კართან D. 12, 32 ანგელოსთ] დეღვაჲ და D; ანგელოსთ] ანგელოსთ FG. 13, 33 შენ ღვთისმშობელთ] ორნამენტებო კარის D. 15 დავით ნარინის ჯვარი] გამოუთქმელი ჯავრი D. 26 ჯვარზე] უცებ D. 30 ჯვართან მისული] ქვებზე ასული D.

სუბიექტურ, ემოციურ-ასოციაციურ სახისმეტყველებაზე დაფუძნებული ეს ლექსი „არტიტულ ყვავილებში“ ერთი ყველაზე იდუმალი ტექსტია.

**კარის ღვთისმშობელი** – ათონის ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, იგივე კარიბჭის ღვთისმშობლის ხატი, „პორტიცისა“ ანუ კარის მცველი.

**დავით ნარინი** – რუსუდან მეფის ძე, საქართველოს მეფე XIII საუკუნის მეორე ნახევარში (1245-1293).

ლექსის ანალიზი იხ.: ი. მერაბიშვილი, გალაკტიონის Meri. პროტოტიპის ძიება, გვ. 97-106.



## მინ არის ეს ქალი? (გვ. 88)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 2689 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 44 (A); ლექსები, 1927, გვ. 139 (C); რჩეული, 1944, გვ. 333 (D).

**სათაური:** – B.

**თარიღი:** 1916 C.

B-ში წამოდგენილია ძირითადი ტექსტის 1-4 სტრიქონების ვარიანტი:

მიმაფრენდა ნაპრალებზე  
ღურჯა ცხენი...  
უცებ თვალწინ ღრმა უფსკრული  
გაიშალა...  
უკუნებლად დაჭრილი ვარ  
დამეხსენი!

პირველი პუბლიკაციის შემდეგ „ვინ არის ეს ქალი?“ კიდევ ორჯერ დაიბეჭდა – 1927 და 1944 წლის კრებულებში, რომლებშიც ლექსს წამოდგარებული აქვს „არტისტული ყვავილების“ ეპიგრაფები.

რ. ბურჭულაძე ტექსტის პირველ ოთხ სტრიქონს, რომელთაც, მისი აზრით, ნაწარმოების შინაარსთან არაფერი აქვს საერთო, უკავშირებს ანტიკურ მითს ბელერაფონტზე, ხოლო ლექსის დარჩენილ მონაკვეთს განიხილავს პოლონელი სიმბოლისტი მწერლის – სტანისლავ პშიბიშევსკის (1868-1927) პიესა „თოვლთან“ მიმართებით (იხ.: „მხოლოდ ინტერალები...“, გვ. 208-209, 131-133).

## სიკვდილი მთვარისაგან (გვ. 89)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 45 (A); გ. „სახალხო საქმე“, 1919, №612, 28 აგვისტო (B); ლექსები, 1927, გვ. 176 (C); თხზულებანი, I, 1937, გვ. 228 (D); რჩეული, 1944, გვ. 356 (E); რჩეული, 1959, გვ. 481 (F).

**სათაური:** სიკვდილი მთვარისაგან BDF.

**თარიღი:** 1916 DF.

**3 მშვიდათ] მშვიდად DF. 9 შთაინთქენ] შთაინთქენ F.**

ი. კენტოშვილი ამ ლექსს თითქმის პარნასულ, გოტიესებურ ლექსად მიიჩნევს, როცა „ავტორი მთლიანად გასულია ტექსტიდან, მისი ხმა არსად არ ისმის“ (იხ. მისი: გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში, გვ. 167).

ვ. ჯავახიძის ცნობით, ამ იდუმალი ლექსის განმარტება თავად გალაკტიონმა ვერ მოახერხა და „დაინტერესებულ ცნობისმოყვარეს გაუბრაზდა: მე თვითონ არ ვიცი და შენ როგორ აგისხნაო“ (იხ.: „უცნობი“, გვ. 224).

**ერატო** – ძველი ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი, სასიყვარულო პოეზიის მუზა.

**ოს (გვ. 90)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 6552 (B).

**ნაბეჭდი:** კრ. „სხივი“, 1916, გვ. 84 (C); ლექსები, 1919, გვ. 46 (A); ლექსები, 1927, გვ. 144 (D); თხზულებანი, I, 1937, გვ. 134 (E); რჩეული, 1944, გვ. 334 (F); რჩეული, 1959, გვ. 368 (G).

**სათაური:** – B; Nocturne C.

**თარიღი:** 1915 წ. წაღვერი C; 1914 DEG;

**2** ღამემ] მთვარემ C. **3** სარკმლის] სარკის DEFG. **7** გრძნებათ] გრძნობათ EG. **12** ჩნდება ვნებათ] სცხრება ფიქრთა C.

იხ. კომენტარი ლექსისა „თეთრი ღანდებით“ (გვ. 15).

ლექსი საყურადღებოა ვერსიფიკაციული ნოვაციით – რითმის ტაქტიდან ტაქტიში დინამიკური გადასვლით.

**შუალისა და ვიოლდუს შუსახეზ (გვ. 91)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 47; ლექსები, 1927, გვ. 124; თხზულებანი, I, 1937, გვ. 181; რჩეული, 1944, გვ. 323.

„ლექსი ენობრივი ქსოვილის უკიდურესი ავტონომიურობითა და

პოეტური ტექნიკის უზენაესობით გ. ტაბიძის ლირიკაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღარმესეული ლექსია. ეს „ფრანგული კოდით“ – „ვეროპული“ კულტურის მეტონიმიებით გაწყობილი ლექსი გადაძახილია მაღარმესეულ პერმეტულ ტექსტებთან“ (ი. კენჭოშვილი).

**„ვენერა სარკესთან“** – გაგრძელებული თემა მხატვრობაში. ცნობილია ველასკესის, რაფაელის და რუბენსის ამ სახელწოდების ტილოები.

**ჟან ფრაგონარი** (1732-1806) – ფრანგი ფერმწერი, რომელიც მუშაობდა როკოკოს სტილში.

**პალაცო პიტი** – ისტორიული სასახლე ფლორენციაში, მედიჩების ყოფილი რეზიდენცია, ფლორენციის უდიდესი მუზეუმი.

**პერუჯა** – იტალიის ერთ-ერთი რეგიონი. დამოუკიდებელი სახელმწიფო ისტორიული ვენეციის რესპუბლიკის ფარგლებში.

**„ხმები მასენეტა“** – ჟიულ მასნე (1842-1912), ფრანგი კომპოზიტორი, პოპულარული XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. ცნობილია, რომ გალაკტიონი „მერის“ მასნეს „ელეგის“ მელოდიის ფონზე კითხულობდა.

**ვიოლე** – სავარაუდოდ, ფრანგი არქიტექტორი, მხატვარი და ხელოვნების თეორეტიკოსი ვიოლე ლე დიუკი (1814-1874), რომელმაც 1850 წელს აღადგინა პარიზის დეთვისმშობლის ტაძარი. ავტორი ენციკლოპედიური ილუსტრირებული წიგნისა „შუა საუკუნეების ყოფა და გართობანი“ (ნ. დარბაისელი).

ლექსი განხილულია შემდეგ ნაშრომებში: თ. დოიაშვილი, ლექსის ეფონია (თბ., 1981, გვ. 180-183); ი. კენჭოშვილი, „ვუალისა და ვიოლეს შესახებ“ (კრ. „ლიტერატურული ძიებანი“, XX, 1999, გვ. 271-273); ნ. დარბაისელი, სამი ლექსი „არტისტული ყვავილებიდან“ (კრ. „გალაკტიონოლოგია“, V, გვ. 83-92).

## შენიშვნები (გვ. 92)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 6570 (B); 5385 (C).

**ნაბეჭდი:** კრ. „სხივი“, 1916, გვ. 85 (D); ლექსები, 1919, გვ. 48 (A); ლექსები, 1927, გვ. 291 (E); თხზულებანი, II, 1937, გვ. 369 (F); რჩეული, 1944, გვ. 410 (G); რჩეული, 1954, გვ. 178 (H).

**სათაური:** „რას ამბობენ ვერხვები“ B.

**თარიღი:** 1915 ბაკურიანი. ივლისი C. 1915 წ. წადვერი D. 1915 F. 1912 H.

**3** ტყეს] ნისლს CD; გაიფრენს] გადაშლის BCD. **5** უშორეს] სა-  
ოცარ\* B] სევდიან BC. **7** ძველი... სმით] ხან სასიამოდ\* B] ძველ  
ღვინოსავით BCD; უგონოდ] ხან მწარედ\* B] ტკბილად და BCD. **7-8**  
სტრიქონებს შორის B-ში იკითხება: [...] მეოცნებე სულს, სიზმარისე-  
ბურ ლანდებს თანაბრად. **8** სადღაც დაკარგულ] მოგონებათა BC. **9**  
მოგონებებში] გრძნეულ შრიალში BCD; ვიჭერ] აფრქვევს\* B. **10, 18**  
წინად... წინად] წინედ... წინათ B] წინათ... წინათ H. **12** იყვენ] იყვნენ  
H; მიეძინათ] ესლა სძინავთ B. **13** დელავს] თრთიან\* B; მწყობრი  
თეთრი C. **13-14** სტრიქონებს შორის B-ში გადახაზულია:

და ყოველივე ნისლმა დაჰფარა.  
დრომ, დრომ დაჰფარა.  
ან და არც ერთი აქ არ ყოფილა.  
გულის მიუყნდა მწარე იარა.  
წელი წელს გაჰყვა [...] ჩქარა.

**14** მას... და] საუკუნეთა მძლე\* B] მას შემდეგ ბედის მძლე BD.  
**14-18** მას... წინად]

ეს იყო ვერხვის ფოთოლთა კვნესა,  
ოჰ, მეგობარო, რარიგად გძინავთ,  
რარიგად გძინავს, ჩემო პრინცესა C.

**15** ქარის] ზვირთთა\* B] ქართა B. **16** შენ... ხარ] და გიციდი, გიც-  
დი\* B] საით ისვენეს B. **17** რისთვის ან] რად? რისთვის? B; ვისთან]  
სანამ\* B] ან ვისთან B. **18** სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია:

განმეორებას კი ისევ ვუცდი,  
ლოდინში  
ეს იყო ვერხვის ფოთოლთა კვნესა,  
გამოიღვიძეთ, ესლა ნუ გძინავთ.  
ნუ გძინავთ, ნუ ჰკლავთ ჩემს სიცოცხლესა.

19-ე სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია:

ოჰ, მეგობრებო, რარიგად გძინავთ.  
რარიგად გძინავს, ჩემო პრინცესა.  
დრომ ყვავილები [...]

BD-ში ლექსს ბოლოში ემატება:

ყოველთვის როცა დაბერავს ქარი  
და ნისლს მთებისას გადაშლის აურად,  
ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი  
აშრილდება სვედიან ზღაპრად

D-ში ამ სტროფის პირველ სტრიქონში ნაცვლად სიტყვისა „ყოველთვის“ არის „და ეხლა“, მეოთხე სტრიქონში კი ნაცვლად სიტყვისა „აშრილდება“ B-ში ჯერ იყო „ძველ დროს მაგონებს“, შემდეგ – „წარსულს მაგონებს“. D-ში არის „წარსულს მაგონებს“. იხ. კომენტარი ლექსისა „თეთრი ლანდებით“ (გვ. 15).

### პარალელი (გვ. 93)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 5386 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 49 (A); ლექსები, 1927, გვ. 117 (C); თხზულებანი, I, 1937, გვ. 169 (D); რჩეული, 1944, გვ. 322 (E); რჩეული, 1954, გვ. 196 (F).

**სათაური:** კონტრასტები B.

**თარიღი:** 1912 F.

2 იასამანთა გროვათ] ნაცნობი სივრცით მოდის B. 3 ვედრების...  
ნელი] ოცნება გამოუთქმელი B. 7 პანი დაქრის] ნისლი იძვრის B;  
დაქრის] დაჰქრის CDEF. 11 როცა შურივით] სადაც ნისლივით B. 12-  
13 ასე... გაოცება] უფრო მკაფიო არის კაშკაში/ უფრო დიდია გასხ-  
ივოსნება B. 14 ნელობა] ვით ფშვინვა B. 16 გოიას] რემბრანდტის  
B; ბოტჩინელის] ბოტჩინელის F. 18 სულ... ზარის] მაგრამ სრბოლაა  
შავი დრუბელის B. 19 მზის... დამჟკნარი] თრთის მხიბლავად ვით

წყნარი B; დამტკნარი] დამტკნართა CDEF. **20** იჭვით] ეჭვით F; მხატვარის] ვრუბელის B. B-ში ლექსს ბოლოში ემატება:

შენთვის არც ერთი არ არის უცხო,  
მათში საერთო ჰპოვე, იცანი.  
და სხვადასხვა გზით მისვლა ერთ გზასთან  
იყოს მარადის შენი მიზანი.

ლექსთან მიმართებით არსებობს გალაკტიონის საინტერესო ჩანაწერი: „მოხდა ასეთი რამ: გაერთიანდა ორი საწყისი: ლირი-ულობისა და რევოლუციური დრამატიზმის, პათოსის. პირველი არ იჩრდილება მეორეთი და მეორე პირველით. პარალელი – ლექსი ნათლად ჰხატავს ორ მოპირდაპირე მიმდინარებას ხელოვნებაში. გოია და ბოტტიჩელი, შელლი და ბაირონი, მაიაკოვსკი და ესენინი (შეიძლება, ძალიან შორეულად), ჩემში კი ეს მთავარია“ (სგ, XVIII, გვ. 67-68).

**ფრანსისკო გოია** (1746-1828) – ესპანელი ფერმწერი, გრაფიკოსი და გრაფიკორი.

**სანდრო ბოტიჩელი** (1445-1510) – ადრეული რენესანსის ხანის იტალიელი მხატვარი, სივაქიზითა და დახვეწილობით გამორჩეული ნამუშევრების ავტორი.

**„დემონი იჭვით საესე მხატვარის“** – იგულისხმება რუსი მხატვარი მიხაილ ვრუბელი (1856-1910), რომელმაც დემონის თემაზე არაერთი ტილო შექმნა. იგი ავტოგრაფში პირდაპირ არის დასახელებული.

**„და სეგანტინის „Ave Maria“** – იტალიელი მხატვარი ჯოვანი სეგანტინი (1858-1899) და მისი ცნობილი ტილო ღვთისმშობლის გამოსახულებით.

### ზარღების შრიალი (გვ. 94)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 50 (A); ლექსები, 1927, გვ. 190 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 247 (C).

**თარიღი:** 1916 C.

**11** განუძრევლად] გაუნძრევლად C. **20** ანგელოზ] ანგელოს BC. **36, 39** გარედ] გარეთ C. **37** დაქრის] დაჰქრის B.

ლექსში საგრძნობია ედგარ პოს ქმნილებათა („ყორანი“, „ლი-გეა“, „ეშერთა სახლის დაცემა“...) იდუმალი ატმოსფერო.

### ჩვენი საშუაანი (გვ. 96)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 52 (A); ლექსები, 1927, გვ. 76 (B); თხ-ზულებანი, I, 1937, გვ. 115 (C); რჩეული, 1944, გვ. 304 (D); რჩეული, 1959, გვ. 390 (E).

**სათაური:** წარსულის ჩრდილები CE.

21 ამელამ] ამალამ E. 24 გადაცდა] გადასცდა E. 46 ქრიან] ჰქრი-  
ან BCDE.

**კახაბერი** – ქვეყნისთვის თავდადებული გმირის ზოგადი სახელი. მას მოიხსენიებს დავით გურამიშვილი: „ვინც არა ჰგავს კახაბერ-სა/ მე ვერ ვიტყვი კახაბერად“. კახაბერი ნახსენებია გალაკტიონის ჩანაწერში მამია გურიელზე: „მამია ხანდახან ბავშვებს მკლავებს უშინჯავდა და თავისებური სიძინჯით, თითქოს სიტყვები სხვა ქვეყნიდან მოდისო, კითხავდა ახლო მყოფს: დახედე, რა მკლავი აქვს, ვერ გასწევდა კახაბერობას?“ (სგ, XXIII, გვ. 150).

### მთაწმინდის მთვარე (გვ. 98)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 618 (B); 1086 (C); 1916 (D); 3348 (E); 7441 (F); 7767 (G); 24361 (H).

**ნაბეჭდი:** ჟ. „ცისფერი ყანწები“, 1916, №1, გვ. 6 (I); ლექსები, 1919, გვ. 54 (A); გ. „სახალხო საქმე“, 1919, №612, 28 აგვისტო (J); ლექსები, 1927, გვ. 4 (K); კრ. „პატარა ჩანგი“ 1928, გვ. 92 (L); თხზულებანი, I, 1937, გვ. 3 (M); ლექსები, 1937, გვ. 74 (N); ლირიკა, 1940, გვ. 29 (O); რჩეული, 1944, გვ. 249 (P); რჩეული, 1954, გვ. 188 (Q); რჩეული, 1959, გვ. 373 (R).

**სათაური:** ლექსიდან „მთაწმინდის მთვარე“ B; – CDE.

**თარიღი:** 1915 BHKMOPQ; 1916 წ. ტფილისი G.

2 შობილა] ყოფილა G. 5 ჩუმი] მშვიდი BHI; ნაზი] წყნარი BH; 7

მის... გახვეული] შორეულ მოგონების I; მსუბუქ] სუბუქ CE; **8** მოს-  
ჩანს] მოჩანს OMPQ. **9** ოპ] ო CGH] ჯერ E; **9,27** შობილა] ყოფილა  
BCDEGH; ნაზი] წყნარი BH] თეთრი DI. **10** ჩემს] ჩემ EP; მოხუცის]  
მოხუცთა BH] აკაკის CDEIJPQ; სძინავს] სძინავთ BH; **11** მწუხარე]  
სევდიან BCDEGH] მშობლიურ I. **13-27** დაწვევლილ... წყნარი] –BH.  
**13** დაწვევლილ ყრმას] ბარათაშვილს CDEGIJKLMOPQ] უსაფარ  
ყრმას N; ობლად] ობლათ D. **14** ტბის სევდიან] მეოცნებე D; გედათ]  
გედად Q. **16** შეისხა] გაშალა C. **17** ოცნებათა] მოგონებათ D. **19-20**  
სტრიქონებს შორის I-ში იკითხება:

ვით ევრქვევა ეს ჩანჩქერი ტბის ნაპირს და ტყეებს  
და ვით ახვევს კვდომის ბურუსს ვერცხლის მდინარეებს.

**23** ჩუმი] ნაზი CE. **25** მგოსანი] პოეტი CO. **26** წაყვება] წაჰყვება  
EGINPQ. **27** შობილა] ყოფილა C. **24-27** რომ... წყნარი ] –D.

F-ში წარმოდგენილია ლექსის **2-5** სტრიქონები, რომლებიც იძლე-  
ვა მხოლოდ ერთ ვარიანტულ სხვაობას: **2** შობილა] ყოფილა.

ნაწარმოების პირველი პუბლიკაციის თაობაზე იხ. კომენტარი  
ლექსისა „ლურჯა ცხენები“ (გვ. 200-201).

არსებობს გალაკტიონთან დაახლოებული პირების (ფ. ნიშნიან-  
იძე, გ. ჩიქობავა) ცნობები „მთაწმინდის მთვარის“ დაწერის გარე-  
მოებებზე. ისინი, როგორც ირკვევა, სხვადასხვა ვარიაციით იმეო-  
რებენ პოეტის ნაამბობს, რომლის შინაარსი შემონახულია მის ერთ  
საარქივო ჩანაწერში. ახალგაზრდა გალაკტიონი ლიტერატურულ  
საღამოში მონაწილეობის მისაღებად ფოთში იმყოფებოდა. ღამის  
გათევა გიორგი ქუჩიშვილთან ერთ ოთახში მოუხდა. ზღვის პი-  
რას, ღამის სიბნელეში გალაკტიონი აუღელვებია ქალის სიმღერას  
(სხვა ვერსიით, გრამაფონზე მრავალგზის განმეორებულ სიმღერას)  
მომაკვდავ გედზე. ამ შთაბეჭდილებით დაიწერა იმ ღამეს ლექსი  
„გედის სიმღერა“. ეს ლექსი პოეტს წაუკითხავს შეკრებაზე, რო-  
მელსაც აკაკიც ესწრებოდა, შემდეგ კი ტექსტი დაჰკარგვია. „მე  
ამ პრინციპზე დავწერე მეორე ლექსი, რომელიც თითქმის იგივე  
„გედის სიმღერაა“, გადაკეთებული „მთაწმინდის მთვარედ“, – ასე  
ამთავრებს თხრობას გალაკტიონი (სგ, XXII, გვ. 222).



რამდენად რეალურია პოეტის მონათხრობი, ძნელი სათქმელია, თუმცა არსებობს გ. ქუჩიშვილის პირადი წერილი გალაკტიონისადმი, რომელშიც ის იხსენებს წარსულს – ფოთს და „გედის სიკვდილს“ (სგ, XXIV, გვ. 285).

„მთაწმინდის მთვარე“ გ. ტაბიძის საპროგრამო ლექსია, რომელშიც გატარებულია ესთეტიზმის დოქტრინიდან მომდინარე შემოქმედების, პოეზიის უზენაესობის იდეა. ნაწარმოები კონცეპტუალურად ახლოსაა გედის სიმღერის იმ ინტერპრეტაციასთან, რომელიც გადმოცემულია პლატონის „ფედონში“.

საბჭოთა ეპოქაში გალაკტიონმა მოისურვა ლექსისათვის ახალი, დროსთან მისადაგებული გააზრება მიეცა. იგი ჩიოდა, რომ, მიუხედავად პოპულარობისა, მისი შემოქმედების ეს ერთ-ერთი გასაღებთაგანი სათანადოდ არ არის შესწავლილი (სგ, XXII, გვ. 317). გალაკტიონი უარყოფდა ნაწარმოების პესიმიზტურ განწყობილებას, წინ წამოსწევდა „რომანტიკულ სიყვარულს სიცოცხლისადმი“ (სგ, XXI, გვ. 528) და კავშირს XIX საუკუნის ქართული პოეზიის ტრადიციებთან (სგ, XIX, გვ. 100-101). „აზრი „მთაწმინდის მთვარისა“ – წერდა იგი, – არის აზრი პოეზიის არსებობის, მისი სიღიადის, მისი „მემკვიდრეობისა“, აზრი – უშიშროებისა სიკვდილის წინაშე...“ (სგ, XVI, გვ. 218-219).

ლექსი გაანალიზებული აქვს ზ. კიკნაძეს წერილში „მთაწმინდის მთვარე“ (ქ. „ლიტერატურა და სხვა“, 1999, №1, გვ. 9-15).

## ბოგელენი (გვ. 99)

**ნახეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 56 (A); ლექსები, 1927, გვ. 249 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 315 (C).

**თარიღი:** 1916 C.

**სულამითი** – ბიბლიური „ქებათა ქების“ ქალი პერსონაჟი, მეფე სოლომონის სატრფო. ლექსში იგრძნობა ამ ტექსტის ატმოსფერო და რემინისცენციები. ნაწარმოები, შესაძლოა, გობელენზე გამოსახული „ქებათა ქების“ რომელიმე სცენით იყოს შთაგონებული.

## შიშველი (გვ. 100)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 57 (A); გ. „სახალხო საქმე“, 1919, №612, 28 აგვისტო (B). ლექსები, 1927, გვ. 100 (C); თხზულებანი, I, 1937, გვ. 145 (D); რჩეული, 1944, გვ. 313 (E); რჩეული, 1959, გვ. 421 (F).  
**თარიღი:** 1915 CDF.

6 შეფერის] შეპფერის CDEF.

**ვენერა მილოსელი** – ძველბერძნული სკულპტურა, რომელიც სილამაზისა და სიყვარულის ქაღალმერთს გამოსახავს, ლექსში ნახსენებია, როგორც მშვენიერების სიმბოლო ანტიკურ კლასიკურ ხელოვნებაში.

„გ. ტაბიძის „შიშველი“ ერთგვარი პოლემიკაა ქაღის შიშველი სხეულის „ნეოდიონისურ“ გააზრებასთან. სულისა და მატერიალურის დაპირისპირების ნაცვლად, წინ არის წამოწეული ამ ორი საწყისის ჰარმონიული ერთიანობის კლასიკური იდეალი“ (ი. კენჭოშვილი, გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში, გვ. 148).

## მიცვალებულის ხსოვნა (გვ. 101)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 58; ლექსები, 1927, გვ. 323; რჩეული, 1944, გვ. 427.

ეს ლექსი, ისევე როგორც „ახალი მოსახლეობა“ (გვ. 120) ყურადღებას იქცევს სინამდვილისა და წარმოსახვის უცნაური თანაარსებობით, რაც ფანტასმაგორიის შთაბეჭდილებას ქმნის.

## ზღაპარი (გვ. 102)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 59 (A); ლექსები, 1927, გვ. 24 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 39 (C); რჩეული, 1944, გვ. 266 (D).

2 პირად] პირას D. 9 სჩანს] ჩანს C.

### ორხიდეები (გვ. 103)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 60 (A); ლექსები, 1927, გვ. 323 (B);  
თხზულებანი, I, 1937, გვ. 373 (C).

**თარიღი:** 1915 C.

**10, 12** სტიროდენ] სტიროდენ C. **13** ხარობდენ] ხარობდენ C.

„ორხიდეები“ მიანიშნებს სიმბოლისტური ფლორის შემოსვლაზე გალაკტიონის პოეზიაში.

ლექსი ფრანგი მწერლის ვილიე დე ლილ-ადანის (1838-1889) „სასტიკი მოთხრობების“ ერთ-ერთ ტექსტთან („ვერა“) მიმართებით განხილულია ე. კვიციანიშვილის წერილში „ოცნების გამოსარჩლება“ (კრ. „გალაკტიონოლოგია“, III, გვ. 189-203).

### მბლოვიარე სმრაჟიმები (გვ. 104)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 61 (A); ლექსები, 1927, გვ. 86 (B);  
თხზულებანი, I, 1937, გვ. 127 (C); რჩეული, 1944, გვ. 307 (D); რჩეული,  
1959, გვ. 459 (E).

**თარიღი:** 1916 BCE.

**სათაური:** მარმარილოს ქვეშ CE.

**2** მარმალილო] მარმარილო CDE. **9, 10** სტიროდენ] სტიროდენ  
C] ტიროდენ E. **17** გამოსცალე] გამოცალე E. **25** სდგანან] დგანან E.

„და უაილდის ყვავილივით დაეცი გზაზე“ – სავარაუდოდ, აღუ-  
ზია ოსკარ უაილდის ზღაპარზე „ბუღბუღი და ვარდი“.

### ავდრის მოლოდინი (გვ. 105)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 62 (A); ლექსები, 1927, გვ. 185 (B);  
თხზულებანი, I, 1937, გვ. 239 (C); რჩეული, 1944, გვ. 360 (D); რჩეული,  
1959, გვ. 483 (E).

**სათაური:** ავდრის მოლოდინში E.

**თარიღი:** 1916 CE.

**19** ეხლა] ახლა E. **30, 32** მიყვება] მიჰყვება BCDE.

კატრენული სტროფიკით დაწერილ ლექსში მეოთხე სტროფი სამტაპეიანია, ვ. ჯავახაძის ვარაუდით, მას მეორე სტრიქონი უნდა აკლდეს. ჩვენ არ გავიზიარეთ მის მიერ აღდგენილი ვარიანტი („უცნობი“, გვ. 767), რადგან ნაკლებ სარწმუნოა, რომ გალაკტიონმა ლექსის შემდგომ ოთხ პუბლიკაციაში ვერ შეამჩნია ე.წ. ხარვეზი და მხოლოდ ამიტომ არ გამოასწორა იგი. ამასთან, ჩარევის შედეგად სამტაპეიანი სტროფი კარგავს ექსპრესიულობას.

### **არ-ღაბრუნება (გვ. 107)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 64 (A); ლექსები, 1927, გვ. 152 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 199 (C); რჩეული, 1944, გვ. 340 (D); რჩეული, 1959, გვ. 474 (E).

**თარიღი:** 1916 BCE.

**8** ტიცინე] ტიცინი BCDE. **13** გიყვარდი] გვიყვარდი BC.

„ვერონეზი და ტიცინე“ – გვიანი რენესანსის გამოჩენილი იტალიელი მხატვრები პაოლო ვერონეზე (1528-1588) და ტიცინო ვენეციელი (1488-1576) – ვერწერის ვენეციური სკოლის წარმომადგენლები.

### **მივარდნილი აივანი (გვ. 108)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1919, გვ. 65 (A); ლექსები, 1927, გვ. 45 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 70 (C); რჩეული 1944, გვ. 283 (D); რჩეული, 1959, გვ. 449 (E).

**თარიღი:** 1916 CE.

**8** ეხლაც] ახლაც E. **22** ოქტავებით] ოქტავებით CE. **30** ტფილისში] თბილისში E.

არსებობს გალაკტიონის ჩანაწერი სათაურით „ამპარტავანი თათარი ეზოში დადის მამალი“, რომელშიც გადმოცემულია ლექსის დაწერის გარემოებანი და განმარტებულია ზოგიერთი სტრიქონი (სგ. XVII, გვ. 510-511). პოეტი მოგვითხრობს: „ლექსი დაწერილია 1918 წელს, თათარი შემოესია ბათუმს... ძალიან ირეოდა თბილისი იმ ხანებში უცხოელებით: ვინ გინდა, საიდან გინდა, რომ აქ არ შეგენიშნათ... თბილისის მოსახლეობაში პროტესტის გრძნობას იწვევდა უცხოელთა ყოფა-ქცევა“... ამ და სხვა ჩანაწერშიც (სგ. XIX, გვ. 102) გალაკტიონი ხაზს უსვამს ლექსის ირონიულ-სატირულ ხასიათს.

**დასტურლამალი** – ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლი, შედგენილი მეფე ვახტანგ მეექვსის მიერ 1707-1709 წლებში.

**„ოკტავებით ვწერ პოემას“** – ოკტავა, იტალიური გენეზისის სალექსო ფორმა, რვატაქვიანი სტროფი გართიმვის სისტემით abababcc, რომელსაც, როგორც წესი, იყენებდნენ ეპიკურ პოემებში. ჩანაწერში „მივარდნილი აივანის“ შესახებ გალაკტიონი მიუთითებს, რომ მას მართლაც ჰქონდა ასეთი პოემა.

**„ტფილისში მეფობს თათარხან“** – თათარხან (ნიკოლოზ) დადემქელიანი, სვანეთის მთავართა შთამომავალი, სიღამაზით განთქმული ვაჟკაცი, რომელმაც ქუთაისში ცოცხალ სურათებად დადგმულ „ვეფხისტყაოსანში“ (1892) ტარიელი განასახიერა. 1918 წელს ანუ ლექსის დაწერის დროს იგი ცოცხალი აღარ იყო.

**„სასახლე გახდა თილისმა“** – პოეტი განმარტავს: „თილისმა – აქ ნიშნავს დიდად მიმზიდველ რამეს. იტყვიან: „როგორ მოათილისმა“, „რა თილისმა აქვს ასეთი“ – რა ჯადო აქვს ასეთი, როგორ იზიდავს!“

**„ჩინებულება ჩინელი“** – პოეტის განმარტებით: „ჩინელი“ აქ ნიშნავს, უბრალოდ, უცხოელს, უცხო ვინმეს, ან უცხო რამეს... „ჩინებულება“ – იტყვიან უცხო რამეზე (და არა მხოლოდ იმ გაგებით, რომ კარგია). ჩინებულება, ესე იგი ღირსება...“. ლექსში გამოთქმას ირონიული ხასიათი აქვს.

„მივარდნილი აივანი“ გაანალიზებულია ნ. დარბაისელის წერილში „სამი ლექსი „არტისტული ყვაეილებიდან“ (კრ. „გალაკტიონოლოგია“, V, გვ. 93-102).

## აბაჰის ლანდი (გვ. 110)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 1627 (B); 5528 (C); 5555 (D); 6574 (E); 2-დ, გვ. 6 (F).

**ნაბეჭდი:** გ. „ახალი კვალი“ 1915, №1, 4 მაისი (G); ლექსები, 1919, გვ. 67 (A); ლექსები, 1927, გვ. 95 (H); თხზულებანი, I, 1937, 138 (I); ლექსები, 1937, გვ. 76 (J); ლირიკა, 1940, გვ. 27 (K); რჩეული, 1944, გვ. 312 (L); რჩეული, 1954, გვ. 226 (M); რჩეული, 1959, გვ. 392 (N).

**სათაური:** სიზმარი\* D; – BE.

**თარიღი:** 1915 HIJLMN.

2 მდუმარე] მწუხარე\* C; მხარეს] ღამეს\* B; შორი მთებისას] მთები ველიდან\* B] ბარიდან მთამდი B; მდუმარე... შორი] მხარეს მწუხარეს, არეს\* C. 3 დახარის] დაჰხარის C; ღამე... ანდამატი] მთვარის შუქთა დოლბანდი\* C] მთვარის შუქთა ანდამატი C. 4 იქ] და BC. 5 გამოჩნდა მაღალ] შორით გამოჩნდა C. 6 ჭადარით... თმები] ჭადარა ვერცხლის სიმძიმით B. 8 იყო] იყვენ BC; მთიები] ვარსკვლავნი\* C. 9 მძიმე... დაღლილ] მომაგალ მგოსნის C. 10 მძიმე... ფეხის] მძიმე... ფეხის\* B; მძიმე... გრძნობდა] სვლას ჰგრძნობდა ნაზი, ვით აბრეშუმში B; აქ ნაცვლად სიტყვისა „ნაზი“ იყო „თეთრი“. 12 მოძრაობდა] მდუმარეობდა C; მოძრაობდა... მნათობთა] მიღლეავდა მის თეთრ ნაკვთებზე\* C. 13 აღელვებულ] უცნობ ოცნებათ\* C. 14 თანაბარ] მოხუცის C; მოახლოებას] ნახლოები B. 15 და დიდი] სამშობლო C. 17 ზვირთები] ფოთლები\* C. 18 მაშინ ბავშივით] მიღუმდა შამბი C; შქერი] შქერა B. 19 შესწყდა] შეწყდა H; მდინარეთ] ნაკადის\* C. 20 გრაადმა] გრიალმა B] ვარსკვლავმა C; გზა მრავალფერი] გუნდმა ჩირაღდნად\* C; გზა] გზამ C. 21 ნაპერწკლის დროშით] შუქთა ტალღები\* C] ნაპერწკლით ცეცხლი C. 22 შუქით] ცეცხლით C. 23 გზა იშვიათი] თეთრი წყვილია C. 24 სანთლებით] ნაბიჯით C. 25 მაღალი] აკაკის C. 26 ოჰ... განსაცდელი] ო, განსაცდელი მოვიდა სოფლად B; ოჰ... მახლობლად

არა, დიდია დღეს გასაცდელი  
და არ დაგვტოვებს მზე-კაცი ობლად  
რომ არ აანთოს ისევ სანთელი  
სასიქადულო ხატის მახლობლად. C

ეს სტროფი ნასწორებია. თავდაპირველად იგი ასე იკითხებოდა:

არა, არასდროს ის არ დაგვტოვებს  
ამ განსაცდელში მარტო და ობლად,  
რომ არ აანთოს სველი კანდელი  
განადგურებულ ქართლის მახლობლად.

მეოთხე სტრიქონზე „განადგურებულის“ გვერდით მიწერილია „დავიწყებული“.

**30** იქნება ჩვენში] მსხნელად და ფარად **B. 31** ჩვენთან] ჩვენში \***C.**  
**32** სილიადეში] რჩეულ მეგობრად\* **C]** კორიანტელში **C. 33** ლურჯ] **ნაზ C. 33-**ე სტრიქონის შემდეგ **C-**ში გადახაზულია:

თუ აღტაცება გარემოგვიცამს  
ის აღტაცებას მისცემს თავის სულს.  
ჩაგვთვლემს და მაშინც ის არ მოგვაკლებს  
სამარადისო ძიების [?] ჩურჩულს.

ამის შემდეგ **C-**ში იკითხება:

განგვინათებს დღეს, გაგვითევს ღამეს,  
განთიადისთვის დამწვარი ხმებით,  
როცა ეკლიან გზაზე მოწამის  
გვირგვინის ეკლით დავიქანცებით.  
თუ აღტაცება აგვაცლის ეკლებს,  
ის აღტაცებას მისცემს თავის სულს,  
ჩაგვთვლემს და მაშინც ის არ მოგვაკლებს  
სამარადისო ძიების ჩურჩულს.

ეს ფრაგმენტი ნასწორებია. მასში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: **2** განთიადისთვის დამწვარი] საგანთიადო, საამო\*. **3** მოწამის] ლტოლვისგან\*. **4** გვირგვინის... დავიქანცებით] გული გატყდება და დავიღლებით. **5** აგვაცლის ეკლებს] გარემოგვიცამს\*.

**34** არ... უსიტყვოს] მას ჩვენთვის მადლი არ ენანება **B;** და... უსიტყვოს] არ მოგვაკლებს შუქს\* **C. 35** მისი... მადლით] ქვეყნის ციური

მადლით B. 35 პოეტის... ანთება] მისი სიმღერის სხივი ფერადი C.  
მადლით] მადლით H. 37 ეს მოლანდება] აკაკის ლანდი C.

D-ში ლექსი ასეა წარმოდგენილი:

### აკაკის ლანდი

აღმოსავლეთის მთებს იქით, სადაც  
ათეთრდა მთვარის შუქთა დოღბანდი,  
მყუდრო, ლამაზი და დიდებულნი  
გამოჩნდა მოხუც აკაკის ლანდი.  
თეთრი ჭადარით მოსილი თმები  
ელავდა ვერცხლის ელვა-ციმციმით,  
და სახე მისი იყო გზნებულნი  
საგაზაფხულო ღვთაებრივ ღიმით.  
ის მოდიოდა მძიმე ნაბიჯით  
როგორც სტიქიის დაღლილი ძალა.  
მთა მის ნაბიჯზე ორად გაიპო  
